# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2006 წელი.

№ 208 (5549)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## რუსული ფაშიზმი მთელმა მსოფლიომ უნდა დაგმოს

3




## როცა მიწაც ნარკომანი ხდება

9

## რესპუბლიკური გამბიტი

4

## ლონდონის "ჩელსი" "ბარსელონაში"

14

## ივო შუშაკის სიყვარულის წილ...

13



რედაქტორის აზრი

## მგონი, კიდევ არის შანსი...



ოთარ იოსელიანი

## რუსეთში არიან ძალები, რომლებისაც თვით პუტინს ეშინია

2

## რატომ გვატყუებს სახელმწიფო?

გაძვირებული პური და შიმშილისგან სასოწარკვეთილი ხალხი

7

## ზამთარი ავად ჩაგვსათვრებია



როცა ქვეყანას გაზსაცავიც არა აქვს

## „კრიკუნებად" ქცეული ბალღები

14

◎ აი, სიმართლე!

# ოთარ იოსელიანი: რუსეთში არიან ძალები, რომლებისაც თვით პუტინს ეშინია



**ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ოთარ იოსელიანი რუსეთში ქართველების მდგომარეობას მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების ყოფას ამსგავსებს.**

ქართველებს დღეს რუსეთში ისე ექცევიან, როგორც თავის დროზე ებრაელებს. ასეთი რამ რუსეთისთვის საკმაოდ ტრადიციულია. ებრაელების განადგურება, შემდეგ კი მათთვის ყველაფრის გადაბრალება ყოველთვის სასიამოვნო და სახალისო რამედ ითვლებოდა, – ამის შესახებ იოსელიანმა ჟურნალისტებს გუშინ მოსკოვში, რადიოსადგურ „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განუცხადა.

ოთარ იოსელიანი მომხდარში ორივე მხარეს ადანაშაულებს. მისი თქმით, იმაში, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის ხდება, მოულოდნელი არაფერია. ეს ყველაფერი დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. ხდებოდა სიძულვილის გაღვივება ეროვნული ნიშნით. ბნელი ხალხის ყველაზე საშინელი თვისება – სხვების სიძულვილია, რაც შიშთან არის დაკავშირებული, – აღნიშნა კინორეჟისორმა.

იოსელიანის თქმით, პირველი მსხვილი ეთნიკური წმენდა რუსეთის ადმინისტრაციამ აფხაზეთში ჩაატარა. აფხაზეთიდან 500 ათასამდე ადამიანი გაიქცა, ხოლო ისინი, ვინც ეს ვერ მოასწრო, უბრალოდ გაანადგურეს, – აღნიშნა მან.

რუსულ ინტელიგენციაზე საუბრისას, იოსელიანმა თქვა, რომ მათ ხმა არც აფხაზეთში განვითარებული მოვლენებისას ამოუღიათ.

რუსეთის ადმინისტრაციამ გაანადგურა რუსი ადამიანი, რუსი ხალხი და მათი თავმოყვარეობა. მოაზროვნე ადამიანის გენში ჩაჯდა ერთი თვისება – სჯობს, არ ჩავერიოთ და გავჩუმდეთ, – განაცხადა ქართველმა კინორეჟისორმა.

ინტერვიუმდე ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში, იოსელიანმა აღნიშნა, რომ მისი რუსი მეგობრები ამ ვითარებას ძლიერ განიცდიან.

როგორც ოთარ იოსელიანმა თქვა, რუსეთში არიან ძალები, რომლებისაც თავად პრეზიდენტ პუტინსაც ეშინია.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ოპოზიცია

# პარლამენტში ბოიკოტების „ეპოპეა“ სრულდება

**მემარჯვენეები ბოიკოტზე უარს ამბობენ... ამის ერთი მიზეზი, ალბათ, პრეზიდენტის განცხადება იყო საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის გადმოწევის თაობაზე, რაც აუცილებლად გამოიწვევს ცვლილებების შეტანას საქართველოს კონსტიტუციაში. თუმცა, მემარჯვენე ოპოზიცია აცხადებს, რომ ბოიკოტზე უარის თქმის უმთავრესი მიზეზი რუსეთ-საქართველოს დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაა.**

– დავით გამყრელიძემ ხელისუფლებას ბევრჯერ შესთავაზა რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებელი სამუშაო გეგმა, თუმცა, ეს ამაო გამოდგა, – ამბობენ მემარჯვენეები.

„მოხდა ისე, რომ პოლიტიკური სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა და არა – ჩვენს სასარგებლოდ. ვაცხადებთ, რომ



თუკი არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები, გავაგრძელებთ ბოიკოტს. გვინდოდა, საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაენახა, რომ საქართველოში ერთპარტიული რეჟიმია. სამწუხაროდ, დაძაბული ურთიერთობები რუსეთთან, ქართველების დეპორტაციები, ცხინვალის რეფერენდუმი, გაეროს რეზოლუცია – ნამდვილად არ არის ქართული დიპლომატიის წარმატება და პოლიტიკური ღრუბლების თავმოყრა საქართველოზე გვადგმევინებს იმ ნაბიჯს, რომ შევთავაზოთ ხელისუფლებას, ხალხთან ერთად დავსხდეთ და პასუხი მაინც გავცეთ იმ კითხვებს, რაც საზოგადოებას აინტერესებს. სახელდობრ, რა გველის ხვალ და შემდგომ. ერთობლივად შევიმუშავოთ მკაფიო ოპოზიცია, როგორი ნაბიჯები გადავდგათ საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით მიიღო ფრაქციამ ამ ეტაპზე ბოიკოტის შეწყვეტის გადაწყვეტილება, – ამბობს მამუკა კაციტაძე.

ამდენად, მემარჯვენეების ბოიკოტის შეწყვეტის უმთავრესი მიზეზი ხელისუფლების არაადეკვატურობაა – თავისი განცხადებებით იგი პოლიტიკურ რეალობას მოწყდა და ამიტომაც, მემარჯვენეებს სურთ შეახსენონ მას, რომ საჭიროა მეტი კონსტრუქციულობა.

„მაგრამ ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ დავივიწყეთ ყველაფერი. პირადად მე, გამოსვლას დავიწყებ იმით, რომ გადადგეს ვ. მერაბიშვილი. მივიჩნევთ, რომ დღეს ამის რაღაც შანსი კიდევ არის, – აცხადებს კაციტაძე.

მემარჯვენეებისგან განსხვავებით, მრეწველები უარს აცხადებენ ბოიკოტის შეწყვეტაზე და მიიჩნევენ, რომ ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კოლეგებთან კონსულტაციები იყო საჭირო.

„ჩვენ, ამ ეტაპზე თავს ვიკავებთ პარლამენტში დაბრუნებაზე, რადგან მიზეზი, რის გამოც დარბაზი დავტოვეთ, რეაგირების გარეშე დარჩა. ალბათ, უკეთესი იქნებოდა, სანამ მემარჯვენეები პარლამენტში დაბრუნდებოდნენ, კონსტრუქციული დიალოგი გვქონოდა.

სიტუაციას გავაანალიზებთ და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას, – ამბობს ზურაბ ტყემალაძე.

თავად კონსტრუქციულობაზე პრეტენზიის მქონე მემარჯვენე ოპოზიცია მრეწველებისთვის არ აღმოჩნდა კონსტრუქციული. მიუხედავად ამისა, ისინი არ აპირებენ გაბუტული ბავშვივით კუთხეში დგომას, როგორც ამას გ. ცაგარეიშვილი ამბობს. მაგრამ ამ ეტაპზე მრეწველები მხოლოდ კონსულტაციებს აპირებენ პარლამენტის თავჯდომარესთან და, თუ კონსენსუსს მიაღწევენ, გამორიცხული არ არის, რომ პარლამენტში დაბრუნდნენ.

**თამარ ზუმფალიშვილი**

◎ იმედი

# ევროკავშირი მზად არის...

**ევროკავშირი მზად არის, ხელი შეუწყოს რუსულ-ქართული ურთიერთობების დარეგულირებას.**

ასეთი განცხადება ევროკომისარმა საგარეო საკითხებსა და ევროპის პოლიტიკაში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტში გამოსვლისას გააკეთა.

როგორც სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება, ევროპელი დიპლომატის მტკიცებით, ევროკავშირი მზად არის, უფრო აქტიურად ითანამშრომლოს კონფლიქტების მოწესრიგების სფეროში როგორც დნესტრისპირეთში, ასევე აფხაზეთში.

მისივე თქმით, ევროკავშირი ძლიერ არის შეშფოთებული ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დაძაბულობის ზრდით.

**ინტერპრესნიუსი**

◎ რედაქტორის აზრი

# მგონი, კიდევ არის შანსი...

**ნამდვილად არ ვარ ის კაცი, ვინმეს, რა გინდ ნაწყენი ვიყო, თუ რამ კარგი გაუკეთებია, დავუვიწყო და დავუკარგო.**

**ამიტომ არ ვემხრობი რუსეთის ხელაღებით გინებას, თავის დღეში არაფერი სიკეთე ჩვენთვის არ გაუკეთებიაო.**

**როგორ არ გაუკეთებია, გაუკეთებია! იქნებ ხშირად იმ სიკეთეს ჩვენთვის კი, თავისთვის (იმპერიისთვისძ აკეთებდა, მაგრამ ობიექტურად ჩვენთვის (როგორც ამ იმპერიის ნაწილისთვისძ გამოდიოდა.**

**ამიტომ (და კიდევ უამრავი სხვა რამის გამო, თუნდაც იმის გამო, რომ არ შეიძლება მეზობელს, სხვის იმედად, დღენიადაგ უჩიჩხინო და კბინოძ, არ მომწონს რუსეთის მასირებული, ხელაღებით ლანძღვა, თანაც უმაღლეს დონეზე, უმაღლეს ხელისუფალთა პირით.**

**ყველაფერს თავი დავანებოთ, რეალობის აღქმის უნარის დაკარგვა მაფიქრებს – რუსეთის მცირე ომს მოვუგებთო. იქნებ უხერხული შედარებაც იყოს, მაგრამ მორგებულია და რა ვქნა: აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის საპალნე არ აიკიდოს...**

**ღმერთი, რჯული, ამას ვინმეს გულის გასატეხად და ჩვენი ჯარის (მადლობა ღმერთს, ის დღეს უკვე მართლა ჯარიაძ გასაბიაბრუებლად არ ვამბობ. არამც და არამც. ოღონდ თუ ვინმეს ჩეჩნეთის მაგალითი აგულადებს, ისიც დაიანგარიშოს, რატომ შეძლეს ჩეჩნებმა რუსეთთან ორი თავგანწირული ომის ღირსეულად წაგება, რამ შეაძლებინა მათ ასეთი საშინელი მსხვერპლის (მოსახლეობის ლამის მეოთხედი დაიღუპა ან იქიდან აიყარაძ გაღება და ისიც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მესამედაც და მეოთხედაც რომ იომებენ.**

**კი, ხანდახან წინდაწინ, დაწყებამდე წაგებულ ბრძოლაზეც უნდა წახვიდე, სახვალიოდ გამოსაწრთობად, დენთისა და სისხლის სუნზე დასაგეშად. მაგრამ ბრძოლის წაგება (ან მოგებაძ ომის წაგებას (ან მოგებასძ არ ნიშნავს.**

**რუსეთს შეიძლება რამდენიმე ბრწყინვალე ბრძოლა მოვუგოთ, მაგრამ ომს (რაგინდ პატარაც იყოსძ, ალბათ, თავს გაიგიჟებს, ყველა საშუალებას (ეკონომიკურს, სამხედროს, ტექნიკურს, ცოცხალ ძალასძ გამოიყენებს და არ მოგვაგებინებს.**

**ამის (მოგებული ბრძოლებისა და წაგებული ომებისძ თვალსაჩინო მაგალითი ისევ ის ერთიანად გადაბუგულ-დალეწილი ჩეჩნეთია.**

**ამ გრძელზე-გრძელი შესავლის შემდეგ კიდევ მინდა გავიმეორო: თავშეკავება და მოთმინება (დიახ, ათასმეერთედ!ძ გვმართებდა, რათა რუსეთთან ურთიერთობა ლამის ომის ზღვრამდე არ მიგვეყვანა.**

**მაგრამ...**

**მაგრამ ის, რასაც დღეს რუსეთი სჩადის, არანაირ ფარგლებში არ ჯდება, არანაირი გამართლება არა აქვს.**

**ეს უკვე „განაწყენებული, გაბრაზებული, შეურაცხყოფილი ქვეყნის“ მოქმედება არ არის, ველურობა და უმოწყალობაა.**

**მან დაგვანახა, რას წარმოადგენს ნამდვილი, ჭეშმარიტი რუსეთის სახელმწიფო, რომელსაც საბაბი (და მიზეზიძ მიეცა, ანგარიში გაუსწოროს პატარა ქვეყანას. აქ, ვფიქრობ, საჭირო არ არის მერამდენედ იმის ახსნა, რომ „ჭეშმარიტ რუსეთში“ იგულისხმება რუსული იმპერიული აზროვნება, რუსეთის ხელისუფლების ველიკოდერჟავული, შოვინისტური შიგთავსი და არა რუსი ხალხი, თუმცა კი ამ ხალხის დიდი ნაწილი (51 პროცენტიძ ხალისით არის ჩაბმული ხელისუფლების ანტიქართულ ძალისხმევაში. ქართველთმოძულეობა იმ აბსურდამდეც კი მივიდა, რომ წიგნების მაღაზიებიდან ბულატ ოკუჯავას თხზულებებსაც იღებენ.**

**რაც მთავარია, ჯინი ბოთლიდან გამოშვებულია, უკიდეგანო რუსეთში გრუზინოფობია ლაღობს და თარეშობს და ხვალ და ზეგ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა სულაც გოზინაყად რომ იქცეს, იმ ჯინის უკან ჩადენვა ძალზე გაჭირდება, ყოველ შემთხვევაში, დიდი დრო და რუდუნება დასჭირდება.**

**აქ თავს უფლებას მივცემ, ერთი ასეთი ჩემეული დაკვირვება გავაცნო მკითხველს: მიუხედავად ოპოზიციის პროტესტისა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მან პირწმინდად წააგო.**

**არადა, თითქოს უნდა მოეგო, სწორედ საქართველო-რუსეთის გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, რასაც ოპოზიციაც და ბევრი სხვაც, არცთუ უსაფუძვლოდ, სწორედ საქართველოს ხელისუფლებას აბრალებდა. მაგრამ წააგო და ამის ერთ-ერთ სარჩულად, პირადად მე, „საქართველოს ბრალზე“ რუსეთის აღვირახსნილი, თანამედროვე მსოფლიოსთვის წარმოუდგენელი, ანტიქართული რეაქცია მგონია, რამაც აღაშფოთა ქვეყანა და გარკვეულად „დარაზმა“ ხელისუფლების გარშემო.**

**ნათქვამია, ჩხუბის დროს კაცს ისეთი რამ არ უნდა უთხრა, შერიგების დროს შეგრცხვესო. ალბათ რუსულშიც არის ამ ანდაზის შესატყვისი (ან, იქნებ, სულაც ეს არის რუსულიდან გადმოქართულებულიძ. მაგრამ არ შეიმჩნევა, რომ კრემლისთვის ეს სიბრძნე ნაცნობია.**

**გამოვიდა იმ დღეს რუსეთის პრეზიდენტი, ბატონი პუტინი ევროკავშირის ლიდერთა არაფორმალურ სამიტზე და თვალი არ დაუხამხამებია, ისე თქვა: ჩვენ, რუსეთი არაფერ შუაში ვართ, ეს კონფლიქტი ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსურიაო. ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდა, სისხლი დაიღვაროსო. არადა, ჩვენდა დიდად სამწუხაროდ, საქართველო საომრად არის შემართულიო. იქვე ლამის თვალებზე ცრემლი მოადგა: თქვენ წარმოიდგინეთ ეს საწყალი, დაჩაგრული აფხაზეთი და ოსეთი ორივე ერთად საქართველოზე პატარააო.**

**აქ, რა თქმა უნდა, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს „დაავიწყდა“ (არ მინდა შევკადრო, რომ მან, უბრალოდ, იცრუაძ რუსეთის ავბედითი როლი ამ „კონფლიქტებში“, არც ის, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის შეფარდება ასჯერ მაინც აღემატება საქართველო-აფხაზეთ-ოსეთისას.**

**მაგრამ აქ მთავარი ის არ არის, დაავიწყდა თუ იცრუა, მთავარი გახლდათ, რომ როგორც ჩანს, ვლადიმერ ვლადიმეროვიჩიც მიხვდა (მიახვედრეს?ძ რომ იმას, რაც რუსეთში ქართველთა მიმართ ხდება, რაც რუსეთ-საქართველოს შორის ხდება, კვლავაც გაგრძელება აღარ შეიძლება (პირველ რიგში თავად რუსეთისათვისძ, უბრალოდ, ადამიანურობის თვალსზერისით და თბილისთან დიალოგის გაგრძელების საჭიროებაზე ჩამოაგდო სიტყვა. მგონი კიდევ არის შანსი...**

**საქართველოს პრეზიდენტსაც ალბათ კარგად აქვს გასიგრძეგანებული ვითარების არანორმალურობა და უმალ დათანხმდა, თუ უნდა, აგერ ხვალვე, აქედანვე გავფრინდები მასთან შესახვედრადო.**

**ჩვენი პრეზიდენტი ამ განცხადების დროს მისთვის საყვარელ გარემოში იყო: არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში ყველაზე პირველი ტექნიკური საოცრების – თბილისის აეროპორტის მშენებლობას ათვალიერებდა.**

**ეს ამაღლებული განწყობა კვირასაც გაგრძელდა „თბილისობაზე“, სადაც ხელისუფლებასთან ერთად ხალხიც ზეიმობდა და ხარბად, ნეტარებით იყნოსავდა აქა-იქ ავარდნილ მწვადის სუნით გაჯერებულ კვამლს...**

განსჯა

# რუსული ფაშიზმი მთელმა მსოფლიომ უნდა დაგმოს

## საქართველოს ხელისუფლების კოზირი

**რუსეთში საქართველოს კონსულის ზურაბ პატარაძის ინფორმაციით, რუსეთიდან საქართველოში, ზოგადად, 807 ადამიანია დეპორტირებული. დაახლოებით, 2117 სასამართლო გადაწყვეტილებაა საქართველოს მოქალაქეების გაძევებაზე. 29 სექტემბრიდან – დღემდე, რუსეთში შემოწმებულია 4105 დაწესებულება, სადაც ქართველები მუშაობენ. მათგან 56 დაწესებულება თურმე, უკვე დაკეტეს.**

გავრცელებული ინფორმაციით, მოსკოვის მიმღებ-გამანაწილებლიდან მალე 61 ქართველს ჩამოიყვანენ. ამასთან, დეპორტაციისთვის კიდევ 150 ქართველს ამზადებენ.

უკვე ცნობილია, რომ ქართველებს რუსეთში დაუსაბუთებლად აკავებენ. ხშირად მათ შინ აკითხავს მილიცია, პასპორტსართმევს, და რაღაც დროის შემდეგ, მიაქვთ სასამართლო გადაწყვეტილება, გაძევებული ხართ რუსეთის ფედერაციიის ტერიტორიიდანო. არის შემთხვევები, როდესაც პიროვნება ბადრაგით მიჰყავთ სასამართლოში.

ქართველებს, მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის მიმღებ-გამანაწილებლებში საშინელ სიცივეში, ყინვაში, მშიერ-მწყურვლით ამყოფებენ. ერთ-ერთი დაკავებულის მეუღლეს ტყუილად უთქვამს, რომ ის ქართველი კი არა, აფხაზია...

ამ დღეებში მთელმა მსოფლიომ დაინახა რუსეთის ნამდვილი სახე. ყოველივე ქართულის სიძულვილს პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა ფაშიზმი უწოდეს. გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისართან ლუის არბურთან უკვე დევს საქართველოს სახალხო დამცველის სოზარ სუბარის მიმართვა, სადაც იგი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსეთის ხელისუფლების მოქმედება მწვანე შუქს უნთებს მრავალრიცხოვან ფაშისტურ დაჯგუფებებს, რომლებიც რუსეთში აშკარად მოქმედებენ: „ეს ის შემთხვევაა, როცა მთელი მსოფლიოს უფლებების დამცველებმა ხმა უნდა აიმაღლონ რასიზმისა და ქსენოფობიის პოლიტიკის წინააღმდეგ. დღეს გაჩუმება ნიშნავს, რომ ხვალ ყველას მოგვიწევს ცხოვრება ევროპაში, სადაც სიძულვილი, რასიზმი და ქსენოფობია უცხოელთა წინააღმდეგ ცხოვრების წესად იქცევა. თუ არ შეწყდება ის, რაც დღეს რუსეთში ქართველების მიმართ ხორციელდება, ხვალ ეს ყველა ეთნიკურ უმცირესობას შეეხება“.




რუსეთში ქართველთა დევნის ფაქტებს რომის სტატუტის კონფერენციაზეც განიხილავენ. პარლამენტის უმრავლესობის ლიდერის მაია ნადირაძის თქმით, პარლამენტში შექმნილია დროებითი კომისია, რომელიც სწავლობს ამ საკითხს: „ჩვენ ამ კონფერენციაზე მთელ მსოფლიოს ვაცნობებთ ქართველების შევიწროვებისა და რუსეთიდან მათი უკანონოდ დეპორტაციის ფაქტებს“, – განაცხადა ნადირაძემ.

საქართველო სტრასბურგის ევროსასამართლოშიც შეიტანს საჩივარს რუსეთის ქმედების გამო.



საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს ხელისუფლების დიპლომატიური მარცხის შემდეგ ეს ყველაფერი, მართლაც, დროულია, მაგრამ საეჭვოა, რამდენად მოიტანს შედეგს, როცა გაეროში, ბრიუსელსა და ფინეთში, ფაქტობრივად, საერთო ევროპული პროტესტი არ გამოუხატავთ.

ნუთუ, საქართველო მარტო დარჩა რუსეთის პირისპირ? ახლა ბევრს წერენ მიხეილ სააკაშვილის „ექსცენტრულ“ დიპლომატიაზეც, ვფიქრობ, სწორედ ამ პოლიტიკამ დაანგრია წლების მანძილზე რუსეთის მიმართ არსებული დიდი შიშის კედელი. თუმცა ვერ გათვალა, რომ XXI საუკუნეშიც კი გაცოფებული რუსეთი უბრალო ადამიანებზე გადატეხავდა ჯოხს და დიდ პოლიტიკას მათი სიცოცხლე შეეწირებოდა.

სამწუხაროდ, ასე მოხდა. ახლა უკან დახევა გვიანია. კარგი იქნება, თუ სააკაშვილისა და პუტინის შეხვედრა გაიმართება და რუსეთის ქალაქებში ქართველთა მხარდამჭერი აქციებიც გახშირდება.

საქართველოს ხელისუფლებას კოზირი აქვს მოხელთებული: დაგმოს რუსული ფაშიზმი და მთელ მსოფლიოს დაანახვოს მისი არსი.

ქართველი ერი ამ დაპირისპირებაში ზნეობრივად მართალია. ჩვენ, რუსებისგან განსხვავებით, არ ვდევნით მათ მოქალაქეებს, რუს ბავშვებს სკოლებიდან არ ვაძევებთ და არ გვძულს ისინი. ჩვენ მათზე ბევრად ჰუმანურები აღმოვჩნდით და ამით ვაჯობეთ კიდეც. მაგრამ არის რუსეთის იმპერია, რომელსაც დიდ პოლიტიკაში ანგარიშს მაინც უწევენ.

სამწუხაროდ, ასეთია მკაცრი რეალობა, რომელსაც საქართველომ თვალი უნდა გაუსწოროს. საკუთარი დიპლომატიაც ამის გათვალისწინებით წარმართოს.

**თამარ შაიშმელაშვილი.**

ინფორმაცია

## სააკაშვილი – თანამედროვეობის ნელსონ მანდელა

**ჰაიფას უნივერსიტეტმა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭა.**

**სააკაშვილისთვის დოქტორის ტიტულის მინიჭების ცერემონიალი საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში დაგეგმილი ვიზიტის დროს გაიმართება.**

**ისრაელის პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ოლმერტი და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იერუსალიმში თანამედროვე ენერგეტიკული პრობლემების სამეცნიერო კვლევის ცენტრსაც ეწვევიან, რომლის ხელმძღვანელმა ბრენდ შეფერმა სააკაშვილს თანამედროვეობის ნელსონ მანდელა უწოდა.**

**„ისევე როგორც სააკაშვილი არ ცვლის თავის ვიზიტს ისრაელში ირანის უკმაყოფილების მიუხედავად, ჩვენც არ ვცვლით სააკაშვილის ვიზიტს ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ არ გვსურს რუსეთთან დავა. მაგრამ მივიჩნევთ, რომ სააკაშვილი XXI-ე საუკუნის ნელსონ მანდელაა. ის წარმოადგენს დემოკრატიის არაძალისმიერი გზით გავრცელებისა და კორუფციასთან ბრძოლის სიმბოლოს“, – განაცხადა მეცნიერებათა დოქტორმა ბრენდ შეფერმა, რომელიც ენერგეტიკული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია.**

**ეს განცხადება შეფერმა რუსეთის მხრიდან საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ისრაელში დაგეგმილი ვიზიტის გამო გამოთქმული უკმაყოფილების თაობაზე გააკეთა.**

## ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მართლად სჯის

**ოფიციალური ირანის განცხადებით, ამ ქვეყნის ენერგეტიკულ სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობა რომელიმე მესამე ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული არ არის.**

**ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მანუჩეხრ მოტტაკმა განაცხადა, რომ საქართველოსა და ირანის თანამშრომლობა ენერგეტიკულ სფეროში არ შეიძლება შეფასდეს, როგორც წინააღმდეგობის გაწევა, რომელიმე მესამე ქვეყნისათვის.**

**მანვე აღნიშნა, რომ ირანის მიერ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობების გაღრმავება როგორც რუსეთთან, ისევე საქართველოსთან „ჩვეულებრივი და ბუნებრივი“ პროცესია, ამაში განსაკუთრებული არაფერი არ არის და ამ თანამშრომლობას საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დაპირისპირებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.**

**მანუჩეხრ მოტტაკმა ასევე მოუწოდა საქართველოსა და რუსეთს, მოლაპარაკებათა მაგიდას მიუსხდნენ და მათ შორის არსებული პრობლემები დიალოგის გზით მოაგვარონ. „საქართველოსა და რუსეთს შორის წარმოქმნილი კრიზისი ჩემსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის გამართულ მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო. ირანისთვის მეგობრულ ამ ორ სახელმწიფოს მოლაპარაკებებისკენ მოვუწოდებთ“, – ამბობს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი.**

**ჩი-ეიჩ-ენი**

იმერეთის მხარე

# ქუთაისის ბიუჯეტში 5 მილიონ 465 ათასი ლარი გადაირიცხება



**საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქუთაისის ბიუჯეტში 5 მლნ. 465 ათასი ლარი გადაირიცხება.**

**როგორც ინტერპრესნიუსს მთავრობის კანცელარიაში განუცხადეს, ტრანსფერიდან 1 მილიონ 973 ათასი ლარი მჭედლიძის, როძევიჩის, ირაკლი აბაშიძის, გაპონოვის, სოლომონ I-ის, გამარჯვებისა და ჯანელიძის ქუჩების საკანალიზაციო სისტემისა და გზების აღდგენას მოხმარდება.**

512 ათასი ლარი კიბულისა და წერეთლის ქუჩებზე წყლის მილების შეცვლისთვის არის გათვალისწინებული. 500 ათასი ლარით თაბუკაშვილის და ლესელიძის ქუჩების, ასევე ავტოქარხნის სამხრეთი დასახლებების გაზგამანაწილებლის სისტემის რეაბილიტაცია იგეგმება. 990 ათასი ლარი ქუთაისში ფასადების კაპიტალურ შეკეთებას მოხმარდება.

ტერიტორიული ბიუჯეტისთვის გამოყოფილი ტრანსფერიდან 760 ათასი ლარი მრავალპროფილიანი საავადმყოფოს გადახურვის, 385 ათასი ლარი – შანიძის აღმართის, განათლების პირველი შესახვევის, ტყიბულის, ბაგრატის, ბარნოვისა და ნინოშვილის ქუჩების საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციის, ხოლო 345 ათასი ლარი კი ღვარსადენის შეკეთებისთვის არის გამოყოფილი.

**ინტერპრესნიუსი**

SIC!

# ვინ უნდა გვიშველოს?

**რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბულობის ფონზე რესპონდენტებს ყველაზე მეტად აშშ-ის იმედი აქვთ.**

გაზეთ „კვირის პალიტრის“ 16-18 ოქტომბრის გამოკითხვის თემას – „რუსეთ-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის ფონზე რომელი ქვეყნისგან ელოდებით ყველაზე აქტიურ მხარდაჭერას?“ – 528 რესპონდენტი გამოეხმაურა. მკითხველს რედაქციის მიერ ჩამოთვლილი ქვეყნების მიხედვით უნდა შეედგინა რეიტინგი, სადაც მაქსიმალური შეფასებაა – 9, ხოლო მინიმალური – 1 ქულა.

გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეიტინგული მაჩვენებელი წარმოადგენს საშუალო ქულას, რომლის მიხედვითაც რეიტინგმა ასეთი სახე მიიღო:



| | |
|---|---|
| 1. აშშ | – 8.30 |
| 2. უკრაინა | – 7.68 |
| 3. ბალტიისპირეთის ქვეყნები | – 6.18 |
| 4. გერმანია | – 5.12 |
| 5. აზერბაიჯანი | – 5.04 |
| 6. თურქეთი | – 4.62 |
| 7. დიდი ბრიტანეთი | – 4.21 |
| 8. ჩინეთი | – 2.04 |
| 9. სომხეთი | – 1.81 |

**ინტერპრესნიუსი**

## ინფორმაცია

### ბავშვთა გულების მკურნალი

საქართველოში გუშინ ჯოენის ბავშვთა კლინიკის დაარსებიდან 10 წლის იუბილე აღინიშნა.

ბავშვთა გულის ქირურგიის სამსახური საქართველოში 1996 წელს დაარსდა. აღნიშნული სამსახურის დამფუძნებელი და ორგანიზატორი ორგანიზაცია „გლობალ ჰილინგის“ პრეზიდენტი ჯოენ მაკგოვენი საქართველოში ბავშვთა გულის ქირურგია-კარდიოლოგიური კლინიკის გახსნიდან ერთ კვირაში გარდაიცვალა. როგორც ჯოენის სახელობის კლინიკის დღევანდელი ხელმძღვანელობა აცხადებს, გახსნის დღიდან საავადმყოფოში 10 000-ზე მეტი კარდიოლოგიური ოპერაცია შესრულდა. სრულიად უფასოდ ოპერაციები ჩაუტარდათ გულის თანდაყოლილი მანკის მქონე მცირეწლოვან პაციენტებს. 1999 წელს გაიხსნა კავშირი „სისხლის გადასხმის სამსახური“. 2000 წელს კლინიკის გამგეობის გადაწყვეტილებით ფუნქციონირება დაიწყო მოზრდილთა გულ-სისხლძარღვთა ქირურგიისა და ურგენტული კარდიოლოგიის განყოფილებამ.

### „ბრძოლა“ ზღვაზეც დაიწყო

შორეული აღმოსავლეთის პორტებში ე.წ. მოსახერხებელ დროშებთან „ბრძოლის“ საწინააღმდეგო აქცია დაიწყო.

აქციის დაწყების ორგანიზატორები საერთაშორისო სატრანსპორტო ფედერაცია და რუსეთის მეზღვაურთა პროფკავშირი არიან.

აქციის მიზანი იმ მეზღვაურთა სამსახურებრივი პირობების გაუმჯობესებაა, რომლებიც იმ გემებზე მსახურობენ, რომლებიც მესამე ქვეყნების დროშის ქვეშ არიან რეგისტრირებულნი. იმ მესამე ქვეყანათა რიგს, რომელთა დროშასაც აქტიურად, მათთვის გამოყოფილი შეღავათების გამო იყენებენ გემთმშენებლები, მიეკუთვნებიან: საქართველო, ჩრდილოეთ კორეა, კამბოჯა, პანამა, მონღოლეთი და სხვა სახელმწიფოები.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორთა თქმით, აღნიშნული ქვეყნების სახელმწიფო დროშის ქვეშ მცურავ გემთა ეკიპაჟებთან არ აფორმებენ კოლექტიურ შეთანხმებას, ხელფასის რაოდენობა შემცირებულია, ამას გარდა ამ ხელფასებს დაგვიანებით არიგებენ.

ХИ-ЭЙВ-ЭНИ

## თვალსაზრისი



# შელახული

## ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება: წარსული და თანამედროვეობა

**მუშების** აბსოლუტური უმრავლესობა კლასობრივი (პარტიული) ცნობიერებით იყო მოწამლული და ეროვნულ ცნობიერებას წარსულის მავნე გადმონაშთად თვლიდა. მუშების უმრავლესობას გლეხების მსგავსად არ გააჩნდა პატრიოტული, მოქალაქეობრივი შეგნება. მუშები თავის მისიას კლასობრივი ცნობიერებით შეპყრობილი პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერაში ხედავდნენ და არა სახელმწიფოს (სამშობლოს) ერთგულებაში. ამისი მაგალითია ქართული სახალხო გვარდიის პოზიცია. სახალხო გვარდია, რომელიც ძირითადად თბილისის მუშებისგან შეიქმნა, თავის მისიას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და არა სამშობლოს დაცვაში ხედავდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ქონების გადანაწილების თვალსაზრისით, რადიკალური ღონისძიებანი ვერ გაატარა. გარდა იმისა, რომ ვითარების გამოსწორება ობიექტური მიზეზების გამო ძნელი იყო, **ხელისუფლების პოლიტიკურ მრწამსს ეწინააღმდეგებოდა ძლიერი ეროვნული ბურჟუაზიისა და გლეხობისაგან კერძო მესაკუთრეთა ძლიერი ფენის შექმნა.** საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატარებული აგრარული რეფორმა წარმოუდგენლად უკეთესი იყო, ვიდრე საბჭოთა რუსეთში გატარებული აგრარული რეფორმა, მაგრამ იგი მაინც ვერ უზრუნველყოფდა ფერმერთა ძლიერი ფენის შექმნას, რომელიც ხელისუფლების სოციალური დასაყრდენი იქნებოდა. საბოლოოდ, პოლიტიკურმა ელიტამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაცემამდე მიიყვანა. აუცილებლობის ჟამს ხელისუფლება ძლიერი სოციალური დასაყრდენის გარეშე და სუსტი არმიის ამარა აღმოჩნდა.

1918 წლის 26 მაისი, თავისთავად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღმავლობის მაუწყებელი იყო. მიუხედავად ამისა, თუ ღრმად გავიაზრებთ ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ 1917 წლის მარტიდან (რუსეთის იმპერიის დამხობიდან) 1918 წლის მაისამდე (სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე) განვლილ გზას, აშკარად შევნიშნავთ ორ მეტად არასასურველ მომენტს. **პირველი:** ქართული პოლიტიკური ელიტა, მართალია, იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ თავს სულაც არ მიიჩნევდა XIX საუკუნის 60-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის მემკვიდრედ (ეს ეხება როგორც სოციალისტური ორიენტაციის პარტიებს, ისე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს); **მეორე:** რუსეთთან სახელმწიფოებრივი გამიჯვნის უმთავრესი (განმსაზღვრელი) მიზეზი იყო არა ეროვნული, არამედ პარტიული. **ქართული პოლიტიკური ელიტა ემიჯნებოდა არა ზოგადად რუსეთს, რუსეთის სახელმწიფოს, არამედ საბჭოთა, ბოლშევიკურ რუსეთს.** ვის აზრს გამოხატავდა ქართული პოლიტიკური ელიტა? მხოლოდ და მხოლოდ თავის პარტიულ აზრს. ვის ეყრდნობოდა პოლიტიკური ელიტა? ისევ და ისევ პარტიული იდეებით შეპყრობილ სოციალურ ძალებს (მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას). რა გააკეთა პოლიტიკურმა ელიტამ მთელი ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეების გარშემო გაერთიანებისათვის? პრაქტიკულად, არაფერი. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო (ეროვნული საბჭო, პარლამენტი, დამფუძნებელი კრება) პარტიული პრინციპით იყო გათიშული. უფრო მეტიც, თითოეული პარტია ფრაქციებად დაიშალა და პარტიული გამიჯვნის ნაცვლად **პარტიულ-კლანური** გამიჯვნა მივიღეთ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერება დამფუძნებელი კრების არჩევნების პერიოდში აშკარად დაჩრდილა პარტიულ-კლანურმა ცნობიერებამ. დამფუძნებელი კრების წევრი ვერ გახდა ბევრი ცნობილი ეროვნული მოღვაწე, მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი, იმჟამად უკვე საქვეყნოდ ცნობილი ისტორიკოსი **ივანე ჯავახიშვილი**. დამფუძნებელი კრების არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა წარმოუდგენელ შედეგებს მიაღწიეს – დაამარცხეს არა მარტო ეროვნულ-დემოკრატები, არამედ სოციალისტური ორიენტაციის პარტიებიც. **ამრიგად, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დაეპატრონა უკვე სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური ელიტა, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებაზე ვერ იზრუნებდა, რადგან თვითონ პარტიულ-კლანური ცნობიერების მატარებელი იყო**.



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 206-207.

## განსჯა

# რესპუბლიკური გამბიტი

**ცხადია, მე არ გახლავართ ქართველობაზე უარნათქვამი და მაინც ქართველობისთვის შეფუცხუნებული ბორის აკუნინი (ჩხარტიშვილი) და არც ეს წერილია „თურქული გამბიტის“ რაიმე ვარიაცია. უბრალოდ, სათაური მიესადაგა კარგად იმ პროცესებს, რაც ამ ბოლო სამი თვის განმავლობაში საქართველოში განვითარდა. თანაც, არც ბოტვინიკის ანალიზის უნარია საჭირო, რომ ხელისუფლების სვლების შემდეგ ანალიზი გამეკეთებინა (ბოტვინიკი – დიდი მოჭადრაკე, წარმოშობით ებრაელი, აკუნინის არ იყოს, გარუსდა. ისე, რა უცნაურია არა, ეს „გამბიტების“ მცოდნენი, ყველანი როგორ რუსდებოდნენ).**

ჩვენი ხელისუფლება წარმატებით მიჰყვება იმ სტანდარტულ კურსს, რომლის არსი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაა. ამ კურსს, ცხადია, ეთანხმება ის ძალაც, რომელიც გარედან მართავს ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ ასეთ სვლას, ხელისშემშლელ ფაქტორად, ხშირად, ოპოზიცია ევლინება.

საქართველოში ოდითგანვე იყო ოპოზიციის ფართო სპექტრი, რომლის არსებობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არა საბოლოო მიზნის, ან მისკენ მიმავალი გზების სხვადასხვაგვარად ხედვა იყო, არამედ თითოეულ ქართველში ჩაბუდებული „პოტენციური ხელმწიფის“ პრინციპი. სწორედ ამის ბრალია ის არანორმალური ფაქტი, რომ 1995 წელს, ე. ი. სსრკ კონსტიტუციაში მე-6 მუხლის ამოღებიდან (ამ მუხლით საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთი – კომუნისტური პარტიის არსებობა იყო ნებადართული) სულ რაღაც 6 წელიწადში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 156 პოლიტიკური პარტია თუ ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული. საოცარია, მაგრამ ქართულმა გონებამ 156 სხვადასხვა პოლიტიკურად აქტიური სახელი მოიფიქრა (წარმოიდგინეთ რა რთულია, 156 ადამიანის სახელის ჩამოთვლა და შეადარეთ 156 პოლიტიკურ ორგანიზაციას).

როგორც მოსალოდნელი იყო, ნელ-ნელა ეს ორგანიზაციები დაიფერთხნენ და მეტ-ნაკლებად აქტიური ათიოდე პარტია შემოგვრჩა (ყველა პოლიტიკურ ძალას პარტიას ვუწოდებ, რადგან პარტიები არიან და რა ვქნა). ასევე გაქრა სახელწოდებებიდან სიტყვა „ეროვნული“, რისი მიზეზიც, ალბათ, ქართველი პოლიტიკოსების ლექსიკონიდან სიტყვა „სამშობლოს“, „ქვეყნით“ ან „სახელმწიფოთი“ ჩანაცვლებაში უნდა ვეძებოთ. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია ხელისუფლების დამოკიდებულება დარჩენილ პარტიებთან, ის ნაბიჯები, რომლებიც გადადგა ხელისუფლებამ არჩევნების წინ მათთან მიმართებაში და ვინ იხეირა ყველაზე მეტად ამ ნაბიჯებით.

ხელისუფლების ნაბიჯები:

1. წარმატებით ტარდება ე. წ. კოდორის საპოლიციო ოპერაცია, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, გათვლილი იყო არა გარეშე მტრებზე, არამედ შიგა ოპოზიციაზე. ოპოზიცია დაფრთხა და უნიათო განცხადებები გააკეთა ამ მოვლენებთან დაკავშირებით. სამაგიეროდ, დაიჭირეს ბათიაშვილი, რასაც რესპუბლიკელები, პირდაპირ რომ ვთქვათ, უბრალოდ, მიესალმნენ. ამ დაჭერით მოძრაობა „წინ, საქართველო“ ფაქტობრივად გამოეთიშა პოლიტიკურ ასპარეზს.

2. როგორც ცნობილია, ძველი „ეროვნული მოძრაობა“ თითქმის ამოვარდნილია დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრებიდან. ისინი, ვინც კომუნისტებმა ვერ შეაშინეს, მიზეზთა გამო, გამოეთიშნენ დღევანდელ პროცესებს. ერთადერთი თემურ ჟორჟოლიანი ცდილობდა მათს გაერთიანებას. მართალია ეს საკმაოდ რთული საქმე იყო, მაგრამ რაღაცას მაინც მოახერხებდა, რომ არა მისი დაპატიმრება. იმ მიზეზების ახსნა, თუ რაში სჭირდებოდა ჟორჟოლიანს აწ უკვე ოდიოზური პოლიტიკოსები, საკმაოდ მარტივია: აქ ჟორჟოლიანმა იცოდა, რომ ისინი ბევრს არაფერს აღარ წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ თამამად შეეძლოთ ეპასუხათ ლევან ბერძენიშვილის განცხადებაზე – შენ მასწავლი მე ამ ქვეყნის სიყვარულსო, ფრაზით, ნუ იქნები რომის პაპზე უფრო კათოლიკეო; ბძ ხალხში შეიძლება შექმნილიყო ნამდვილი „ეროვნული მოძრაობის“ რეანიმაციის განცდა, დაბოლოს, იყო საშუალება მიეზიდა ის ახალგაზრდობა, რომელიც ეროვნულად და არა – სოროსულად, აზროვნებს. ეს კი ხელისუფლებამ საკმაოდ ეფექტიანად აღკვეთა. დაიჭირეს ჟორჟოლიანი და არა სარიშვილი, რომელსაც ხალხში არც ისე კარგი რეიტინგი აქვს.

3. პოლიტიკური პარტიები მხოლოდ სოციალურ პრობლემებზე ამახვილებენ ყურადღებას. ეროვნული ბრძნობები სადღაც უკანა პლანზეა გადატანილი (ერთადერთი კონსტანტინე გამსახურდია ასოცირდება ეროვნულობასთან, მაგრამ ის ძალიან ინტელიგენტია პოლიტიკოსის კვალობაზე, რაც აზსანძესთან დებატებშიც გამოჩნდა). ამის გამო, ერის ლიდერი ვერასდროს გახდება ვერც ნათელაშვილი, ვერც თოფაძე, ვერც გამყრელიძე და ვერც ზურაბიშვილი. ერთადერთი კაცი, ვისაც, ასე თუ ისე, შეეძლო რაღაც პრეტენზია გამოეთქვა „ისტორიაში კარგი კაცის სახელით შესვლაზე“, კობა დავითაშვილი იყო. ის აღიქმებოდა როგორც განათლებული, პატიოსანი, მამაცი კაცი. აფხაზეთშიც იყო ნაომარი, ცოტა ქარიზმაც (პატარა, მაგრამ მუშა) ჰქონდა, შეეძლო ადვილად გადაეყლაპა უმრავლესობის ყველა რუპორი, მაგრამ გათამაშდა „ვის უნდა ოცი ათასი“ და დავითაშვილიც „ფა-ფუ“ (როგორც ამბობენ, დროებით, მაგრამ მაინც „ფა-ფუ“).

4. ახლებმა სწორი ნაბიჯი გადადგეს, როცა მონაწილეობა არ მიიღეს არჩევნებში და არ „გაფარჩაკდნენ“. ამ სიტყვებს გამყრელიძე ხშირად იმეორებს, რითაც ხალხსაც და ოპოზიციასაც თავის შორსმხედველობას ახსენებს. ასევე, პატარკაციშვილთან მათი წინასაარჩევნო ვალსის შემდეგ ზესაიდუმლო გამომეტყველებით გაკეთებული განცხადებები კოკო გამსახურდიას ემოციური გამოსვლებისგან განსხვავებით, ბევრს ჩააფიქრებს ახლების ნათელ მომავალზე და ჩააფიქრებს პატარკაციშვილის ფინანსების მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გამოყენების პერსპექტივაზე (და, შეიძლება, არა მარტო ფინანსების, რადგანაც ქართველებს უფრო მდიდარი კაციც გვყავს, რომელსაც შეიძლება მოსწყინდეს მარტო კარუსელებში ფულის ჩადება და უფრო მკვეთრი ნაბიჯები გადადგას).

ვინ მოიგო?

რესპუბლიკელებმა. მათ შეინარჩუნეს საპარლამენტო ფრაქცია, სადაც დავითაშვილის შემდეგ, ძიძიგურის „გადაყლაპვა“ უკვე ადვილია, რადგან იგი ფაქტობრივად ვერ გამოჩნდება ბერძენიშვილისა და ხაინდრავას „ინტელექტის“ ფონზე. თინიკო (ხიდაშელი) და დათო (უსუფაშვილი) კი ადვილად მოიზიდავენ ფინანსებს საერთო პატრონისგან, რომელსაც „პოზიციაც“ და დარჩენილი „ოპოზიციაც“ ჯიბეში ეყოლება ჩასმული.

ხოლო ჩვენ, რიგითმა ქართველმა მოქალაქეებმა, უნდა ვიოცნებოთ იმ დროზე, როცა – არა რუსი და არა ამერიკელი „სპონსორისგან“ დაფინანსებული პოლიტიკური ძალა მოვა და ნამდვილ ქართულ საქმეს გააკეთებს. აი, მაშინ ნამდვილად არ აღმოვჩნდებით ჩრდილო კორეის წინააღმდეგ მისალებ სანქციებში გასაცვლელი მონეტის როლში და ჩვენ თავად გადავწყვეტთ, რა ვუყოთ ჩვენს ლამაზ ქვეყანას.

**გია გაბრიჭიძე**

◉ თვალსაზრისი

# ღირსება

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წ.წ.) არსებობის პერიოდში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცებას სერიოზულად შეუშალა ხელი ქვეყნის ხელისუფლების ათეისტურმა პოლიტიკამ. მართალია, საქართველო განთავისუფლდა რუსეთის ბატონობისაგან (1918 წ.), აღდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია (1917 წ.), მაგრამ **ეკლესიამ სახელმწიფოს ცხოვრებაში ტრადიციული ადგილი ვეღარ დაიბრუნა.** კათოლიკოს-პატრიარქი იქცა უმნიშვნელო ფიგურად, მის აზრს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება არ ითვალისწინებდა. დაკნინდა ეკლესიის როლი მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტობის აღზრდის საქმეში, ქართულ ჯარში. საქართველოში სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფა თითქმის იგივე ფორმითა და შინაარსით განხორციელდა, როგორც საბჭოთა რუსეთში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ათეისტური პოლიტიკის გამოვლენა იყო საღვთო რჯულის სწავლების აკრძალვა საერო სკოლებში. 1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში (დღევანდელ პირველ კორპუსში) მოქმედი დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია, რომელიც 800 ადამიანს იტევდა, ხელისუფლების მითითებით უნივერსიტეტს გადაეცა, როგორც უბრალო ფართი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქართულ ჯარში არ დაუშვა კაპელანის თანამდებობა. საეკლესიო იერარქიის მიერ ბრძოლაში მიმავალი ქართული ჯარის დალოცვა აიკრძალა. ხელისუფლების წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ დიდ საეკლესიო დღესასწაულებში. უფრო მეტიც, ქვეყნის უმაღლესი პირი ნოე ჟორდანია კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მისი ლოცვებში მოხსენიების წინააღმდეგაც კი წავიდა და მასთან სადარბაზოდ მისულ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს მხოლოდ კაბინეტიდან გასულს დააწია თანხმობა.



1921 წელს საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო, ხოლო 1922 წელს იგი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში ქონების გადანაწილება შემდეგნაირად განხორციელდა: **მთელი ქონება გადავიდა სახელმწიფოს ხელში**. ფორმალურად მხოლოდ კოლექტიური მეურნეობები (კოოპერატიული საკუთრებაძ რჩებოდა სახელმწიფო საკუთრების გარეთ. რეალურად კოოპერატიული საკუთრების განმკარგველიც სახელმწიფო იყო. აიკრძალა მიწისა და სამრეწველო სიმძლავრეების კერძო საკუთრებაში ფლობა და ყიდვა-გაყიდვა. პრაქტიკულად ყველა კლასი და სოციალური ფენა ქონების (კერძო საკუთრების) გარეშე დარჩა. ბრძოლა გამოუცხადეს ეროვნულ ცნობიერებასაც.

1921 წლიდან საქართველოში კლასობრივი (პარტიული) ცნობიერების დამნერგავი ხელისუფლება იყო. ეროვნული ცნობიერება წარსულის მავნე გადმონაშთად გამოცხადდა, ხოლო ის, რასაც სახელმწიფოებრივ ცნობიერებად წარმოადგენდნენ, სინამდვილეში კლასობრივი (პარტიული) ცნობიერება იყო. **ხელისუფლების მიერ მოსახლეობის დაყოფა საბჭოთა წყობილების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, რევოლუციონერებად და კონტრრევოლუციონერებად, წითლებად და თეთრებად, ინტერნაციონალისტებად და ნაციონალისტებად, ათეისტებად და თეისტებად, პროლეტარებად და ბურჟუებად თავისთავად გამორიცხავდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას**. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს შემდეგი: საბჭოთა (ბოლშევიკურმა) იდეოლოგიამ და მასზე დამყარებულმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა სისტემამ რეალურად ფართო ასპარეზი გაუხსნა ველიკორუსულ შოვინიზმს. სამაგიეროდ, დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს სხვა ერების, მათ შორის ქართველების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. პატრიოტიზმის (საბჭოთა პატრიოტიზმის) და მოქალაქეობის (საბჭოთა მოქალაქეობის) შეგრძნება მოსახლეობაში ნამდვილად იყო. ეს



შეგრძნება ყალიბდებოდა არა ბუნებრივად, ქონების გადანაწილების კვალობაზე, არამედ საბჭოთა აგიტაციისა და პროპაგანდის დახვეწილი დემაგოგიის მეშვეობით. აგიტაციისა და პროპაგანდის ღერძი იყო ძველი წყობილების აღდგენის საფრთხეზე მინიშნება. მუშებს აშინებდნენ იმით, რომ ძველი წყობილების აღდგენის შემთხვევაში ქარხნებსა და ფაბრიკებს კვლავ ბურჟუები დაეუფლებოდნენ. გლეხობაში თესდნენ მემამულური მიწათმფლობელობის აღდგენის შიშს. ამასთან ერთად, მოხერხებულად იქმნებოდა ქვეყნის მართვაში ხალხის მონაწილეობის ილუზია. როცა გლეხი ან მუშა უახლოეს წარსულს გაიხსენებდა (პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომისაგან მოტანილი უბედურება, შიმშილი და ა.შ.), ცხადია, საბჭოთა წყობილებისადმი სიმპათიით იმსჭვალებოდა და ხელისუფლების მხარდამჭერად გვევლინებოდა. ეს არ ეხება მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც იმთავითვე კარგად ხედავდა საბჭოთა პროპაგანდის მთელ სიცრუეს. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნდა მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) ჩათვლით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობამ ნელ-ნელა დააღწია თავი დიდი სიცრუის ტყვეობას.

**ვახტანგ გურული,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.**

(გაგრძელება იქნება)

◉ ინფორმაცია

## „ეროვნული პასპორტები“ — ოსებს

**სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ე.წ. ეროვნული პასპორტების გაცემა 5 ნოემბერს დასრულდება. ამის შესახებ განცხადება კოკოითის მთავრობის ე.წ. შს მინისტრმა მიხეილ მინძაევმა გუშინ გააკეთა.**

**მისივე თქმით, პასპორტიზაცია დედაქალაქსა და რეგიონებში წარმატებით მიმდინარეობს.**

**შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ პასპორტებს ჩრდილო ოსეთშიც არიგებდნენ და ვლადიკავკაზში მათი გაცემის პროცედურა 20 ოქტომბერს დასრულდა.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეროვნული პასპორტის პირველი მფლობელი „პრეზიდენტი“ ედუარდ კოკოითი გახდა და მათი დარიგება სამხრეთ ოსეთში 1 ოქტომბერს დაიწყო.**

## ზნაურის რაიონი გეგმაზომიერად ვითარდება

**სეპარატისტული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ზნაურის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ზაურ ცხოვრებოვის ინფორმაციით, ზნაურის რეგიონში ინფრასტრუქტურის აღდგენის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. რაიონში ამჟამად ოკონის დაწყებითი სკოლა შენდება და წყალსადენის მილების გაყვანის სამუშაოები მიმდინარეობს. „ამავე დროს, ძალზე ცუდ და ავარიულ მდგომარეობაშია ზნაურის რაიონული საავადმყოფო. მომავალში მისი რემონტი უნდა ჩატარდეს. ასევე, უნდა გარემონტდეს რაიონული პოლიკლინიკაც, სკოლის სპორტული დარბაზები და გზები“, — ამბობს ზაურ ცხოვრებოვი.**

## მინძაევი: კონფლიქტის ზონაში სიტუაცია „ნორმალურია“

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის ე.წ. შს მინისტრის მიხეილ მინძაევის ინფორმაციით, გასული ღამის განმავლობაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე ორი კრიმინალური დანაშაული მოხდა.**

**„ერთ-ერთი მათგანი მკვლელობაა და მის გახსნას ოპერატიულად ვვარაუდობთ“, — ამბობს მინძაევი და დასძენს, რომ ზოგადად ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაცია „ნორმალურია“ და გასული ღამის განმავლობაში სროლა არსად დაფიქსირებული არ არის.**

## აფხაზებს ისევ რუსები წვრთნიან

**გუშინ სეპარატისტულ აფხაზეთში სამხედრო-საშტაბო სწავლებები დაიწყო, რომელშიც სეპარატისტთა ე.წ. შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი რეზერვისტთა ბატალიონი მონაწილეობს.**

**აფხაზ სეპარატისტთა გენშტაბის უფროსის ანატოლი ზაიცევის განცხადებით, სამხედრო სწავლებები, რომელიც 26 ოქტომბრამდე გასტანს, ბრიგადის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას ისახავს მიზნად.**

**სამხედრო სწავლებები ძირითადად ზღვიდან გადმოსხმულ სამხედრო დესანტთან ბრძოლასა და მის განადგურებაში წვრთნას გულისხმობს.**

**ზაიცევის განცხადებით, სამხედრო წვრთნას 2 000 აფხაზი რეზერვისტი გაივლის.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ პოზიცია

## კრილოვის „კვარტეტივით?“

**კონსერვატორების ლიდერის გამო ატეხილი სკანდალი პოლიტიკური ბაზრისთვის ჩვეულებრივი რამაა, მიმდოში ამომრჩევლები კი დააეჭვა, არის თუ არა საქართველოში ნამდვილი ოპოზიცია და თხა გავყიდე, თხა ვიყიდეს ხომ არ გადავურჩით, ე.წ. ოპოზიციამ რომ წააგოო.**

თავად ოპოზიცია, კონსერვატორები, რესპუბლიკელები კი უფრო კაპანაძის ქცევით არიან აღშფოთებულნი, ვიდრე თავიანთი ლიდერისა.

ხელისუფლებაც ჩივის, რომ ქვეყანაში არ არის კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელთანაც ერთად შეიძლება დემოკრატიული საქართველოს შენება. ამიტომაც, ქვეყნის აღმშენებლობას მხოლოდ და მხოლოდ თავის პრეროგატივად მიიჩნევს იმ მოტივით, რომ აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა თვითმმართველობის არჩევნებში. თუმცა, ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ოპოზიციური კულტურა მაშინ ამაღლდება, როცა თავად პოლიტიკური გარემო იქნება კულტურული, როცა მასმედია არ გაიყოფა ოპოზიციურ და პოზიციურ სეგმენტებად, როცა პოლიტიკური პარტიები პირადულზე წინ ქვეყნის ინტერესებს დააყენებენ. მანამდე კი კრილოვის „კვარტეტივით,“ რაგინდ რა ადგილზე დასხდნენ, სამშობლოს ჰანგზე შეწყობილად დაკვრის სწავლამდე, ქვეყანა ვერ იხეირებს.

**თამარ ზუმფალიშვილი.**

◉ გამოხმაურება

## ჩიკოშეტით – მეზობელს

**საქართველოს უმიზნებდნენ და სომხეთს მოარტყეს — ასე ფიქრობს არა თათევოსიანი, საინფორმაციო სააგენტოს „მედიამაქსის“ (ერევანი) დირექტორი.**

რამდენიმე წლის წინათ სომხეთის პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა შენიშნა, რომ ზოგჯერ ერევანი მეტადაა დაინტერესებული საქართველოსა და რუსეთის კეთილმეზობლური ურთიერთობებით, ვიდრე თბილისი და მოსკოვი. მაშინ ეს განცხადება გაზვიადებულად მოეჩვენათ...

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამო სომხეთი თითქმის 15 წელია, რაც ბლოკირებულია თურქეთისა და აზერბაიჯანის მიერ, რომლებთანაც არც საავტომობილო, არც სარკინიგზო კავშირი არა აქვს. ახლო ხანამდე ტვირთების დიდი ნაწილი აქ ავტოტრანსპორტით შემოდიოდა საქართველოს გამოვლით. წლევანდელ ივნისში კი რუსეთის მხარემ ჩაკეტა საკონტროლო-გამშვები პუნქტი „ზემო ლარსი“ საქართველოსთან საზღვარზე, თითქოსდა კაპიტალური რემონტის მიზეზით. ერევანში ჩამოსულმა რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა უცბად აღმოაჩინა, რომ სომეხ კოლეგებს წინასწარ არ აცნობეს ეს და აღგვითქვა, რომ სარემონტო სამუშაოები ორიოდ თვეში დასრულდება. სადღეისოდ, როცა „კაპიტალური რემონტი“ მთელ რუსულ-ქართულ ურთიერთობებს დასჭირდა, ზარალის დათვლით დაღლილი ბევრი სომეხი მეწარმე სერიოზულად იწყებს დაფიქრებას თავისი ბიზნესის ორიენტაციის შეცვლაზე.



წლევანდელ ზაფხულს სომხეთისათვის სიტყვის შეწევნა აშშში გადაწყვიტეს. ვენაში ეუთოს მუდმივი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას აშშის ელჩმა ჯული ფინლიმ განაცხადა, რომ „ხალხისა და საქონლის გადაადგილების ცალმხრივი შეწყვეტა საქართველო-რუსეთის საზღვარზე ზიანს აყენებს რეგიონის მცხოვრებთა ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ ინტერესებს, სომხეთის მოსახლეობის ჩათვლით“. ამავე დროს მოსკოვში ერთობ ნერვიულად მოეკიდნენ სომხეთისა და საქართველოს ლიდერების კონტაქტებს. საკმარისი იყო მიხეილ სააკაშვილის ჩასვლა რობერტ კოჩარიანთან სტუმრად, კერძო ვიზიტით, შარშან აგვისტოში, რომ მოსკოვურ გაზეთებში გამოჩნდა სტატიები სათაურით „კოჩარიანი რუსეთს ღალატობს“.

სომხეთის პრეზიდენტის პრესმდივნის ვიქტორ სოგომონიანის პასუხი საკმაოდ მკვეთრი იყო: „ეს პრეზიდენტების სწორედაც რომ პირადი საქმეა, ეს ორი დამოუკიდებელი ქვეყნის ურთიერთობებია“.

ძალიანაც რომ უნდოდეს, სომხეთი ვერ მოახერხებს შუამავლის როლის შესრულებას მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციაში. სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი იძულებით აღიარებს, რომ „თუ ასე გაგრძელდება, სომხეთი თავისებურ კუნძულად იქცევა მოცემულ რეგიონში“.

შექმნილი სიტუაციიდან ხეირს მხოლოდ სომხეთის ეროვნული ავიაგადამზიდი „არმავია“, რუსეთის „აეროფლოტი“ და „ციმბირი“ ნახულობენ. „არმავიამ“ უკვე მონიშნა მგზავრთა ნაკადის 30-პროცენტიანი ზრდა მოსკოვ-ერევნის ყოველდღიურ რეისებზე. დღეს თბილისიდან ერევნამდე სამარშრუტოთი ჩასვლა შეიძლება ასე 4-4,5 საათში, დაახლოებით 25 დოლარის გადახდით. ეგ კია, რომ რუსეთმა თუ საქართველოს ბლოკადა არ მოუხსნა, უახლოეს დროში, ეჭვი არ შეგვეპაროთ, რომ ამ „სიცოცხლის გზით“ გადაადგილების ფასი სულ უფრო გაიზრდება.

„Огонек“-ის მიხედვით მოამზადა
**თამაზ ებანოიძემ**

ახალი ტექნოლოგიები

# იმედის ნაპერწკალი გამოჩნდა

**საქმიანი და იმედისმომცემი ღონისძიება გაიმართა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, სადაც სამეცნიერო ბიზნეს-სამეწარმეო კონფერენციაზე ავტორებმა ინოვაციური ბიზნესპროექტები წარმოადგინეს. სწორედ ასეთი შეხვედრების დროს ხდება მეცნიერებისა და მეწარმეების პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა და ახალი სამეწარმეო საქმიანობის დაწყება. ეს კი ჰაერივით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.**

კონფერენცია დააფინანსა აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდმა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამა (STEPძ ფარგლებში.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური ფონდის (ccuaძ სამრეწველო პროგრამების მენეჯერის ალექსანდრე ასლანიშვილის განმარტებით, სწორედ ასეთი კონფერენციების დროს ერთმანეთს ხვდებიან მეცნიერები და სამეწარმეო კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე სფეროში მოღვაწეობენ და ფიქრობენ, მომავალში ერთობლივი საინტერესო პროგრამები შექმნან.

ამ კონფერენციაზე იპოვნეს დაინტერესებულმა მხარეებმა ერთმანეთი და, ალბათ, მომავალ პარტნიორულ ურთიერთობაზე საუბრობენ. ჩვენი უმთავრესი მიზანიც ეს გახლავთ, დავუკავშიროთ ეს ორი მხარე ერთმანეთს, — აღნიშნა მან.

კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგის პროგრამების დირექტორმა აკაკი ხელაძემ ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ უპირველესად ასეთი კონფერენციები სტიმულს მისცემს მეცნიერს განაგრძოს შემოქმედებითი მუშაობა. სამწუხაროდ, ასეთი დაფინანსება საქართველოში ცოტაა, საერთოდ საზოგადოებისთვის ნაკლებად არის ცნობილი მეცნიერული მიღწევები, არ ხდება მათი პოპულარიზაცია. ასეთი კონფერენციების დროს კი ცნობილი ხდება ეს მიღწევები, რეალურად მოვისმინეთ თუ რისი გაკეთება შეუძლია ამ ხალხს, ამიტომ ყველაზე დიდი დადებითი ეფექტია ის, რომ საერთოდ ასეთი ხალხი გვყავს, როგორც მეცნიერების, ისე მეწარმეების მხრიდან. ცივილიზებულ ქვეყნებში ყველგან მეწარმეს გვერდით ჰყავს ისეთი მეცნიერი, რომელიც ბიზნესს განუვითარებს. ეს მიღებული ფორმაა, ასეთი სტრუქტურით და ამ ფორმატით დიდი წამყვანი კომპანიები მუშაობენ.

საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ხოხობაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთი კონფერენცია შარშან და წლეულს, უკვე მეორედ ტარდება. პროგრამა ნამდვილად აქტუალურია ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის, სადაც აუცილებელია ინვესტიციების მოძიება, საინოვაციო საქმიანობის წამოწყება, მეცნიერებატევადი პროდუქციის წარმოება, მეცნიერების ჩართვა საწარმოო პროცესებში და დიალოგში. ათეული წლების განმავლობაში (საბჭოთა კავშირის დროსძ თეორიული კვლევების ძალიან დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი, მაგრამ მისი პრაქტიკაში დანერგვა, მიღებული შედეგების კომერციალიზაცია ვერ ხერხდებოდა, რადგან არ არსებობდა საბაზრო ეკონომიკის გამოცდილება. საბჭოთა კავშირის დროს მეცნიერების ეს მიღწევები პრაქტიკულად თაროებზე შემოდებულ ანგარიშებში რჩებოდა.





აი, უკვე ორი წელიწადია ამერიკული ფონდის ინიციატივითა და მხარდაჭერით ხელი მოვკიდეთ დიალოგის დაწყებას მეცნიერებსა და მეწარმეებს შორის.

შარშან ანალოგიური ღონისძიების დროს ცხრა პროექტმა გაიმარჯვა და დაფინანსება მოიპოვა. ამ პროგრამის მიხედვით, მეცნიერს საშუალება ეძლევა, ერთი წლის განმავლობაში კომპანიაში თავის კონკრეტულ ტექნოლოგიაზე იმუშაოს. აი, წლეულს კი ამის მეორე მცდელობა იყო. როგორც ნახეთ, საკმაოდ საინტერესო თემები იყო წარმოდგენილი.

მართლაც, დამსწრე საზოგადოებამ, კომპეტენტურმა ჟიურიმ ყურადღებით მოუსმინა სხვადასხვა პროექტის ავტორებს: მაგალითად, დავით ნოზაძესა და პაატა ეჯიბიას, რომლებმაც შეიმუშავეს ბაზალტის ბოჭკოთი არმირებული კომპოზიციური ბეტონის მიღება. მისგან დამზადებული სხვადასხვა სამშენებლო და სამრეწველო კონსტრუქციები თუ ელემენტები ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობაში.

საქართველოს მეწარმეთა კავშირის სამეცნიერო-კვლევითმა ჯგუფმა თამაზ ვაშაკიძის ხელმძღვანელობით კონკურსზე შემოგვთავაზა ინტეგრირებული დანადგარი, რომელსაც განახლებადი ენერგიის აღდგენითი წყარო აქვს. ფერმერებს შეუძლიათ დანადგარი გამოიყენონ ნაკვეთების მოსარწყავად, მარცვლეულის დასაფქვავად, ხილის, ციტრუსების, კენკროვანებისა და ყურძნის დასაწურად.

მერაბ შვანგირაძის ჯგუფმა გაზზე მომუშავე მანქანებისთვის მეტად საჭირო ახალი სახეობის ბალონი გამოიგონა, რომლის საქართველოში წარმოება დიდ მოგებას მოუტანს საქართველოს.

ჯანმრთელობისთვის სასარგებლო და ბიოტექნოლოგიურად საუკეთესო ღირებულების მქონე მაწვნის დედოების კომერციალიზაცია სურთ პროექტის ავტორებს: ნინო ჭანიშვილს, გულნარა ნატროშვილს, მაია მერაბიშვილს და ლანა მალხაზოვას.

სამრეწველო ნარჩენებიდან და შლამებიდან სუფთა მანგანუმის კარბონატის მიღების უნიკალური ტექნოლოგია დაამუშავეს მეცნიერებმა თენგიზ ჭყონიამ და ბაადურ ჩხაიძემ. ინდივიდუალური მეწარმე „გიორგი მაღრაძე“ კი ცდილობს ხელი შეუწყოს ამ ტექნოლოგიის ფართოდ დანერგვას და ამით საკუთარი კომპანიის იმიჯსა და მომგებიანობაზე ფიქრობს.

მსოფლიოს წყალსატევებში დღითი დღე მცირდება საუკეთესო ჯიშის თევზის ლოქოს მოპოვება, ალბათ ამიტომაც კონფერენციაზე დიდი დაინტერესება გამოიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების გიორგი მარტაშვილის და გია დავითაიას პროექტმა, რომლის მიზანია საქართველოში ადგილობრივი რესურსებისა და ხელოვნური ინკუბაციის მეთოდის გამოყენებით მიღებულ იქნას ევროპული ლოქოს ლიფსიტა. პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ამ საქმის მოსაგვარებლად გადადგმულია.

იყო სხვა პროექტებიც, საერთოდ, რომ ვიცოდეთ, წლეულს საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში 26 პროექტი მონაწილეობდა, მათგან საკონფერენციოდ 10 პროექტი შეირჩა. ამისთვის დიდი სამუშაო გასწია ტექინფორმმა.

კონფერენციის დასრულების შემდეგ კომპეტენტურმა ჟიურიმ პროფესორ მზია მიქელაძის, ნადარეიშვილისა და ამერიკელი ჯიმ ბატერვორთის მონაწილეობით გულდასმით იმსჯელა თითოეული პროექტის ღირსებაზე, მის აქტუალობაზე. კონკურსზე წარმოდგენილი 10 პროექტიდან გაიმარჯვა შვიდმა. ავტორებს კი სერტიფიკატი და ფულადი ჯილდო 5-8 ათასი დოლარის ოდენობით გადაეცათ.

ასეთი ღონისძიებები, კონკურსები ნამდვილად საშური საქმეა, წინგადადგმული ნაბიჯია ქვეყანაში ინოვაციების დანერგვისა და მრეწველობის შემდგომი განვითარების გზაზე.

ვინ იცის, ამ პროექტების ხორცშესხმა, ამოქმედება რამდენ მოგებას მოუტანს ჩვენს ჯერჯერობით მწირ ეკონომიკას.

**ლალი ქინქლაძე**

ჭრუანტელი

## ფერმერთათვის კრედიტების გამოყოფა დაიწყო

**სეპარატისტული სამხრეთ ოსეთის „მთავრობამ“ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ფერმერთათვის კრედიტების გამოყოფა დაიწყო.**

**სეპარატისტთა ე.წ. სოფლის მეურნეობის მინისტრის ალექსანდრე პუხაევის თქმით, ე.წ. სოფლის მეურნეობის სამინისტროში ოს ფერმერთა დაახლოებით 150 ბიზნეს-გეგმაა შემოსული, რომელთათვის კრედიტების გაცემა თანდათანობით დაიწყება.**

**„სამხრეთ ოსეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი პირველი კრედიტი ზნაურის რაიონში არსებულ მეურნეობას მოხმარდება. ჩვენს სამინისტროში შემოსულია სხვადასხვა პროექტები, რომლებიც მესაქონლეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის განვითარებას ისახავს მიზნად“, — ამბობს ე.წ. მინისტრი.**

## სამინისტროს გასაყიდად 44 ობიექტი გამოაქვს

**ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გასაყიდად 44 ობიექტი გამოიტანა. მათ შორისაა მცხეთაში ზაჰესის შენობა-ნაგებობა, რომლის საწყისი ღირებულებაც 5 მილიონ 250 ათასი დოლარია.**

**იყიდება, აგრეთვე, ზუგდიდში, ხარაგაულში, ზესტაფონში მდებარე ობიექტები.**

**გასაყიდად გამოტანილ 44 ობიექტზე აუქციონი 23 ნოემბერს ჩატარდება.**

**საერთო ჯამში, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სულ ცოტა 9 მილიონამდე დოლარის მიღებას გეგმავს.**

## ლაშა ნარჩემაშვილის „გმირული“ ნაბიჯი

**ახლების ფრაქციას წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ლაშა ნარჩემაშვილი უერთდება. როგორც საგანგებო ბრიფინგზე დავით გამყრელიძემ განაცხადა, ნარჩემაშვილის მხრიდან ამ ნაბიჯის გადადგმა გმირობის ტოლფასია.**

**„ძალიან ძნელია, ოპოზიციურ ფრაქციაში გაწევრიანდე და თანაც ისეთ ოპოზიციურ ფრაქციაში, რომელიც ასეთი რადიკალური განცხადებებით გამოირჩევა,“ — განაცხადა გამყრელიძემ.**

**ლაშა ნარჩემაშვილი აქამდე დამოუკიდებელი მაჟორიტარების წევრი იყო. თუმცა, მან ოპოზიციისადმი მხარდაჭერა ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ბოიკოტით, დააფიქსირა.**

**თავად ლაშა ნარჩემაშვილის თქმით, კი „ეს არის პოლიტიკური ძალა, რომელიც კარგად ფლობს ქვეყანაში სიტუაციას და აქვს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა“.**

ჯი-ეიჩ-ენი

არაო, არაო!

# „დეზერტირები“ მართლა იყიდება?

**მასმედიაში ახლახან გავრცელებული ინფორმაცია „ცენტრალური სუპერმარკეტის“ („დეზერტირების“ ბაზრის“ძ გაყიდვის შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება.**

**ამის შესახებ ჩემთან საუბარში განაცხადა ბაზრის დირექტორის მოადგილემ ნინო ბალიაშვილმა.**

— „სუპერმარკეტი“ სააქციო საზოგადოებაა. მასში 160-მდე აქციონერია გაერთიანებული. არც სახელმწიფოს და არც ცალკე რომელიმე აქციონერს, მისი გაყიდვა კანონით არ შეუძლია და, რაც მთავარია, არც აზრადაც არავის მოსვლია. აქციონერები ყოველი სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ დივიდენდებს დროულად იღებენ.

რაც შეეხება პარლამენტარ ლაერტ ზუბადალაშვილს, რომლის მეუღლეც აქციათა 51 პროცენტის მფლობელია, როგორც ქალბატონი ნინო ამბობს, არც ის ადასტურებს ბაზრის გაყიდვას და მას მორიგ მონაჭორს უწოდებს. უბრალოდ, უკვირს, მასთან უკითხავად რატომ გაავრცელეს არასწორი ინფორმაცია.

— ალბათ, ეს ჭორი მოვაჭრეთა მხრიდან მოდის, მე ასე ვფიქრობ, — ამბობს ქალბატონი ნინო და დასძენს, — ჩვენ ამ ზაფხულს დიდი სარემონტო სამუშაოები წამოვიწყეთ, გვინდა ყველა მოვაჭრეს, ასევე მყიდველს, ნორმალური ატმოსფერო შევთავაზოთ, ამისთვის ვაახლებთ სახურავს, დახლებს, ვაგებთ ქვაფენილს. არც ჩვენ გვსიამოვნებს მიწაზე დაყრილ პროდუქციას რომ ყიდის მოვაჭრე, ამიტომ გვინდა ყველას საკუთარი ადგილი მივუჩინოთ. ბაზრის შესასვლელთან მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებული დახლები ავიღეთ, რამაც მოვაჭრეთა უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ ვიმეორებ, უადგილოდ არავის დავტოვებთ, გვინდა სისუფთავე და ის ხიბლი სუფევდეს ჩვენს ბაზარში, რითაც მას ადრე ყოველთვის გამოარჩევდნენ...

**ნაზი იმნაიშვილი**



◉ ყოფა

# რატომ გვატყუებს სახელმწიფო?

## გაძვირებული პური და შიმშილისგან სასოწარკვეთილი ხალხი

**საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია:**

**საქართველოს მოსახლეობა წელიწადში დაახლოებით 800 ათას ტონა პურპროდუქტს მოიხმარს. ცხადია, საქართველოში ამ რაოდენობის ხორბალი არ მოდის. დანაკლისის შევსება, ძირითადად, იმპორტითა და ჰუმანიტარული ხორბლით ხდება. ქვეყანა ხორბლის იმპორტის 70 პროცენტს რუსეთიდან ახორციელებს, მაგრამ ბოლო დროს ორ ქვეყანას შორის არსებულმა დაძაბულმა ურთიერთობებმა და რუსეთის მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა სავალალო შედეგი გამოიღო. პარალიზებულია სარკინიგზო, საავიაციო და საავტომობილო მიმოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის – რუსული ხორბლის შემოტანა ვერ ხერხდება. ამან კი ბაზარზე არა მარტო პირველადი მოხმარების პროდუქტის – პურის გაძვირება, არამედ ზოგიერთ სხვა სასურსათო საქონელზე ფასების გაზრდაც გამოიწვია.**

მთავრობის დაპირებით საქართველოს სამი-ოთხი თვის სამყოფი ფქვილის მარაგი უნდა ჰქონოდა. არც ახლა და არც მომავალში პურზე ფასი არ უნდა მომატებულიყო. პურის მწარმოებლები კი განმარტავენ, რომ არანაირი მარაგი არ არსებობს, ფქვილს გაძვირებულ ფასად ვყიდულობთ და, შესაბამისად, პური 5-10 თეთრით გაძვირდაო.

პროდუქციაზე ფასს, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზარი განსაზღვრავს. და, თუ სახელმწიფოს სურს პროდუქციაზე ფასები შემცირდეს, კონკურენციას უნდა შეუწყოს ხელი. ხელისუფლების განცხადებით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა ხორბლის იმპორტი, ძირითადად, უკრაინიდან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან განხორციელდეს.

ფაქტია, რომ ტარიფი ელექტროენერგიაზე იანვრიდან იზრდება, ხოლო გაზზე კი ორმაგდება. აქედან გამომდინარე, წისქვილკომბინატებში გამოთქვამენ პროგნოზს, რომ პურზე ფასი კიდევ მოიმატებს, ან არადა, წონაში დაიკლებს, რომ არსებული ფასი შეინარჩუნოს. ამით პირველ რიგში მყიდველი დაზარალდება, პურის წონაში კლებასთან ერთად, მისი სხვადასხვა დანამატით გამდიდრება ხდება, რაც პურს ვიზუალურ სახეს უნარჩუნებს, მაგრამ სახიფათოა ჯანმრთელობისთვის.



სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კვების რაციონში ყველაზე დიდი ნაწილი პურს უჭირავს. ამიტომაც, მათ ბიუჯეტზე ყველაზე მძიმედ გაძვირებული პური აისახება. ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც უკმაყოფილებას არ მალავენ არსებულ ფაქტთან დაკავშირებით.

**დავით კიკნაძე, 55 წლის, ინჟინერი:**

ფქვილის დეფიციტმა პურის იძულებითი გაძვირება გამოიწვია. თანაც, ბაზარზე კონკურენტული გარემო არ არის. გამოვიანგარიშე და ჩემი ოჯახის ბიუჯეტი დაზარალდა 10-დან 12 ლარამდე თვეში. ეს ცოტა არ არის, ამას დაუმატეთ ისიც, რომ პურის გარდა, სურსათზეც მინიმუმ 10-15 თეთრით მოიმატა ფასმა.

**ნათია კალანდარიშვილი, 42 წლის, პურით მოვაჭრე:**

სხვა რამე შეიძლება მოიკლოს ადამიანმა, მაგრამ პური? დღეს ერთი ჩემი კლიენტი მოვიდა, ფასები რომ დაინახა – გაკვირვებულმა წამოიძახა: „60 თეთრი გამხდარაო“ და გაიქცა. 1000 პურს ვყიდდი დღეში, გაძვირების შემდეგ კი 800-მდე ჩამოვედით. ეს რისი მანიშნებელია, თავადაც ხვდებით.

**მზია კორძაძე, 49 წლის, პურით მოვაჭრე:**

მყიდველები გაძვირებულ ფასს რომ ხედავენ, გამყიდველების მიმართ აქვთ პრეტენზიები: თქვენ გააძვირეთ პური, ტელევიზორი გადმოსცემს არ გაძვირდებაო... გვიწევს ახსნა, რომ ჩვენ არაფრის გაძვირება არ შეგვიძლია... ძალიან უკმაყოფილონი რჩებიან.

**თამარ ჭანტურია, 32 წლის, დიასახლისი:**

ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს. მე უმუშევარი ვარ. მეუღლის მიზერული ხელფასი კი თვიდან თვემდე პროდუქტის გაძვირებამდე არ გვყოფნიდა და ახლა, მით უმეტეს. ხელფასების მომატებაზე კი არავინ ფიქრობს.

**ვაჟა საყვარელიძე, 40 წლის, უმუშევარი:**

კი, ყველაფერი გაძვირდა, მაგრამ რას ვიზამთ. ჩვენი პრეზიდენტი იმდენ რამეს „აკეთებს“ ხალხისთვის, რომ ეს როგორმე უნდა ავიტანოთ.

**თინა შონია, 70 წლის, პენსიონერი:**

აი, დავდივარ და ვცდილობ გუშინდელი პური მაინც ვიშოვო ძველ ფასად. ვთხოვ მთავრობას, პურის ფასი დაარეგულიროს ისე, რომ პურს წონაში არ დააკლდეს.

* * *

*როგორც იტყვიან, უმძიმესი სოციალური პრობლემები მოგვეძალა. რომელსაც ჟურნალისტის კომენტარი ვერაფერს უშველის... მთავარია სახელმწიფო სტრუქტურებმა ხალხი არ მოატყუოს და პურის ფასი მაინც დაარეგულიროს.*

**თამარ ხურცია**

◉ ენერგეტიკა

# როცა ქვეყანას გაზსაცავიც არა აქვს

## ზამთარი კი ავად ჩასაფრებულია

**ამ დღეებში დედაქალაქის ცენტრში კიდევ ერთი კოპწია შენობა – „საქნავთობი“ 4 მილიონ დოლარად გაიყიდა. იყიდება ორთაჭალაში საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ახლად გარემონტებული ნაგებობაც. სად აპირებენ ახალსახლობას ამ შენობათა ყოფილი მეპატრონენი? უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი დამდეგი ზამთრის სუსხს ერთად ჩახუტებულნი ქალაქის რომელიმე გარეუბანში შეეგებებიან.**

ეს გარანტირებულია, მაგრამ ხალხი? ხალხი ვის ჩაეხუტება? რა თქმა უნდა, საკუთარ მთავრობას, რომლის სითბო და მზრუნველობა მას ზამთრის ყინვებით მიყენებულ ტკივილს შეუმსუბუქებს.

კიდევ ვის(უფრო სწორედ რასძ ჩაეხუტება ხალხი? ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც პრაქტიკულად არ მუშაობს, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ბოლო წლებში სასწაულებრივად იზრდება. იზრდება ბიუჯეტიც, რომლის სიკეთით უპირველესად ხელისუფლების წარმომადგენლები სარგებლობენ. ისინი უსირცხვილოდ ხელფასების ზრდაში ეჯიბრებიან ერთმანეთს და არც თუ უშედეგოდ. მალე ალბათ პარლამენტარები 2500-ლარიან ხელფასებს დაირტყამენ.

ხალხი? ხალხი, რომელიც მთავრობის აზრით ერთ გუნდად არის შეკრული, იმითაც კმაყოფილია, რომ ხელისუფლების ევროატლანტიკური კეთილდღეობის ცქერით ტკბება.

ერთი ეგ არის საშიში, რომ ქვეყნის მთავარ ენერგომომმარაგებლად კვლავ ჩვენი კეთილისმყოფელი რუსეთი რჩება, რომელიც არავის უწყის, ამ ზამთარს ქართველების საშიშხინებლად რა ზომებს გამოიყენებს – ელექტროენერგიისა და გაზის მოწოდებას შეგვიზღუდავს, საერთოდ შეგვიწყვეტს, თუ მარტო ტარიფების გაზრდით დაკმაყოფილდება? თუ გავითვალისწინებთ, მათი ჩვენდამი კეთილმეზობლური დამოკიდებულების ხა-



რისხს, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთიც მოიმოქმედოს, მეორეც და მესამეც.

მაშინ სად გავრბივართ?

თუმცა ჩვენ რატომ უნდა ვირბინოთ? აგერ არა გვყავს ენერგეტიკის თავკაცი – გილაური, რომელიც უკვე დარბის ალტერნატიული წყაროების მოსაპოვებლად. წყაროები კი იმდენია, რომ ათვისებაც გაგვიჭირდება: აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი, ყაზახეთი და კიდევ ვინ აღარ. მთელი მსოფლიო ჩვენ მხარეზეა და აწი ველარავინ დაგვაჩოქებს. თვით რუსეთიც კი!

ეგ არ იყო, შარშან გაზსადენი ზედ საზღვართან რომ აგვიფეთქეს, მაგრამ წარბიც ვერ შეგვახრევინა. მთავარია იყოს ალტერნატივა, თორემ რუსეთმა როგორც უნდა გვიბრახუნოს ფეხები, პულსიც არ აგვიჩქარდება.

ასე იქნება ამ ზამთარსაც. რუსეთი თუ გაზს შეგვიწყვეტს ან, როგორც ამბობენ, ფასს გააორმაგებს, სულაც ირანიდან და აზერბაიჯანიდან წამოვიღებთ იაფ გაზს, დენის დეფიციტს კიდევ სომხეთი შეგვივსებს და ყველაფერი ალჩუზე იქნება.

ამას მთავრობა ფიქრობს, მაგრამ იმას, ვინც წინა წლების ყინვა-ყიამეთი საკუთარ თავზე გამოსცადა, ყოველივე ამაში რატომღაც ეჭვი ეპარება. ხალხს, რომლის კისერზეც გადადის ხოლმე გაჭირვება, რა გამოეპარება. მან კარგად იცის, რომ აზერბაიჯანს დღესდღეობით გაზით საკუთარი თავის მომარაგებაც უჭირს, ირანი კი იმ საშინაო თუ საგარეო პირობების გამო, რაც მის თავზე ტრიალებს, საიმედო პარტნიორად ვერ ჩაითვლება. მშენებარე გაზსადენიდან კი, რომლისგანაც საქართველოს წილი ერგება, ცნობილია, რომ კბილის ქარადაც არ გაჰყვება.

ჰოდა, აქედან გამომდინარე, რიგით ადამიანს უამრავი საფიქრალი უჩნდება. მას ჯერაც არ დავიწყებია, შარშან უგაზობის პერიოდში ნავთის რიგებში დგომა და მასში ორმაგი ფასის გადახდა. არც წელს ვართ დაზღვეულნი იმისგან, რომ ნავთის ფასმა (რომელიც უკვე ლარნახევარი ღირს), ექსტრემალურ სიტუაციაში 3 ლარამდე მიაღწიოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიღატაკის ზღვარზე მდგომი, სოციალურად დაუცველი ადამიანები შიმშილთან ერთად სიცივემაც გაწყვიტოს.

ასეთ დროს კაცს ღმერთისგან ბოძებულად მოგეჩვენება გაზსაცავი, რომელიც არასოდეს გვქონია, არცა გვაქვს და, როგორც ჩანს, არც დღეს ფიქრობს ვინმე მის აშენებაზე. არადა იმ გაჭირვების ჟამს, როცა შარშან (და არა მარტო შარშანძ უგაზოდ დარჩა ქვეყანა, გაზსაცავი რომ გვქონოდა, ორ თვეს მაინც თავი ქუდქვეშ გვექნებოდა და ალტერნატიულ წყაროებზე წაღმა-უკუღმა სირბილი აღარ დაგვჭირდებოდა.

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, გაზსაცავები კარგა ხანია აქვთ აზერბაიჯანს, სომხეთს, სხვა ქვეყნებსაც, სადაც კი მთავრობები თავსაც უფრთხილდებიან და ხალხსაც. მაგრამ ჩვენ ხომ განსაკუთრებული წყობისა და გამძლეობის ხალხი ვართ, რომელიც სიცივეს, სიცხეს, ექსტრემალურ სიტუაციებს თანაბრად უძლებს.

როგორც მახსოვს კომუნისტების დროს უფრო თვინიერები ვიყავით, მაგრამ რატომღაც მაშინაც ბედმა გვიმტყუნა. იმჟამინდელი „საქნავთობის“ მესვეურებმა თურმე გაზსაცავის მოსაწყობად სპეციალურად გერმანიიდან ჩამოიყვანეს სპეციალისტები და უნიკალური პროექტიც გააკეთებინეს, რომლის რეალიზაცია 400 მილიონი მარკა ჯდებოდა, მაგრამ რუსებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს – გაზსაცავი რად გინდათ, გაზს უფასოდ გაძლევთ, ხარჯეთ რამდენიც გინდათ და ამდენი ფული წყალში რისთვის გადავყაროთო.

იყო მეორე მცდელობაც, ეს უკვე 2002-2003 წლებში. ნინოწმინდის საბაჟოზე გაკეთდა მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობის პროექტი, მაგრამ ეს საქმეც ჩაფლავდა, ინვესტორი ვერ მოიძებნა.

დღეს ამაზე ფიქრობს ვინმე? არა მგონია, გაზის კორპორაციაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ „საქნავთობში“ ამ საკითხზე რამდენჯერაც კი ვთხოვეთ გამოსულიყვნენ, იმდენჯერ დუმილი ამჯობინეს.

არადა, როგორც სპეციალისტებისგან შევიტყვეთ, აზერბაიჯანთან და რუსეთთან შედარებით, ჩვენში გაზსაცავის მშენებლობის იდეალური პირობებია. იქ, ასე ვთქვათ, ხელოვნური გაზსაცავები ააშენეს, ჩვენთან კი თელეთში, ნინოწმინდაში, სამგორში შეგვეძლო თვით საბადოებში ჩაგვეტვირთა გაზი, თანაც იმ რაოდენობით, რომელიც სომხეთსა და აზერბაიჯანსაც დააკმაყოფილებდა. ეს, როგორც იტყვიან, ღმერთისგან ბოძებული სიმდიდრეა, რომელიც ჩვენი უთაობისა თუ დაუდევრობის გამო დღემდე გამოუყენებელია.

ზამთარი კი რუსეთთან ერთად, საქართველოზე ავად ჩასაფრებულია.

იქნებ, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ მაინც გაუჩნდეთ სურვილი „საქნავთობში“ ან გაზის კორპორაციაში დუმილის დარღვევისა? დიდი სიამოვნებით გამოვაქვეყნებდით თქვენს მოსაზრებას ამის თაობაზე, ოღონდ გაბედეთ, ბატონებო!

**ოთარ ხუციშვილი**

თვალსაზრისი

# სომხეთს, აზერბაიჯანს, მთელ საქართველოს, ყველას, ვინც გამიგებს!..

**კაცურად გეტყვით, არასოდეს მისარგებლია ჩემი რეგალიებით და არც ჩემი ნაწარმოებისათვის მიმიწერია — „ჯანსუღ ჩარკვიანი, — რუსთაველის პრემიის ლაურეატი“. არც ის მიყვირია, რომ წლების მიღმა სილვა კაპუტიკიანთან, ევგენი ევტუშენკოსთან და ედვარდას მეჟელაიტისთან ერთად მოსკოვში სომხებმა ნანსენის სახელობის საერთაშორისო პრემიით დამაჯილდოვეს. აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი ვარ, 2005 წელს, აზერბაიჯანის „ლიტერატურული გაზეთის“ საერთაშორისო პრემია მივიღე უცხოელ პოეტთა შორის საუკეთესო ლექსებისათვის (ლექსები თარგმნილია „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელის იმირ მამედლის მიერ)...**

არც სომხეთს, არც აზერბაიჯანს, არ გამორჩენიათ ჩემი საიუბილეო თარიღები, დიახ, ბევრი სიყვარული მახსოვს ორივე ქვეყნიდან. მაშ, რა თავის ქება ამიტყდა? რად ჩამოვთვალე მანამდე ამდენი ჩამოუთვლელი? არა, ბატონებო, მე ამბიციები არ მაწუხებს, მე მაწუხებს დღეს შექმნილი დაძაბული ვითარება და მინდა უფლებამოსილება მქონდეს შუაკაცის როლი ვიკისრო. დიდი აკაკის სიტყვებს დავესესხები — „გარემოების საყვირი“ ვარო — ბრძანებდა, „შუა კაცი ვარ უზრალო“ — ბრძანებდა... დღეს, როცა ეგრეთწოდებული „მიმხრობი“ ბევრია ქვეყანაზე, ხოლო გამშველებელი ცოტა, მინდა ხმამაღლა ვთქვა, ჩვენ — სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები ძმები ვართ, ვერც ის გამიგია — რა ვერ გავიყავით, ვინ რას გვიკარნახებს? არადა მთავარია, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს, ძმებო, შევეშვათ „ზესახელმწიფოებს“, არც გვინდა ვინმეს გადმოგდებული ლუკმა, ჩვენ ჩვენი გვაქვს და რაც გვაქვს, მსოფლიოს შეშურდება.

მივედი სათქმელთან და ვიტყვი, გამაგებინეთ, ვის რაში სჭირდება ყარაბაღის ეგრეთწოდებული „გმირი გენერლის“ ძეგლის საქართველოში — ახალქალაქში დადგმა? მაინტერესებს, საქართველოს რომელ ხელისუფალს ჰკითხეს, თუ მართლა „დამოუკიდებელი“ ქვეყანაა ეს ახალქალაქი საქართველოში? დღეს რომ სომხეთში არძინბას ან ბაგრამიანის ბატალიონის რომელიმე ნაძირალა „გმირს“ ძეგლი დაუდგან, რას ვიტყვით? ან მარნეულში სომეხთა თურქი მკვლელი გენერლის ძეგლი რომ დადგან? მე პირადად ანალოგიური რეაქცია მექნებოდა.

მივმართავ ჩვენი ძმობის უარმყოფელთ, ვურჩევ, აღკვეთონ უმსგავსობა და ახსოვდეთ, საქართველო არ არის ერთმანეთთან ანგარიშსწორების პოლიგონი, საქართველო მშვიდობის ქვეყანაა და მოდით, შევეშვათ „ცოცხალი გენერლების“ აღიარებას, ისიც ვიცოდეთ, ღმერთმა იცის, ბოლოს, ვინ სად, ვის მიწაზე დაიმარხება...

მთავარი სიყვარულია და არა სიძულვილი.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

პასუხი



**„ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილი ჩემდამი მოძღვნილი „წერილის“ ავტორებს**

არმინისტრებს, მინისტრებს და
მტრისა ყანის მევლეს,
„ამისტებს“ და „იმისტებს“ და
კერპთთაყვანისმცემლებს.

წყევლით ვინც გზა გადამიჭრა, —
უნდა გავცე პასუხი,
ყველა კრეტინს
და ნაბიჭვარს,
მარად გლოცავთ — ჯანსუღი.

სასამართლო

# ციხეც მიუსაჯეს, იძულებითი მკურნალობაც



**თბილისელ 40 წლის გოჩა ლაზაროვს ნარკომანიისთვის 3-წლიან პატიმრობასთან ერთად იძულებითი მკურნალობის ჩატარებაც მოუწევს. ასეთი განაჩენი მას თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოუტანა. ლაზაროვს ბრალი ნარკოტიკების უკანონო შეძენა-შენახვაში დაედო.**

წლეულს, 15 მარტის საღამოს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა იგი თბილისში, მოსკოვის გამზირზე დააკავეს. ჩხრეკისას მას პალტოს ჯიბიდან სიგარეტის ქაღალდში გახვეული „სუბოტექსი“ ამოუღეს.

სასამართლო გამოძიებისას განსასჯელმა დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ ეს ნივთიერება პირადი მოხმარების მიზნით უცნობი პირისგან შეიძინა. მისი ნარკომანიით დაავადების ფაქტი ნარკოლოგიურმა ექსპერტიზამაც დაამტკიცა.

ეჭვგარეშეა, რომ ლაზაროვს „სუბოტექსი“ მართლაც პირადი მოხმარებისთვის სჭირდებოდა და შესაბამისი ბრალდებაც წარედგინა, მაგრამ პოლიციას რატომღაც ყოველთვის უჭირს იმის დადგენა, თუ ვისგანაა ნაყიდი „წამალი“.

ნარკომანობა დაავადებასთან ერთად დანაშაულიცაა და ასეთი პიროვნებები შესაბამის სასჯელსაც იმსახურებენ. უდავოა, მაგრამ ამ დანაშაულის მთავარი ხელის შემწყობი — რეალიზატორი, როგორც ამ ერთი შემთხვევიდანაც ჩანს, სამართალდამცავთათვის, ხშირად „უცნობ“ პირად რჩება.



წესით, არც ლაზაროვისგან გაუჭირდებოდათ იმ პიროვნების დადგენა, ვისგანაც ეს „სუბოტექსი“ შეიძინა, მით უმეტეს, რომ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს პირველი შემთხვევა არ იქნებოდა.

ჯერჯერობით, როგორც ჩანს, „ბარიგების“ შიგადაშიგ დაკავებას უნდა დავჯერდეთ. აბა, ერთი ხელის მოსმით ქვეყანა ვის აუშენებია?

**ლელა მანაველიშვილი**

მადლობა ექიმს

# მისი სიტყვაც გაგაჯანსაღებს

**საზოგადოება, უწინარესად, ადამიანებითაა ლამაზი, ღონიერი და იმედიანი. ასეთი ადამიანები კი საკმაოდ არიან ყველგან, მათ შორის თბილისის №3 პოლიკლინიკაში. ერთს მაინც გამოვარჩევ. ეს გახლავთ თერაპევტი ლეილა გოგელიანი. ქალი მართლაც ლამაზი გარეგნულად და უფრო ლამაზი სულიერად.**

იგი შესაშური ნიჭით უთავსებს დიდ სამედიცინო ცოდნას ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნებას. ეს ასე რომ არ იყოს, უსათუოდ გაუჭირდებოდა ჯანმრთელობის სამედიცინო პოლისის მქონე უამრავი პაციენტის ყოველდღიურად მიღება და გასტუმრება.

მიუხედავად იმისა, რომ კონსულტაციას, რჩევას თუ მკურნალობის სწორ გზაზე დაყენებას ბევრი საჭიროებს, ქალბატონი ლეილა ზერელობას არასოდეს იჩენს. გასაჭირში მყოფ პაციენტს დეტალურად და დაწვრილებით გამოჰკითხავს და შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას და ნიშნავს მკურნალობას. რა თქმა უნდა, შედეგიც სახეზეა. დიაგნოზის სწორად დასმით თვითონაც კმაყოფილია და სამკურნალოდ მისული პაციენტიც, თუმცა ყოველივე ეს დიდი და დაუზარებელი შრომის ფასად უჯდება.

მოგეხსენებათ, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი განსხვავებული ხასიათი თუ ზრდილობის ხარისხი არსებობს; ექიმი ლეილა გოგელიანი კი მხოლოდ ერთია მათ პირისპირ და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზეა. ამაზე დიდი ბედნიერება და სიხარული კი რა უნდა იყოს მკურნალისთვის?

ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე მყოფი ხალხის მსახური უამრავ მადლობას იღებს გაღებული თავდადების სანაცვლოდ. მეც მინდა გამოვხატო ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით ულრმესი მადლიერება და სიყვარული ჩვენდამი გამოჩენილი დიდი ყურადღებისთვის, ცოლ-ქმარი პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდები ვართ. ექიმთან მისასვლელად გამყოლი გვჭირდება, რაც ყოველთვის ვერ ხერხდება. ამიტომ, ჩვენს მკურნალ ექიმს ლეილა გოგელიანს ბინაზე ტელეფონით ვაწუხებთ და ისიც გულისყურით გვისმენს, ჩვენთვის საინტერესო შეკითხვებზე კომპეტენტურ პასუხებს გვაძლევს.

ბარაქალა მის ქალობას და ადამიანობას.

**პატივისცემით,**
**გიორგი სვანიძე**

ინფორმაცია

## სპეცოპერაცია სარფის საბაჟოს პუნქტზე

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე მორიგი სპეცოპერაცია ჩაატარა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარემ იოსებ თოფურიძემ განუცხადა, კუდ-ის თანამშრომლებმა სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს სარფის საბაჟო-გამშვები პუნქტის ცვლის უფროსი ზურაბ ჯორთმენაძე, რომელმაც თურქეთის რესპუბლიკიდან საბაჟო წესების დარღვევით საქართველოს ტერიტორიაზე კონტრაბანდული საქონლით დატვირთული სამი ავტომანქანა გამოატარა.**

**დაკავებულები არიან, ასევე, ტვირთის იმპორტიორები ზურაბ შახმურადოვი, ნუგზარ ხალვაში და გენადი ცინცაძე.**

**თოფურიძის განცხადებით, ამოღებულია 200 000 დოლარის ღირებულების კონტრაბანდული საქონელი — ავტომანქანის ნაწილები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ავეჯი, სანადირო აღჭურვილობა და სანადირო ვაზნები. მათ სანადირო აღჭურვილობა და სანადირო ვაზნები ქვეყანაში შესაბამისი ლიცენზიის გარეშე შემოჰქონდათ.**

**კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა საბაჟო-გამშვებ პუნქტზე სპეცოპერაცია გასულ კვირასაც ჩაატარეს. მაშინ დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინის“ გამსაღებელთა ჯგუფი დააკავეს.**

**ინტერპრესნიუსი**

გვწერენ

# ძეგლი ხმაურიან მაგისტრალზე კი არა, მოვლილ პარკში უნდა იდგეს!

**ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყო 1907 წლიდან დღემდე ოქროს მედლით დაჯილდოებული 44 საუკეთესო არქიტექტურული ნაგებობის ესკიზების გამოფენა, რომელთა მიხედვით აშენებული ნაგებობები დღეს ვაშინგტონს ამშვენებს.**

ჩვენთან კი, მოქანდაკის, არქიტექტორის წახალისება-დაინტერესებისთვის იმასაც ვერ მივმხვდარვართ, რომ იმ ძეგლის, გნებავთ არქიტექტურული ნაგებობის ავტორს, რომელმაც საუკუნეებს უნდა გაუძლოს, გადაეცეს არა მარტო ოქროს მედალი, არამედ დაენიშნოს ჰონორარი მთელი სიცოცხლის განმავლობაში, როგორც ეს საზღვარგარეთის ქვეყნებშია.

თბილისი ისტორიისა და კულტურის მრავალრიცხოვანი ძეგლების, მწვანეში ჩაფლული ვიწრო თუ განიერი ქუჩების, განსაკუთრებული ტრადიციების და ჩვევების ქალაქად უნდა ვაქციოთ.

უნდა მოეწყოს ქალაქში დასადგმელი ქანდაკებების, ძეგლების ადგილის შესარჩევი ღია, საჯარო კონკურსები და მათ შეფასებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა საზოგადოებამ, მათ შორის უცხოელმა სპეციალისტებმა.

ძეგლთა მხატვრულ ღირებულებას უფრო გაზრდის კონკურსში საზღვარგარეთელი მოქანდაკეების მონაწილეობა.

თუ გავიხსენებთ ლენინგრადის ბლოკადაში მოქცეულ მოქალაქეთა ძალებას, როგორ გადაარჩინეს ძეგლები, როგორ განარიდეს დალუპვას ხალხის სულიერი სიმდიდრე, დავრწმუნდებით, რომ კულტურა ადამიანის ღირსების წყაროა.

თბილისი გადატვირთულია ქანდაკებებით. არ გვინდა უხარისხო ნამუშევრები. ღირსეული ძეგლის შესაქმნელად მეტი დროა საჭირო. ძეგლი უნდა იდგეს არა ხმაურიან მაგისტრალზე, არამედ წყნარ, მოვლილ პარკში, სადაც ადამიანები დასასვენებლად და „ფიქრთ-გასართველად“ მიდიან.

**ოთარ თოლორაია,**
**ღირსების ორდენოსანი,**
**შრომის ვეტერანი.**

◎ მეცნიერება

*ეს ორი ნიჭიერი მკვლევარი — ქიმიკოსი რამაზ გახოკიძე და ბიომედიკოსი მამანტი როგავა ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის უცხონი არ არიან: მუდამ ახლის მაძიებელთ სათქმელი რომ „უგროვდებათ“, თანაც საზოგადოებრიობისთვის საგულისყურო, მაშინ გამოჩნდებიან ხოლმე. ახლაც ასე მოხდა...*

*ვესაუბრებით ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგეს, სახელმწიფო და პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატს, ევროპის ეკოლოგიური კომიტეტის წევრს, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს რამაზ გახოკიძესა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, კარდიომიოპათიის საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტს მამანტი როგავას. კორესპონდენტის შეკითხვებზე ორი რესპონდენტის შეჯერებული პასუხებია გაცემული და აქ გადმოცემული...*

# როცა მიწაც ნარკომანი ხდება

**— ბატონებო, როგორც ჩანს, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენებამ, მიწათმოქმედების ქიმიზაციამ სადღეისოდ საშიში მასშტაბები შეიძინა. ფაქტობრივად, მიწაც ნარკომანი გახდა, თითქოს ამდენი ხალხის ნარკომანობა არ კმაროდა... როგორ გესახებათ მავნე ქიმიურ ნივთიერებებთან, კერძოდ, პესტიციდებთან ბრძოლის, მცენარეთა პროდუქტიულობის მართვის, მოსავლიანობის უვნებელი გაზრდის ხერხები თქვენი კვლევითი სფეროს გადასახედიდან?**

— დიახ, მიწას უკვე აღარ შეუძლია უქიმიკატებოდ არსებობა. სასუქებისა და შხამქიმიკატების დაუდევრად, უგუნურად გამოყენებამ საგრძნობლად შეამცირა მიწის ნაყოფიერება, გააუარესა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მაწიერობა, დაგვაკარგვინა პროდუქციის მაღალი ხარისხისა თუ უვნებელობის გარანტია.

დღეისათვის მცენარეთა პროდუქტიულობის მართვის ყველაზე ეფექტიან მეთოდად მსოფლიოში წარმოდგება რეგულატორებით ზემოქმედება. უცხოეთის ფირმები მილიარდობით დოლარს ხარჯავენ თითოეული ახალი რეგულატორის შესაქმნელად და, მიუხედავად ამისა, ეს პრეპარატები ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფისაგან.

ახალი სამეცნიერო მიმართულების — აგრობიოორგანული ქიმიის მიღწევების საფუძველზე ჩვენ შევქმენით ახალი ტიპის, ბუნებრივი წარმოშობის არატოქსიკური ბიორეგულატორები, რომელთაც საერთაშორისო მასშტაბითაც არ გააჩნიათ ანალოგები. მცენარეთა სასიცოცხლო პოტენციალის გაზრდით, შხამქიმიკატების გამოუყენებლად, ისინი იძლევიან ეკოლოგიურად სუფთა, მაღალხარისხიანი უხვი მოსავლის მიღებისა და იმუნიტეტის რეგულირების საშუალებას.

ჩვენი სიახლე დაავადებებისა და სხვა არახელსაყრელი პირობების მიმართ მცენარეთა მდგრადობის ამაღლების მძლავრი საშუალებაცაა და მიწის მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოყენებისაც, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ისედაც მცირემიწიანი საქართველოსათვის.

**— რაკი ჩვენს ქვეყანას „მივადექით“, ხომ არ მოიშველიებდით სტატისტიკას, კონკრეტულ ციფრებს სწორედ საქართველოს მაგალითზე თქვენი პრეპარატების მნიშვნელობის საილუსტრაციოდ?**

— ეს პრეპარატები შესამჩნევად, ზოგ შემთხვევაში ორ-სამჯერ ზრდიან მარცვლოვანი, ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობას. გადავხედოთ მათი გამოყენებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის სურათს 10 წლის მონაცემებით: სიმინდის საჰექტრო — 130 პროცენტით, ლობიოსი 110-ით, სოიოსი — 102-ით, ხახვისა — 150-ით, ქინძისა — 125-ით, ოხრახუშისა — 166-ით, შაქრის ჭარხლისა — 172-ით. როგორც ვთქვით, პრეპარატები ბუნებრივი წარმოშობისაა და ნიადაგის საფარზე არ მოქმედებს.



რამაზ გახოკიძე, მამანტი როგავა

ამავე დროს, თითქმის ორმაგდება მცენარეთა მწვანე მასაც, რაც ვიტამინების, პროტეინისა და ნახშირწყლების მაღალი შემცველობის გამო მეცხოველეობაში საუკეთესო საკვებად იქცევა.

ახალი პრეპარატების გამოყენებით დიდად მატულობს მოსავლის ხარისხობრივი მაჩვენებლები (ცილა, ამინომჟავები, ვიტამინები, იოდი და სხვა ძვირფასი მიკროელემენტები), ხოლო რადიაციისა და მძიმე მეტალების შემცველობა კლებულობს. კიდევ ციფრები: ჩვენი პრეპარატებით დამუშავების შედეგად სიმინდის მარცვალში 80 პროცენტით იზრდება ორგანიზმისათვის აუცილებელი, შეუცვლელი ნივთიერება ლიზინი, 960 პროცენტით — უმნიშვნელოვანესი მიკროელემენტი იოდი, 200-ით — სელენი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ბიორეგულატორების მოხმობა მკვეთრად გაზრდის ყინვაგამძლეობას და რამდენიმე წლით დააჩქარებს ნაყოფმსხმოიარობას.

**— მედიცინის სფეროში თუ „გადის“ თქვენი სიახლე, რა ეფექტიანობას უნდა ველოდოთ იქ?**

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მათი პროფილაქტიკა და მკურნალობა მთელ მსოფლიოში რჩება აქტუალურ, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემად. ეს მარტო მედიცინის კი არა, სახელმწიფო პოლიტიკის საგანიცაა. ყურადსაღებია, რომ სელენის მკვეთრი დეფიციტი ახალშობილებსა და ბავშვებში დაბადებიდანვე იწვევს დილაქტაციურ კარდიომიოპათიას (გულის გაგანიერებას), მოზრდილებში კი — გულის უკმარისობის ჩამოყალიბებას, რასაც ხეიბრობამდე და კიდევ უარესი — ლეტალურ დასასრულამდე მივყავართ. უსელენობა ლიბიდოსა და შობადობის დაქვეითებასაც იწვევს.

დასანანია, რომ ჩვენს მოსახლეობას ხშირად არც აქვს გაცნობიერებული, თუ რა სახიფათოა საკვებ პროდუქტებში იოდის, სელენისა და სხვა მიკროელემენტების ნაკლებობა. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველო განეკუთვნება იოდდეფიციტურ არეალს, იოდის უკმარობა კი ხელს უწყობს ენდემური ჩიყვის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარებას, იწვევს ბავშვთა არასრულფასოვან ზრდას. ჩვენი მოწოდებული მეთოდი, როგორც ეს დადგინდა მეცნიერ მედიკოსთა გამოკვლევებით, სავსებით შესაძლებელსა და რეალურს ხდის, თანაც დიდი ალბათობით, ორი უმთავრესი დაავადების — კარდიომიოპათიისა და ჩიყვის პრევენციას (თავიდან აცილებას).

**— ამგვარად, თქვენი პრეპარატები ეფექტური გამომდგარა ადამიანის ზოგიერთ ავადმყოფობასთან შესაჭიდებლად... მცენარეთა დაავადებების დასამარცხებლად თუ არის გამიზნული და გამოცდილი?**

— მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ „ახალი ქართული“ ჯიშის ლიმონი. მალსეკომ, ლიმონის მცენარის სპეციფიკურმა ინფექციურმა დაავადებამ, როგორც ცნობილია, მთლიანად გაანადგურა ამ ჯიშის მაღალხარისხოვანი ლიმონის პლანტაციები. ახალი პრეპარატის მომარჯვებით შესაძლებელია ამ საშიში სენის აშორება და ლიმონის ყინვაგამძლეობის გვარიანი გაზრდა, რაც ამ უნიკალური ჯიშის პლანტაციებს აღგვადგენინებს.

მეორე მაგალითი. მეაბრეშუმეობა ქართული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული დარგი და ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეა, რომელსაც მცირე დროში ძალუძს მნიშვნელოვანი შემოსავლის მოცემა. ჩვენში მის განვითარებას ოდითგანვე უწყობდა ხელს ბუნებრივი პირობები, კარგი საკვები ბაზა და მსოფლიო ბაზარზე ქართული აბრეშუმზე დიდი მოთხოვნილება.

უკანასკნელ ხანს მეაბრეშუმეობის საკვებ ბაზაზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა მოახდინა თუთის ხის ინფექციურმა დაავადებამ „ფოთლის სიხუჭუჭემ“ (როგორც ვხედავთ, მცენარეულობას განსაკუთრებით ინფექციური ავადმყოფობები ემტერება. განადგურდა ამ ბაზის 80 პროცენტზე მეტი. არადა, ასეთ სენთან ბრძოლა ერთობ რთულია და მსოფლიოში აქამდე არ არსებობს მისი თავიდან აშორების რაიმე რადიკალური ღონისძიება.

მეაბრეშუმეობის აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები ბაზის აღდგენას, რაც ვერ მოხდება თუთის ხის სენის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, თუთის ფოთლის სიუხვისა და მაღალი ხარისხიანობის უზრუნველყოფის გარეშე, ხოლო აღორძინებას თუ მივაღწევთ, ეს შესაძლებელს გახდის საქართველოს არაერთ რეგიონში სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებას.

ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევები სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვმოსავლიანობისათვის, მოსავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მცენარეთა საერთო გამძლეობის გაზრდისათვის მეაბრეშუმეობის აღორძინების შესაძლებლობასაც მოგვცემს. აგრობიოორგანული ქიმიის მიღწევებით ამ საშვილიშვილო პრობლემის გადაჭრაც მოხერხდება.

**— ამდენს ვლაპარაკობთ ბიორეგულატორებზე და აქამდე ერთიც არ დაგვისახელებია...**

— ბიორაგი, მაგალითად, ეკოლოგიურად სუფთა ახალი პრეპარატია. ასეთი პრეპარატები ფრინველთა და ცხოველთა პროდუქტიულობის გადიდებისა და დაავადებათა მიმართ გამძლეობის გაძლიერების ჩინებული საშუალებაა. საკვებში მათი ჩამატება ზრდის ფრინველ-ცხოველთა წონას, აგემრიელებს ხორცს, აუმჯობესებს კვებით თვისებებს (რად ღირს ქოლესტერინის გვარიანი დაკლებაძ; ასევე იზრდება ფრინველთა კვერცხმდებლობა, საქონლის წველადობა. თქვენ წარმოიდგინეთ, მეთევზეობაშიც ეფექტურია ახალი პრეპარატების გამოყენება — თვალსაჩინოდ მატულობს ქვირითის დაყრა.

ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ ახალი ბიორეგულატორები წლობითაა გამოცდილი ასეულობით ჰექტარზე, არსებობს სპეციალისტთა, მეცნიერთა დადებითი დასკვნები სიახლისათვის მწვანე შუქის ანთებით, არსებობს დიდძალი ვიდეომასალაც. მიღებული შედეგები დიდად აღემატება მსოფლიოში ამ მიმართულებით მიღწევებს და კიდევ ერთხელ ვიტყვით, აღნიშნულ პრეპარატებს არ მოეძებნათ მსოფლიო მასშტაბით ანალოგები.

**— ასეთ დიდ საქმეებს უთუოდ სჭირდება მხარდაჭერა — სახელისუფლებოც და სპონსორულიც...**

— ჰოდა, თუ იქნება სათანადო მხარდაჭერა, პრაქტიკაში ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერული მიღწევების დანერგვა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ შთამბეჭდავ ეფექტს მოუტანს სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობას, პროფილაქტიკურ მედიცინას...

* * *

ვიყოთ ოპტიმისტები და ვივარაუდოთ, რომ შემდეგი შეხვედრისათვის ბატონებს რამაზსა და მამანტის, არა მარტო მორიგ მეცნიერულ მიღწევებზე „დაუგროვდებათ“ და ექნებათ სათქმელი, არამედ — სამთავრობო თუ სპონსორული თანადგომის შედეგად პრაქტიკაში „ძველი“ მიღწევების დანერგვის ეფექტიც გა...

**თამაზ ეგანოიძე**

◎ ინფორმაცია

## მოსკოველი ქართველები გვარებს იცვლიან?

მოსკოველი ქართველები გვარებს იცვლიან. ამის შესახებ რუსული გაზეთი „მოსკოვსკი კომსომოლეცი“ წერს.

როგორც გამოცემა იუწყება, მმაჩის ბიუროში მისული ყოველი მეორე ქართველია და გვარის რუსულად გადაკეთებას ითხოვს. ზოგიერთი მათგანი სახელსაც იცვლის. მაგალითად, ერთ-ერთმა ქართველმა „ქეთუნამ“ სახელად „ტატიანა“ დაირქვა.

რუსეთში გავრცელდა ხმები, რომ ამ კვირაში წიგნის მაღაზიებიდან ბულატ ოკუჯავასა და გრიგორი ჩხარტიშვილის (ბორის აკუნინისძ წიგნები ავტორთა „პოლიტიკურად არაკორექტული გვარების გამო ამოიღეს“, თუმცა, როგორც რადიოსადგური „ეხო მოსკვი“ იუწყება, მოსკოვის წიგნის მაღაზიებში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. მათი მტკიცებით, ოკუჯავასა და აკუნინის წიგნების არც ერთი ეგზემპლარი გაყიდვიდან არ ამოუღიათ.

ინტერპრესნიუსი

## ავიაკომპანიებმა 3 მილიარდ დოლარამდე იზარალეს

რუსეთის მხრიდან გამოცხადებულმა ბლოკადამ ქართულ ავიაკომპანიებს უკვე 3 მილიარდ დოლარამდე ზარალი მიაყენა, ამის შესახებ განცხადება გაერთიანებული ტრანსპორტის კომისიის წარმომადგენელმა ალექსანდე ჩიკურიძემ გააკეთა.

მისი ინფორმაციით, ქართული კომპანიების ზარალი რუსეთის მხრიდან გამოცხადებული ბლოკადის შედეგად დღითი დღე იზრდება. ჩიკურიძე განმარტავს იმასაც, რომ ჯერჯერობით საზღვაო სატრანსპორტო კომპანიებს ზარალი დათვლილი არ აქვთ.

## ბონდო ზარნაძე: ფასების ზრდა არ შეჩერდება

ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ბონდო ზარნაძე პურსა და პურ-პროდუქტებზე ფასების კიდევ უფრო მომატებას რეალურს უწოდებს.

ბონდო ზარნაძე განმარტავს, რომ ამის მიზეზი საქართველო-რუსეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობებია.

„საქართველოში იმპორტირებული საკვები პროდუქტების დიდი ნაწილი რუსეთიდან შემოდიოდა. ცხადია, იმპორტის შეჩერება ფასების ზრდას გამოიწვევს. ფასები მოიმატებს არა მხოლოდ მარცვლეულზე, არამედ ხორცსა და ხორც-პროდუქტებზეც. უახლოეს მომავალში ენერგომატარებლების გაძვირებასაც უნდა ველოდოთ. ყველაფერი ეს ერთი დიდი ტალღის ნაწილია და ვიდრე საქართველო საკვები პროდუქტებითა და ენერგომატარებლებით მომარაგების ალტერნატიულ გზებს არ მოიძიებს, ფასების ზრდა არ შეჩერდება,— განუცხადა ჯი-ეიჩ-ენს ბონდო ზარნაძემ.

მისივე განმარტებით, სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაცია, პურის 9 პროცენტით გაძვირების შესახებ, რეალობას არ შეესაბამება. ეკონომიკის ექსპერტი აცხადებს, რომ თუ ფასის ზრდასთან ერთად მის წონაში დაკლებასაც გავითვალისწინებთ, რეალურად ღირებულება 20 პროცენტით არის გაზრდილი.

ჯი-ეიჩ-ენი

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველოს პერსპექტივები

**რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და საიდუმლო მოქმედებამ მოგვაგონა სულ სხვა პერიოდი, ვგულისხმობთ, 90-იანი წლების დამდეგს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პერიოდს, რომელმაც მთლიანად შეცვალა ევროპის ისტორია.**

90-იანი წლების დამდეგს ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის შესახებ როცა ლაპარაკობდნენ, თითქმის ყველა უსვამდა ხაზს, რომ ეს აუხდენელი ოცნება იყო. ამ გზაზე აღმართული იყო გადაულახავი დაბრკოლებები: საბჭოთა საოკუპაციო ჯარები არ დატოვებენ ბალტიისპირეთს; რუსეთთან არ არის მოგვარებული სასაზღვრო საკითხები; გარდა ამისა, ყოველივე ამას დასჭირდებოდა დიდძალი ფული; ნატოს სტანდარტებსა და ამ ქვეყნების ჩასახვის პროცესში მყოფ შეიარაღებულ ძალებს შორის არსებობს უზარმაზარი სხვაობა, დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია – ამ პერსპექტივებთან დაკავშირებით დასავლეთი არ იჩენდა არანაირ ენთუზიაზმს.

მაგრამ რუსეთმა, როცა შემოიღო ბალტიისპირეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები და შეწყვიტა ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობა დასავლეთთან, აგრეთვე როცა განაცხადა, რომ ბალტიელთა შესვლა ნატოში კრემლისთვის „მიუღებელი“ იყო (ეს რუსეთის ხელმძღვანელობის საყვარელი გამოთქმაა), ყოველივე ამით წარმოაჩინა იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნების შესვლა ალიანსში არა მარტო სასურველი, არამედ, აუცილებელიც იყო.

თავის პოზიციის გასამტკიცებლად რუსეთი აჭიანურებდა ამ რეგიონიდან ჯარების გამოყვანას, არ სურდა ეცნო ბალტიის ქვეყნების სამართალმემკვიდრეობა ომამდელ პერიოდთან შედარებით და ერთთავად გამოთქვამდა შეშფოთებას ამ ქვეყნებში მიღებული ენისა და მოქალაქეობის შესახებ კანონების გამო. ყოველივე ამის შედეგად ბალტიის ქვეყნების მოსახლეობამ უკვე ძალზე აქტიურად დაუჭირა მხარი მათ შესვლას ნატოში, რაც სავსებით გასაგებიცაა: როცა ადამიანი დაშინებულია, იგი ცდილობს თავის დაზღვევას.

გარკვეული დროის შემდეგ ეს დასავლეთმაც შეიგნო. ბალტიისპირეთის ქვეყნები დღემდე პრაქტიკულად არანაირად არ არიან დაცული; ორ მათგანს – ესტონეთს და ლატვიას დღემდე არ გაუფორმებიათ რუსეთთან სასაზღვრო ხელშეკრულებები, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ეს სახელმწიფოები იქცნენ გარკვეულ სიმბოლოდ, რომელთა ბედის ანაბარად მიტოვებაც ყოვლად დაუშვებელია.



ახლა კი, ვცადოთ და წარმოვიდგინოთ, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები იმ შემთხვევაში, კრემლს რომ ასეთი მედგარი წინააღმდეგობა არ გაეწია. მოსკოვი რომ დათანხმებოდა ბალტიისპირეთის გაწევრიანებას ნატოში, რომ ეთქვა, რა თქმა უნდა, გამოვიყვან ჯარებს ბალტიისპირეთიდან, თანაც – რაც შეიძლება სწრაფად... და მოხარული ვიქნებით, თუ ამ რესპუბლიკებთან დაიდება სასაზღვრო ხელშეკრულებები, ვაღიარებთ მათ ისტორიულ მთლიანობას და ა.შ. ასეთი სიგნალი რომ გამოეგზავნა ვინმეს, ნატოს გაფართოების სასარგებლოდ მოყვანილი ყველა არგუმენტი უკვალოდ გაქრებოდა. ნაკლებად სარწმუნო იქნებოდა ისიც, რომ ნატოში გაწევრიანება მოესურვებინა თუნდაც ერთ ყოფილ კომუნისტურ ქვეყანას. ალბათ, არც თვით ნატო მოისურვებდა მათ მიღებას თავის რიგებში.

დღეს რუსეთი იგივე შეცდომას უშვებს საქართველოში. ნატოში, ალბათ, ბევრს არ სურს ალიანსის გაფართოება შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებამდე: ნატო განიცდის რესურსების კატასტროფულ უკმარისობას, და მის რიგებში კიდევ ერთი ღარიბი ქვეყანა, ალბათ, არავის არ აძლევს ხელს. მაგრამ რუსეთის პოზიცია, რომელსაც სურს დაიტოვოს საქართველო თავისი „ახლო საზღვარგარეთის“ შემადგენლობაში, სადაც მოსკოვს აქვს გეოპოლიტიკური ვეტოს განუსაზღვრელი უფლებები, ქმნის ისეთ განწყობილებას, რომელმაც საქართველოში უკვე დღეს, დასავლეთში კი, თუ ყველაფერი შემდგომშიც ასე განვითარდება – ხვალ შეიძლება სრული უკუშედეგი მოიტანოს.

რუსეთი არავის არ უჩვენებს, თუ რა სარგებლობას მოუტანს მას კრემლთან მოკავშირეობა. ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც გადაწყვეტს რუსეთთან თამაშს ერთ გუნდში, სულ მალე მწარედ ინანებს ამას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კრემლში არავინ ფიქრობს პატარა და ერთგულ სომხეთზე, ქვეყანაზე, რომელმაც ძალზე მძიმე დარტყმა მიიღო მოსკოვის მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შედეგად. თვით ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკოც კი ამტკიცებს, რომ მისი რუსი კოლეგა ვლადიმერ პუტინი „სტალინზე უარესია“, და უკვე ეძებს ნიადაგს დასავლეთთან თანამშრომლობისათვის.

**„ეკონომისტი“**
**(დიდი ბრიტანეთი).**

*(იბეჭდება შემოკლებით)*

# რუსეთის კულტურის მოღვაწეთა მიმართვა

**რუსეთი სამარცხვინო მდგომარეობაშია. ადამიანები განიცდიან ეთნიკურ დისკრიმინაციას, შეურაცხმყოფელ შემოწმებებს, მათ აკავებენ ეროვნული ნიშნით. სდევნიან ყველა ქართველს – მოქალაქეობის, ასაკისა და სოციალური კუთვნილების მიუხედავად.** შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებმა შეადგინეს ქართული გვარების მქონე სკოლის მოსწავლეთა სიები, მოითხოვენ, რომ ბავშვებმა წარმოადგინონ ცნობა მათი ოჯახის საცხოვრებელი ადგილის შესახებ. რუსეთის მთავრობისადმი პუტინის მიერ მიცემულმა დავალებამ – გაეწმინდათ ბაზრები უცხოელებისგან, გამოიწვია ეთნიკური წმენდა. მილიციამ განახორციელა მოსკოვის ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში მრევლის აღწერა. ცდილობენ შეთითხნონ საქმეები ქართული წარმოშობის კულტურის მოღვაწეთა წინააღმდეგ. გადაკეტილია საქართველოსკენ მიმავალი ყველა სატრანსპორტო გზა, იკრძალება ფულადი გზავნილები. დაიწყო რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეთა იძულებითი დეპორტაცია, ინგრევა შერეული ოჯახები.




ასეთი მოქმედება, მათ შორის, თბილისიდან რუსი დიპლომატების სასწრაფო ევაკუაცია და რუსეთის ხელისუფლების მუქარა, რომ საქართველოს შეუწყვეტს გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდებას, ომისათვის მზადებას მოგვაგონებს.

საქართველოსა და რუსეთის მთავრობები ვალდებული არიან კონფლიქტი მოაგვარონ დიპლომატიური მეთოდებით. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მოლაპარაკების მაგიდასთან. მაგრამ საქართველოსა და რუსეთის ხელმძღვანელთა მიერ განხორციელებული ასეთი შეურიგებელი პოლიტიკა ამის შესაძლებლობას მთლიანად გამორიცხავს და ქმნის პირობებს ზემოაღნიშნულ რეგიონებში შეიარაღებული კონფლიქტის განახლებისთვის.

აბსოლუტურად დაუშვებლად მიგვაჩნია ეროვნებათშორისი კონფლიქტის გაღვივება, უაღრესად საშიშია თამაში ბრბოს სულმდაბალი ნაციონალისტური ინსტინქტებით. რუსი ერის უმთავრესი ღირებულება ყოველთვის იყო მისი მშვიდობისმოყვარეობა. რუსეთის ხელისუფლების მოქმედება აყენებს დარტყმას არა კრიმინალიტეტს, რომელიც ყოველთვის გამონახავს თავის დაძვრენის შესაძლებლობას, არამედ უბრალო ადამიანებს, იმათ, ვინც სწავლობს და მუშაობს რუსეთში, ვისაც აქვს ოჯახები. თავსმოხვეულ ქართველებისადმი სიძულვილს უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა, რომელსაც ვერაფერს დააკლებენ ვერც უზნეო პოლიტიკოსები და ვერც სამხედრო ბიუჯეტის გაზრდით დაინტერესებული გენერლები.

**მიმართვას ხელს აწერენ:**
**ლია ახეჯაკოვა, არტურ არისტაკისიანი, ლეონიდ ბატკინი, სერგეი განდლევსკი, ალა გერბერი, ვლადიმ ჟუკი, მიხეილ ზლატკოვსკი, ზოია მასლენიკოვა, იური ნორშტეინი, ნატალია ტრაუბერგი, არტემ ტროიცკი, ინა ჩურიკოვა, სერგეი იურსკი, ელენა კამბუროვა.**

# კიდევ 60 მოქალაქეს გამოისტუმრებენ

**სამართალქომაგთა მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის პირობები, რომლებშიც იმყოფებიან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არალეგალურად შეღწეული და ამჟამად დაკავებული საქართველოს მოქალაქეები, ყოვლად მიუღებელია.**

ამის პასუხად კი რუსეთის ფედერალური სამიგრაციო სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კონსტანტინ პოლტორანინმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: „იმ პირობებს, რომლებშიც საქართველოს მოქალაქეები იმყოფებიან, საკურორტოს ვერ ვუწოდებთ, მაგრამ ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე საპყრობილე“.

მან განმარტა, რომ საქართველოს მოქალაქეები იძულებულები არიან დარჩნენ დროებით ცენტრებში, რადგან არ არსებობს საჰაერო მიმოსვლა ამ სახელმწიფოსთან, რომელიც შეწყდა რუსეთის ინიციატივით, ორ ქვეყანას შორის კონფლიქტის ფაზის დაწყებისთანავე.




პოლტორანინმა ასევე სიცრუე უწოდა ინფორმაციას დროებითი ცენტრების თანამშრომელთა მიერ საქართველოს მოქალაქეების შეურაცხყოფისა და აბუჩად აგდების შესახებ.

მანამდე კი საქართველოს კონსული რუსეთში ზურაბ პატარაძე აღნიშნავდა, რომ დროებით ცენტრებში მყოფ ქართველთა შორის არის ერთი მცირეწლოვანი ბავშვი. პატარაძის თქმით, ცენტრებში პირობები ნორმალურია, მაგრამ ეს ადამიანები იქ უკვე ათ დღეზე მეტია იმყოფებიან და სამშობლოში დაბრუნება სურთ. „ოპერატიულად უნდა გადაწყდეს ქართველების გამომგზავრების საკითხი“, – თქვა პატარაძემ. კონსულმა დასძინა, რომ 24 ოქტომბერს იგი აპირებს შეხვდეს რუსეთის ფედერალური საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს და ამ შეხვედრის დროს განიხილავენ რუსეთიდან ქართველების დეპორტაციის პრობლემას.

НЕЗАВИСИМАЯ

# „კირპიჩი“ საქართველოს მოქალაქეობას ითხოვს

**ცნობილმა რუსმა მსახიობმა სტანისლავ სადალსკიმ საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შესახებ თხოვნით მიმართა საქართველოს მოსკოვის საელჩოს.**

ეს ერთი შეხედვით აბსურდული ინფორმაცია დაადასტურა კონსულმა ზურაბ პატარაძემ. როგორც მან თქვა, სადალსკის განცხადებას ოფიციალურად განიხილავენ. თვით კონსული კი ვერანაირ დაბრკოლებას ვერ ხედავს იმისთვის, რომ მსახიობს მიანიჭონ საქართველოს მოქალაქეობა.

თვით პოპულარულმა მსახიობმაც დაადასტურა ეს „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტთან საუბრისას:

– ქართველ ხალხთან სოლიდარობის ნიშნად, მსურს გავხდე ამ ქვეყნის მოქალაქე და ქართული გვარიც კი ავიღო! – განაცხადა სტანისლავმა.– სხვათა შორის, ამ დღეებში საფრანგეთში გავხსენი ქართული რესტორანი.

სადალსკი ცნობილია იმით, რომ ძალზე უყვარს კავკასიის ეს ამაყი ხალხი, კერძოდ, იგი მეგობრობს ტელეწამყვან თინა კანდელაკთან და ლავრენტი ბერიას ვაჟთან – დიმიტრისთან. სამწუხაროდ, მსახიობს, რომელმაც სახელი გაითქვა სერიალში „შეხვედრის ადგილი უცვლელია“ ჯიბის ქურდის – „კირპიჩის“ როლით, არ უთქვამს, თუ რომელი გვარი ჩაიწერება მის პასპორტში.



КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

ინტერესთა კონფლიქტი

# ნაციონალიზმი ამერიკულად

**ამ ბოლო ხანებში რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში მრავალი საჭირბოროტო საკითხი დაგროვდა. აშკარაა, რომ სადღეისოდ არსებობს ინტერესთა რეალური კონფლიქტი — ეს, კერძოდ, ეხება ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, შუა აღმოსავლეთს და ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფოებს, ეხება იმას, რომ შეერთებული შტატების მთავრობას სურს გააკონტროლოს ენერგეტიკული რესურსები და ისრაელთან ერთად დაიკავოს გაბატონებული პოზიცია ახლო აღმოსავლეთში, რაც მთლად არ შეესაბამება რუსეთის ინტერესებს.**

როგორ უნდა გავიგოთ შეერთებული შტატების სწრაფვა იხილოს ნატოში უკრაინა მაშინ, როცა ვაშინგტონს არა ჰყავს საჭირო შეიარაღებული ძალები იმისთვის, რომ დაიცვას კიევი შესაძლო კრიზისის შემთხვევაში? როგორ ავხსნათ, რომ აფხაზეთს ახლა უკავია მნიშვნელოვანი ადგილი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში, თუმცა, ამერიკელთაგან ბევრი რუკაზეც კი ვერ იპოვის აფხაზეთს, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას კი არაფერი სმენია მის შესახებ? როგორ გავიგოთ, რომ ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, წამყვანი ექსპერტები და სპეციალისტებიც, მზად არიან რუსეთში დაინახონ საფრთხე? ყოველივე ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ როგორც ამერიკის პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში, ისე შეერთებული შტატების იდეოლოგიასა და პოლიტიკურ კურსში.

ამის განმარტება შეიძლება ორი ფაქტით. ერთი უკავშირდება ამერიკის პოლიტიკური სისტემის სტრუქტურას, მეორე კი — იდეოლოგიას და პოლიტიკურ კულტურას. დავიწყოთ სტრუქტურული მიზეზებით. სტრუქტურულ სფეროში საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, ელიტათა ინერციას — ამერიკული ისტებლიშმენტი და ელიტებს შორის ურთიერთობის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბდა ცივი ომის წლებში „საბჭოურ საფრთხესთან“ დაპირისპირების იდეის ირგვლივ. ძირითად როლს ასრულებდნენ ლობისტები და ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის კომპანიები. ეს ელიტები ახლაც ასრულებენ გარკვეულ როლს. მართალია სსრ კავშირი უკვე 15 წელიწადზე მეტია აღარ არსებობს, მაგრამ ამერიკელთა უმრავლესობა რუსეთს კვლავ მიიჩნევს მტრად.

ამერიკის პოლიტიკური ელიტები ჩამოყალიბდნენ იმ მიზნით, რომ მთელი ყურადღება მიეპყროთ ერთი გლობალური მტრისადმი, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყნისადმი. 11 სექტემბრის მოვლენათა შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ამ ელიტარულ ჯგუფებს ძალზე უჭირთ ხელახლა გაიაზრონ თავიანთი როლი მსოფლიოში და მთავარი ძალისხმევა ახლა უკვე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარონ. თუმცა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, უნდა ითქვას, რომ შეერთებული შტატების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ ტერორისტული დაჯგუფებები, 2002 წელს კი აქცენტი გაკეთდა ერაყსა და ირანზე, ახლა, როგორც ჩანს, რუსეთის და ჩინეთის ჯერი დადგა.

საფრთხე ისეთი სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც ფლობს მძლავრ შეიარაღებულ ძალებს (იგულისხმება რუსეთიძ, არის თავდაცვითი კომპლექსის დაფინანსების ერთადერთი და ყველაზე საიმედო საფუძველი, რაც თავისთავად გულისხმობს ამ კომპლექსთან დაკავშირებული პოლიტიკური, საქმიანი და სამეცნიერო ელიტების მხარდაჭერას. ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს შეერთებული შტატების სამხედრო კორპორაციებს და არმიებს უშუალოდ სურდეთ ომის გაჩაღება რუსეთთან და ჩინეთთან. ამერიკელი გენერლები აგრესიულები არიან მხოლოდ ბიუჯეტის ათვისების დროს, თუმცა რეალურად ვინმესთან ომი არ სურთ. არადა, მთელი ამ საბიუჯეტო თანხების მისაღებად, აუცილებელია ზოგიერთ ქვეყნებთან დაძაბულობის გარკვეული დონის შენარჩუნება. ამჟამად შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების დაფინანსება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ჩინეთთან ომის გაჩაღების თვით ალბათობის არსებობაზეც კი.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ამერიკულ ელიტებს ძალზე უჭირთ გადაერთონ ახალი გამოწვევების წინააღმდეგ საბრძოლველად — ებრძოლონ მტერს, რომელსაც არა აქვს „შეხების ცენტრი“ ამერიკის სამხედრო ძლიერებასთან. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში უპირატესობას ანიჭებს ტრადიციულ მეთოდებს — ტანკები, თვითმფრინავები, ხომალდები და ქვეითი ჯარი. ამის შესაძლებლობა რომ არ არსებობდეს, ქვეყნის შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი, უბრალოდ, აღარ იქნებოდა საჭირო. აი, ასეთია პირველი სტრუქტურული განმარტება ცივი ომის შემდეგ შეერთებული შტატების ქცევისა.



ამერიკული პოლიტიკური ელიტა დაქსაქსულია, ამ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ამერიკული პოლიტიკური სისტემის ბუნება, რომელიც ეფუძნება უფლებამოსილების დანაწილებას აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. ფაქტობრივად, შეერთებულ შტატებში სამი მთავრობაა. კონგრესი და უზენაესი სასამართლო აღჭურვილი არიან ისეთი უფლებამოსილებებით, რომლებიც სხვა ქვეყანაში მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებს თუ ეკუთვნით. უზენაეს სასამართლოს არ შეუძლია მოახდინოს გავლენა საგარეო პოლიტიკაზე, მაგრამ კონგრესს აქვს ამის უფლება, მაგალითად, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს საგარეო-პოლიტიკური კონცეფციები და სტრატეგია.

იდეოლოგიურ სფეროში შეერთებული შტატების ანტირუსული პოლიტიკა უკავშირდება თვით ამერიკული ნაციონალიზმის ხასიათს. ბუშისა და კლინტონის ადმინისტრაციების დროს ამერიკული პოლიტიკა ფაქტობრივად გახდა იმპერიული მთელი დანარჩენი მსოფლიოს მიმართ, თუმცა, ამერიკელთა დიდი ნაწილი ვერც კი გრძნობს ამას, ისინი თავს არ მიიჩნევენ იმპერიალისტებად მათი ბრიტანელი, ფრანგი და რუსი წინამორბედებისგან განსხვავებით. ემოციურად, პოლიტიკურად და სოციალურად ასეთ პოლიტიკას ზურგს უმაგრებს ნაციონალიზმი. ეს ნაციონალიზმი ორი სახისაა. ერთი მხრივ, ეს არის შევიწროებული შოვინიზმი, რომელიც მნიშვნელოვნად გააქტიურდა 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ. გარდა ამისა, არსებობს ეთნიკური ნაციონალიზმიც. მაგალითად, წარმოშობით ირლანდიელები ყოველთვის ცდილობდნენ გარკვეულწილად ექიათ შური ინგლისელებზე. მსგავს კონფლიქტებს მიეკუთვნება აგრეთვე ამერიკელი უკრაინელების, პოლონელების, ბალტიისპირელების ურთიერთობა ადგილობრივ რუსებთან.

ამ შემთხვევაში არანაკლებ მნიშვნელოვანია იდეოლოგიური ნაციონალიზმიც. ვგულისხმობთ ამერიკული ნაციონალიზმის ფუძემდებლურ იდეებს — დემოკრატიის, სამართლიანობის, სიტყვის თავისუფლების, ინდივიდუალიზმის რწმენას, ანუ ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვუწოდებთ ხოლმე ამერიკულ ღირებულებებს. თუმცა, ყოველივე ამასაც საფუძველი ჩაეყარა კარგა ხნით ადრე, სანამ ამერიკაში გამოჩნდებოდა პირველი თეთრკანიანი მოსახლე — მისი ფესვები უნდა ვეძებოთ მე-16 საუკუნის ინგლისურ და შოტლანდიურ პროტესტანტიზმში.

ამერიკა სამაგალითო უნდა იყოს ყველა სხვა ქვეყნისთვის — ასეთი იყო ამერიკელთა განწყობა, როცა დაიწყო მათი სამშობლოს მშენებლობა. მაგრამ ეს იდეა არ გულისხმობდა იმას, რომ ამერიკა ფართოდ გაავრცელებდა და დანერგავდა თავის მაგალითს მთელ მსოფლიოში. თუმცა, ამერიკის, როგორც სახელმწიფოს სიმძლავრის გადიდების, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ამერიკელთა ინტერესებისა და სურვილების ზრდის კვალობაზე ამ რწმენას მიეცა ექსპანსიონისტური ხასიათი. ახლა ძნელია იმის გარკვევა, თუ რა განეკუთვნება შეერთებული შტატების ინტერესებს, და რა — არა. რა არის სინამდვილეში დემოკრატიის გავრცელება მთელ მსოფლიოში. ზუსტად ისევე, როგორც ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის დროს ძნელი იყო განგვესაზღვრა, თუ რა შედიოდა საბჭოთა კავშირისა და მისი ხალხის ინტერესებში და რა — კომუნისტური პარტიისა.

## მოკლედ



**პანამის მოქალაქეებმა რეფერენდუმზე მხარი დაუჭირეს მთავრობის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს პანამის არხის გაფართოებას. ამის შედეგად ამ საწყლოსნო არტერიის გამტარუნარიანობა ერთიორად გაიზრდება. მშენებლობა 2014 წელს უნდა დასრულდეს, პროექტის განხორციელება კი 5,25 მილიარდი დოლარი დაჯდება.**

* * *



**ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის აჯანყების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები — მიტინგები და დემონსტრაციები. უნგრეთის დედაქალაქში ჩავიდა მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის ოფიციალური დელეგაციები. ღონისძიების ოფიციალური ნაწილი გაიმართა უნგრეთის პარლამენტის შენობის წინ.**

* * *

**რუსეთ-ევროკავშირის სამიტზე პუტინმა შეახსენა იტალიელებს და ესპანელებს, თუ რომელი ქვეყანაა მაფიის სამშობლო. როგორც ესპანური გაზეთი „ელ პაისი“ წერს, პუტინმა განაცხადა, რომ იტალია მაფიის აკვანია, ესპანეთში კი ხელისუფლება მთლიანად კორუმპირებულია.**

* * *



**ბულგარეთში პრეზიდენტის არჩევნების პირველ ტურში გიორგი პირვანოვმა გაიმარჯვა. რესპუბლიკის მოქმედ პრეზიდენტს ხმა მისცა საარჩევნო უბნებში მისულ ამომრჩეველთა 64-მა პროცენტმა. მთავარმა კონკურენტმა — ნაციონალისტური პარტიის „ატაკას“ ლიდერმა ვოლენ სიდეროვმა ხმათა მხოლოდ 21,5 პროცენტი მოიპოვა.**

---

**საქმე №4-2006**

**18 აგვისტო 2006 წელი ქ. რუსთავი**

## რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება

**შესავალი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე პართენიშვილმა, ერთპიროვნულად, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შპს „კომპლექსური მართვის სასწავლებლის“ მიმართ სალიკვიდაციო პროცესის დაწყების საკითხი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა რა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.1; 14.2 და 14.3 მუხლებით, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით

**დაადგინა:**

1. შპს „კომპლექსური მართვის სასწავლებლის“ მიმართ დაიწყოს სალიკვიდაციო პროცესი;
2. შპს „კომპლექსური მართვის სასწავლებლის“ ლიკვიდატორად დაინიშნოს შპს „კომპლექსური მართვის სასწავლებლის“ დირექტორი ინგა სიხარულიძე, იურიდიული მისამართი: **ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას №4, საცხ. მის. რუსთავი, მე-7 მ/რ №21-25ძ.**
3. ლიკვიდატორი მოვალეა დანიშვნისთანავე შეადგინოს ბალანსი. საწარმოს საბუღალტრო წიგნებიდან ან სხვა წყაროებიდან ცნობილ კრედიტორებს საზოგადოებასთან ლიკვიდაციის შესახებ აცნობოს სპეციალური შეტყობინებით, ხოლო უცნობ კრედიტორებსა და იმ კრედიტორებს, რომელთა საცხოვრებელი ადგილი უცნობია, საჯარო განცხადებით (აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გაზეთით, ტელევიზიითძ და მოიწვიოს ისინი მათი პრეტენზიების განცხადებისთვის.
4. ლიკვიდატორი მოვალეა დაამთავროს მიმდინარე საქმეები, განახორციელოს აქციები და შეასრულოს საზოგადოების ვალდებულებები, თუ ბალანსიდან არ გამომდინარეობს დავალიანება, დავალიანების დადგენისთანავე, იგი მოვალეა მიმართოს სასამართლოს გაკოტრების საქმის გახსნის თაობაზე განცხადებით.
5. ლიკვიდატორი წარმოადგენს საზოგადოებას ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ გარიგებებში, შეუძლია წარმართოს ამასთან დაკავშირებული პროცესები, დაამთავროს საარბიტრაჟო საქმეები ან მორიგებით დაასრულოს დავები, ხოლო თუ ეს საჭიროა, ჩაერთოს ახალ გარიგებებშიც. მას შეუძლია აგრეთვე თავისუფლად გაყიდოს აქტივები.
6. საზოგადოება პასუხს აგებს ლიკვიდატორის მიერ თავის საქმიან მოვალეობათა შესრულებისას უნებართვო მოქმედებებით მიყენებული ზიანისათვის. ლიკვიდატორების პასუხისმგებლობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 მუხლით.
7. განჩინებაზე დაიშვება კერძო საჩივრის შეტანა მისი განმცხადებელზე (შპს „კომპლექსური მართვის სასწავლებლის“ დირექტორზეძ გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში.

**მოსამართლე:**
**ე. პართენიშვილი**

## ელამი სარკე

# ილაპარაკე, რა გენაღვლება!

**მაგრამ ვინ გალაპარაკებს, მეზობლებში თუ მოასწრებ წაჭორავებას დღევანდელ უსაშველო ფასებზე, თორემ შინ ხმას ვინ ამოგაღებინებს, ყველა წახრილა ტელევიზორთან და უცხოურ სერიალებს უყურებს.**

მართალია, ფილმებს წარამარა წყვეტენ, მაგრამ მაშინ კიდევ რეკლამები წაგაჭამს ყურებს. ბიჭი ხარ და აბა, ერთი სიტყვა ჩაურთე. ვერ ჩაურთავ. რეკლამა მომთავრდება თუ არა, მაშინვე სერიალის გაგრძელება იწყება, წინა ნაწილი უკვე აღარ გახსოვს.

შვილიშვილებს კი ახსოვთ, მაგრამ შენ რა. ამ გახურებულ სასკოლო რეფორმისას შენთვის ვისა სცალია. ბავშვმა მასწავლებელს უსმინოს თუ ტელესერიალები თავიდან მოგიყვეს?

ხანდახან ისევ ეს მაგთი და ჯეოსელი თუ განგაწყობენ სალაპარაკოდ, თორემ სხვა ყველას ფეხებზე ჰკიდიხარ. უფრო მაგთით ვარ კმაყოფილი. გეუბნება, მიდი ილაპარაკე, რამდენიც გინდა, რასაც დახარჯავ, იმის ნახევარსაც არ გადაგახდევინებო.

მეტი რა ქნას, ძმაო, გაანებე თავი ამ ტელესერიალებს და ნაცნობ-მეგობრებს ელაპარაკე. გაერთობი, ერთდროულად ფულსაც დაზოგავ და ენასაც მოიქავლებ.

ერთი ეგ არის, ხუთ წუთზე ნაკლები არ უნდა ილაპარაკო. თუ ამ პირობას დაიცავ, ხუთ წუთში მხოლოდ ორი წუთისას გადაიხდი. თუ 10 წუთამდე გააგრძელებ ლაპარაკს – ორჯერ ნაკლებს. ბალიდან – ბალზე ან თუთიდან – თუთაზე თუ გადაერთვები, ხომ მთლად აშენდები.

მოკლედ, თუ მობილური გაქვს და ლაპარაკს არ დაიზარებ, თვეში სამს თუ არა, ორი პენსიის ფულს მაინც მუქთად დააგროვებ.

მაგრამ აქ ერთი პრობლემაა. შენ კი გაუბამ ლაპარაკს რომელიღაც აბონენტს (რა გენაღვლება, ფული გეზოგება), მაგრამ იმ ვიღაცას სულ არ ენაღვლება შენი დანაზოგი, რომელიც მუქთა ლაქლაქზე დაგთანხმდება?



პირადი გამოცდილებიდან გეუბნებით. ამას წინათ ერთ ნაცნობს დავურეკე.

–თუ სალაპარაკო გაქვს, – მეუბნება, –სადმე რესტორანში შევხდეთ.

– არა, უბრალოდ შენთან საუბარი მინდოდა.

– მობილურით? გაგიჟდი ძმაო, რაზე იხარჯები, ქალაქის ტელეფონით მაინც დარეკე.

მინდოდა ამეხსნა, ფულს ვხარჯავ კი არა, ვზოგავ-მეთქი, მაგრამ მომერიდა და გავჩუმდი.

სხვა ვარიანტიც ვსინჯე. ვიცი, გურულებს ლაპარაკი უყვართ (შევარდნაძის გამოკლებით, თუმცა ისიც დანაკლისს ორშაბათის ინტერვიუებით ინაზღაურებდა), და ერთ ძველ ნაცნობს სპეციალურად გურიაში დავუკავშირდი.

– რავა ხარ, ძმაო, ვეკითხები.

– გადირიე, ძამა?

– რაზე მეუბნები?

– აბა ახლა ვის ეკითხებიან ამას?

– რატო რა, ნახე გაერომ საქართველოზე რა დოკუმენტი მიიღო?

– მაი საკენკი რუსებს დოუყარე.

– რატომ რუსებს, ბალაფშიც კმაყოფილია.

– მაი მიშას ჰკითხე, – მითხრა და ყურმილი დამიკიდა.

საათს დავხედე. ლაპარაკის დაწყებიდან ორი წუთიც არ გასულიყო.

– ეს საქმეც ჩამიფლავდა, გავიფიქრე, მოდი ახლა ქალებს ვსინჯავ, მაგათ მაგრად ევასებათ ტელეფონით ლაპარაკი. თანაც სასიყვარულო პონტში თუ შევყევი...

სრულიად შემთხვევითი ნომერი ავკრიფე.

– ალო! – გაისმა მინაზებული ხმა.

– რომელი ხართ?

– თამუნა. თქვენ ვისთან რეკავდით?

–თქვენთან, ქალბატონო თამუნა, უკეთესთან ვისთან დავრეკავდი?

– მაგრამ რომ არ გიცნობთ?

– ახლა გავიცნოთ ერთმანეთი, თქვენ ისეთი მომხიბლავი ხმა გაქვთ...

– ტელეფონში?

– რატომ ტელეფონში, თუ მოისურვებთ, პირადადაც შევხვდებით.

– უი, უი, ამ ლაქლაქში რძე გადმომივიდა, – იკივლა თამუნამ და მობილური გათიშა.

– ოხ, ეს რძე საიდანღა გამომეჩხირა, – ჩავიბურდღუნე, – ეგ რომ არა, დღეს ერთ 5 ლარს მაინც დავზოგავდი.

იმედი მაინც არ დამიკარგავს. თამუნა ყოველდღე რძეს ხომ არ დაუწყებს ხვრეპას. ხანდახან ალბათ ლობიოსაც ხარშავს. მომენტის შერჩევა უნდა, თორემ იმას ვალაქლაქებ, მე კაი მაყუთს მოვღუნავ...

**ოტია ჩართოლანი**

## მეცნიერები გვაფრთხილებენ

# ნაადრევი სექსი – დეპრესიისა და თვითმკვლელობის ნაღმი?

**ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი ფსიქოლოგები – ადრეული სექსუალური გამოცდილება მოზარდებში იწვევს დეპრესიის განვითარებას და სუიციდსაც (თვითმკვლელობასაც) კი.**

სექსუალურად აქტიური გოგონა-თინეიჯერების 25 პროცენტი განიცდის დეპრესიას, ხოლო მათ თანატოლებში, სექსის გემო რომ არ გაუგიათ, მხოლოდ 7,7 პროცენტს აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები. ბიჭებში ეს მაჩვენებლები, გაცილებით ნაკლებია – შესაბამისად 8,3 და 3,4 პროცენტი.

ამას ამტკიცებს ამერიკელი მკვლევარის კირკ ჯონსონის მონაპოვარიც. მეცნიერი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სქესობრივი კავშირი უაღრესად ნეგატიურად მოქმედებს მოზარდის ფსიქიკაზე. მისი აზრით, პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის პირველი სექსუალური გამოცდილების მიღება საჭიროა მხოლოდ სრულწლოვანების შემდეგ. ის კი ამერიკაში 21 წლით განისაზღვრება.

ამ თვალსაზრისს ეთანხმება ფსიქოლოგიის დოქტორი ჯინ ტუენგეც. თავისი წიგნისთვის „თაობა მე“ მასალებს რომ აგროვებდა, ამ სწავლულმა ქალბატონმა 1,3 მილიონი ახალგაზრდა ამერიკელი გამოჰკითხა და გაარკვია, რომ დეპრესიამდე ისინი მიდიან უფრო ხშირად, ვიდრე წინა თაობა. ამასთან, ახლანდელ ახალგაზრდებს უფრო თავისუფალი შეხედულებები აქვთ სექსზე, ვიდრე კაცობრიობას მთელ ისტორიაში.



„ლიბერალიზაცია მიმდინარეობს მთელს მსოფლიოში, – ამბობს სექსოლოგი სერგეი ოგარკოვი, – ამიტომაც ამერიკელთა გამოკვლევები მისადებია ევროპაშიც და რუსეთშიც (ალბათ საქართველოშიც. **რედ.**) ლიბერალიზაციის ძირითადი პრობლემა ისაა, რომ დაბალი კულტურული დონის ადამიანებს არ ესმით: თავისუფლება პასუხისმგებლობაა. არ იციან, როგორ უნდა ისარგებლონ ამით. აქედანაა დეპრესიაც და ფსიქოლოგიური დისკომფორტიც“.

შედეგები, შესაძლოა, უფრო საშინელი იყოს. ამერიკელმა მეცნიერებმა დაიანგარიშეს, რომ ქალიშვილები, უბიწობას ადრე რომ გამოეთხოვნენ, თვითმკვლელობას სამჯერ მეტად სჩადიან, ვიდრე მათი თანატოლები, სექსუალური კონტაქტები რომ არ გაუცდიათ. ბიჭებს შორის ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია ექვსჯერ.

ასეთ დასკვნებს ეთანხმება სქესობრივი ურთიერთობის დარგის ბევრი სპეციალისტი. მათ შორის ცენტრის „ჩემი ტრენინგი“ ფსიქოლოგი სვეტლანა კრისკო. „სინამდვილეში, ადრეულ სექსს, შესაძლოა, ჰქონდეს ყველაზე მძიმე შედეგები. საქმე იმაშია, რომ განვითარების ყველა ეტაპზე ადამიანში ყალიბდება განსაზღვრული ფსიქოლოგიური ფუნქციები. ასე მაგალითად, 12-დან 15 და 18 წლამდესაც კი საფუძველი ეყრება ისეთ ცნებებს, როგორიცაა, ერთგულება. შემდეგ 25 წლამდე ხდება ცნების „სიყვარული“ შეცნობა. ადრეულ სექსს მივყავართ პიროვნების ფორმირებამდე. გამოდის, რომ მოზარდი სექსის დახმარებით ახდენს მხოლოდ უხეში ენერგიის რეალიზაციას, არ ესმის, თუ რა არის სიყვარული“, – გვაფრთხილებს ფსიქოლოგი.

მას მიაჩნია, რომ ქალიშვილებში სექსუალური ცხოვრება უნდა დაიწყოს არა უადრეს 18 წლისა, როცა ჩაივლის პიროვნების ფორმირების ძირითადი ეტაპები.

ზოგი რუსი სპეციალისტი სექსს ადარებს თავისებურ საათისმექანიზმიან ნაღმს, რომელმაც გაუფრთხილებლობის შემთხვევაში შეიძლება ააფეთქოს მოზარდის ფსიქიკა. თუმცა, ექსპერტებს ისიც მიაჩნიათ, რომ ადრეულ სექსს არ შეიძლება მხოლოდ უარყოფითად შევხედოთ. ისინი აღიარებენ მთლიანად აკრძალვის უაზრობასაც, რადგან, „აკრძალული ხილი ტკბილია“.

## ეროვნული ჩემპიონატი

# ალავიძეც „დასველდა“

**ფეხბურთელთა XVIII ეროვნულ ჩემპიონატს IX ტურის შემდეგ რუსთავის „ოლიმპის“ სახით, ერთპიროვნული ლიდერი გამოუჩნდა, თუმცა წამყვან პოზიციამდე აღზევება გიორგი კიკნაძის გაწვრთნილ გუნდს მეკარე მიხეილ ალავიძის „მშრალი სერიის“ შეწყვეტად დაუჯდა – მან ზღვისპირელთაგან სეზონში პირველი გოლი გაუშვა:**

„ოლიმპი“-„ბათუმი“ 2:1 (**ქებაძე, ხოჯავა; მუჯირი**), „ზესტაფონი“-„ამერი“ 0:0, „სიონი“-„ბორჯომი“ 2:0 (**ჭიჭვეიშვილი, ალავიძე**), „მერანი“-„დინამო“ 1:3 (**ქემაშვილი; ბობოხიძე, მერაბიშვლი, ხუციშვილი**), „ვიტ ჯორჯია“-„ჩიხურა“ 3:2 (**გ. დათუნაიშვილი** – 3; **ბუცხრიკიძე, კაკალაძე**), „კახეთი“-„ტორპედო“ 2:3 (**კობაიძე, წუწუნავა; წიქარიშვილი, მუშკუდიანი** – 2), „ლოკომოტივი“-„დილა“ 3:0 (**გუშარაშვილი** – 2, **ყენია**).

**სატურნირო მდგომარეობა:** „ოლიმპი“ – 25, „ამერი“ – 23, „დინამო“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“ – 18-18, „სიონი“ – 14, „ლოკომოტივი“ – 11, „ბათუმი“, „მერანი“ – 8-8, „ჩიხურა“ – 6, „ბორჯომი“ – 5, „დილა“ – 2, „კახეთი“ – 1 ქულა.

**29 ოქტომბერს ითამაშებენ:** „დინამო“-„ოლიმპი“, „ბორჯომი“-„ჩიხურა“, „ბათუმი“-„ვიტ ჯორჯია“, „დილა“-„მერანი“, „ამერი“-„ლოკომოტივი“, „ტორპედო“-„ზესტაფონი“, „სიონი“-„კახეთი“.

## ათლეტიზმი

# მედლების მოლოდინში

**დღეს ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ვესტ ატლანტიკ-სიტიში მსოფლიო ჩემპიონატზე გაემგზავრა საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდი, რომელიც თსუ სპორტული ცენტრის ათლეტიზმის კლუბ „ამირანის“ წევრებითაა დაკომპლექტებული: გერონტი ჯმუხაძე – ზემძიმე წონა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი; ზაურ ჯავახიშვილი – 60 კგ., მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; ნიკოლოზ შარაძე – 110 კგ., საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ამერიკული ვოიაჟის განხორციელება ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, პროფესორ გიორგი ხუბუას თანადგომით მოხერხდა, რომელიც ყოველთვის გვერდით უდგას რკინასთან მორკინალ გოლიათებს.**

ადგილზე თანამემამულეებს შეუერთდება ოკეანის გაღმა მცხოვრები ლეგიონერი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბორის სარალიძე (82,5 კგ). აღსანიშნავია, რომ ისიც ალმა-მატერის აღზრდილი გახლავთ.

დელეგაციის ხელმძღვანელი, თსუ სპორტული ცენტრის თანამშრომელი, პროფესორი ზურაბ ჭავჭანიძე ვეტერან მძიმეწონოსანთა შორის იასპარეზებს.

დავძენთ, რომ უმნიშვნელოვანეს ფორუმამდე ქართველი ათლეტები ცნობილი ძალოსნის, თსუ ფიზაღზრდის კათედრის გამგის (1949-1969 წ.წ.) კონსტანტინე ზაუტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირში ცდიდნენ ძალებს და საკმაო წარმატებითაც. კერძოდ, წოლჭიმში საკუთარი ეროვნული მიღწევა 4 კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიოს ჩემპიონმა ვლადიმერ ნაზღაიძემ (თსუ, 56 კგ.) – 147,5 კგ., ხოლო თსუ სიღნაღის ფილიალის სტუდენტმა გიორგი ბეჟაშვილმა (75 კგ.) მსოფლიოს ვიცეჩემპიონის დავით მერაბიშვილის 1990 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა ამავე მოძრაობაში – 190 კგ.




### განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს **„ქინძმარაულის ღვინის ქარხნის“** (მდებარე ქ. თბილისი, ტიციან ტაბიძის ქ. 38-ში, რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რ-ნის სასამართლოს მიერ 24.02.2004 წ. №5/4-3137) ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვმართოთ – **ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ. 75, ტელ: 91-59-30 (გია).**

**სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ა. ხარებავა**

### განცხადება

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს **„დილვამის“** (მდებარე ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, დიღმის მასივი, II კვ. რეგისტრირებული დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნის სასამართლოს მიერ 26.01.1996 წ. №2/4-408) ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, დაუყოვნებლივ მოგვმართოთ – **ქ. თბილისი, ატენის ქ. 6/8, ბ. 75, ტელ: 91-59-30 (გია).**

**სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე ა. ხარებავა**

თარიღი

# სიყვარულის წილ

**ვინ მოთვლის, რამდენ უცხოტომელს გაუვლია ქართულ ფეხბურთში სიკეთის ხნული, მაგრამ ერთეულებს თუ რგებიათ ისეთი სიყვარული, ხორვატმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა რომ დაიმსახურა.**

პროფესიონალიზმთან ერთად ბალკანელ სპეციალისტს ინტელექტი და პიროვნული ხიბლიც გამოარჩევს, რითაც ბევრი მისი კოლეგა ვერ დაიკვეხნის, თუმცა არის კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ქართველი გულშემატკივარი ბატონი ივოს მადლიერი მარად იქნება. ეს გახლავთ





2003 წლის 30 აპრილის დაუვიწყარი ღამე, როცა რუსეთის ნაკრებთან „ჯვაროსანთა“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ თბილისის ქუჩებში ათასობით სახეგაბრწყინებული და ბედნიერი ჩვენი თანამემამულე გამოვიდა.

განსაკუთრებული თემაა შუშაკი და თბილისის „დინამო“, რომელსაც, ხანმოკლე მოღვაწეობის მიუხედავად, ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა ყველაფერი მოაგებინა, რაც შესაძლებელი იყო, გვირგვინად კი მოსკოვიდან ჩამოტანილი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ჩემპიონთა თასი უსახსოვრა.

ამ დღეებში ივო შუშაკს 60 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი ღირსეულად აღინიშნა მის სამშობლოში. საიუბილეო საღამოზე ზაგრებში ყველა იმ გუნდის მესვეურნი მიიწვიეს, სადაც კი ოდესმე უმუშავია ბატონ ივოს, მათ შორის თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელი, გუნდის უფროსი გია იმნაძე. შემოთავაზებულ ფოტოებზე სწორედ ამ მოვლენის ამსახველი ფრაგმენტებია აღბეჭდილი.

ორბიტაზე

## ალონსო — ორგზის ჩემპიონი

**თუმცა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპზე „ბრაზილიის გრან-პრი“ მშობლიური კედლების „დახმარებით“ „ფერარის“ მეორე პილოტმა ფელიპე მასამ გაიმარჯვა, მაგრამ ჯერ კიდევ წინა ეტაპზე წამოწყებული ინტრიგა, ჩემპიონობისთვის მხოლოდ ერთი ქულა რომ სჭირდებოდა, რათა შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერისთვის მიუწვდომელი ყოფილიყო, „რენოელი“ ესპანელის მეორე ადგილმა ბრწყინვალედ გადაწყვიტა და ფერნანდო ალონსო ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, რასაც ახალგაზრდა პილოტის დიდ გმირობად მიიჩნევენ.**

მიხაელ შუმახერის მეოთხე ადგილი კი საკმარისი აღმოჩნდა, რათა „ფერარის“ გერმანელ პილოტს საერთო ჩათვლაში მეორე ადგი-



ლი გაენაღდებინა, მესამეზე კი მისი თანაგუნდელი ბრაზილიელი ფელიპე მასა გავიდა.

ბრაზილიურ ეტაპზე მასას გამარჯვებამ თანამემამულეთა უზომო აღტკინება გამოიწვია, რადგან სახელოვანი სენას შემდეგ ეს ბრაზილიელი პილოტის პირველი ტრიუმფი იყო.

რბოლაში ფიზიკელას მეოთხე ადგილზე გასვლამ კი უფრო განამტკიცა კონსტრუქტორთა თასზე „რენოს“ უპირატესობა. მეორე ადგილზე აქ „ფერარი“ გავიდა.

## „ძვირფასი“ სატრფო

**ერთი წლის წინათ განის ნაკრების ფეხბურთელი მიშელ ესიენი ფრანგული „ლიონიდან“ ინგლისურ „ჩელსიში“ გადავიდა. „გაარისტოკრატებულმა“ აფრიკელმა მალე გამოძებნა ინგლისელი გულისვარდი — კეისი სამნერი და ცოლად შერთვაც კი გადაწყვიტა.**

თუმცა ამ წყვილის ბედნიერებას ჟურნალისტური გამოძიება ემუქრება. კალმის „დიდოსტატებმა“ მალე დაადგინეს, რომ ფეხბურთელის გაცნობამდე კეისი კიმბერლის სახელით მაღალი საზოგადოების ცნობილი მეძავი იყო. მასთან ერთი სრული ღამის გატარება მდიდარ არაბ შეიხებს 3 ათასი გირვანქა სტერლინგი უჯდებოდათ. ის შემჩნეული იყო ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრესთან, პრინც ჰარისთან ფლირტშიც. ის დიდი სიამოვნებით შიშვლდება მამაკაცთათვის განკუთვნილი ჟურნალისთვის.

ახლა ჟურნალისტები იმაზე მკითხაობენ, იცის თუ არა ფეხბურთელმა მისი ახალი სატრფოს პიკანტური წარსული.



ჩოგბურთი

## ჩემპიონები — ეროვნულ ნაკრებში



**იან ჰომერის სახელობის კორტებზე საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა და ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები გაიმართა. მოგეხსენებათ, ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები უცხოურ ტურნირებში მონაწილეობენ, ამის მიუხედავად, შინაურ შეჯიბრებას ინტერესი არ დაუკარგავს, რადგან, ფედერაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს ჩემპიონი ავტომატურად ხვდება ეროვნულ ნაკრებში.**

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ვაჟთა შორის შარშანდელი ტურნირის გამარჯვებულმა გიორგი ჭანტურიამ ტიტული შეინარჩუნა. ფინალში მან გიორგი ხრიკაძეს სძლია 6:1, 7:5. ამდენად, გაისად დევისის თასის გათამაშებაზე პორტუგალიის წინააღმდეგ (ამ პაექრობას თბილისი უმასპინძლებსძ ნაკრებში მესამე ნომრად კვლავ ჭანტურია იქნება.

ქალთა შორის ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი სოფიკო ქვაცაბაია გადამწყვეტ მატჩში ოქსანა კალაშნიკოვასთან დამარცხდა 3:6, 3:6 და ნაკრებში ადგილიც მძლეველ მეტოქეს დაუთმო.

ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. VII ტური.** „უდინეზე“-„ინტერი“ 0:0, „მილანი“-„პალერმო“ 0:2, „რომა“-„კიევო“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „პალერმო“, „ინტერი“ — 15-15, „რომა“ — 13 ქულა.

**ბომბარდირი:** რიგანო („მესინა“ძ — 5 გოლი.

**შემდეგი ტური:** „პალერმო“-„მესინა“, „ინტერი“-„ლივორნო“, „რომა“-„ასკოლი“.

**ესპანეთი. VII ტური.** „რეალი“-„ბარსელონა“, 2:0, „ვალენსია“-„ოსასუნა“ 1:0, „სევილია“-„ხიმნასტიკი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“, „ვალენსია“ — 16-16, „სევილია“ — 15 ქულა.

**ბომბარდირები:** მილიტო („სარაგოსა“ძ, კანუტი („სევილია“ძ — 7-7 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“-„უელვა“, „რასინგი“-„ვალენსია“, „სელტა“-„სევილია“.

**ინგლისი. IX ტური.** „მანჩესტერი“-„ლივერპული“ 2:0, „ჩელსი“-„პორტსმუთი“ 2:1, „ბლექბერნი“-„ბოლტონი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მანჩესტერი“, „ჩელსი“ — 22-22, „ბოლტონი“ — 20 ქულა.

**ბომბარდირები:** კანუ („პორტსმუთი“ძ, ჯონსონი („ევერტონი“ძ — 6-6 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბოლტონი“-„მანჩესტერი“, „შეფილდი“-„ჩელსი“.



**გერმანია. VIII ტური.** „ვერდერი“-„ბაიერნი“ 3:1, „შალკე“-„ჰანოვერი“ 2:1 (მეორე გოლი **ლევან კობიაშვილმა** გაიტანაძ, „ჰერტა“-„გლადბახი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვერდერი“, „შალკე“ — 16-16, „ჰერტა“, „ბაიერნი“ — 13-13 ქულა.

**ბომბარდირები:** მუნტეანუ („კოტბუსი“ძ, პანტელიჩი („ჰერტა“ძ, გომესი („შტუტგარდი“ძ — 5-5 გოლი.

**შედეგი ტური:** „მაინცი“-„ვერდერი“, „შტუტგარტი“-„შალკე“, „კოტბუსი“-„ჰერტა“, „ბაიერნი“-„აინტრახტი“.

ძიუდო

## „საგარეჯო“ მესამე ადგილს დასჯერდა



**ბუდაპეშტში დამთავრდა ევროპის ძიუდოისტთა საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც ოთხი გუნდი მონაწილეობდა — „საგარეჯო“, რუსეთის „იავარა ნევა“, გერმანიის „აბენსბერგი“ და თურქეთის „ისტანბული“.**

ნახევარფინალურ შეხვედრაში საქართველოს წარმომადგენლებმა რუსებთან პაექრობა კარგად დაიწყეს — პირველი წრე 3:2 მოიგეს, მაგრამ მეორეში 1:5 დამარცხდნენ და ფინალის საგზური ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს დაუთმეს.

ევროპის წლევანდელმა ჩემპიონმა არმენ ნაზარიანმა ერთ შერკინებაში წარმატებას მიაღწია, თუმცა მეორე მისთვის და ჩვენი გუნდისთვისაც უიღბლო გამოდგა: ირანელმა ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა არაშ მირესმაილმა ერთი ორთაბრძოლა ფრედ დაამთავრა, მეორეში კი დამარცხებულმა დატოვა ტატამი. ასევე მოულოდნელი იყო ევროპის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილისა და აბდულ ტანგრიევის ორი წაგება.

ასეა თუ ისე, რუსები ფინალში გავიდნენ, მაგრამ იქ „აბენსბერგთან“ ვერაფერი გააწყვეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. „ბრინჯაო“ ხვდა „საგარეჯოს“, რომელმაც „ისტანბულს“ 8:2 სძლია.

კალათბურთი

# ცალფარა



**კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის II ტურში ისეთი მეტოქეები დაწყვილდნენ, თავიდანვე ადვილი გახლდათ გამარჯვებულთა გამოცნობა. ასეც მოხდა — შეხვედრები იმ გუნდებმა მოიგეს, ვისაც ფინანსური და საკადრო ფაქტორების გათვალისწინებით ფავორიტის როლი აქვთ მიკუთვნებული.**

განსაკუთრებულ უპირატესობას რუსთავის „აზოტმა“ მიაღწია, რომელმაც თბილისის „დინამოს“ 96:61 სძლია.

თბილისის სახელმწიფო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სტუდენტური დერბი ყოველთვის დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ამ თემაზე წარსულ დროში გვიწევს საუბარი — ამჯერად თსუ-მ მეტოქე უპრობლემოდ დააჩოქა — 95:74.

რაც შეეხება „ავიამშენისა“ და „მაკაბის“ მატჩს, იგი ბაბიაშვილისა და შერმადინის დუელად იქცა (თითოეულმა 30-30 ქულა მოაგროვაძ, თუმცა თავიანთ ცენტრალურ თავდამსხმელს უფრო ნაყოფიერად ავიატორთა პარტნიორები შეეშველნენ (გამორჩეულად — ირაკლი ბერიშვილი — 23 ქულა), რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა — 89:71.

სუპერლიგის მორიგი რაუნდი 28 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. ამ დღეს ითამაშებენ: სტუ-„ავიამშენი“ (12 საათზეძ, „მაკაბი“ — „აზოტი“(14 საათზეძ და „დინამო“ — თსუ (16 საათზეძ.

ვარსკვლავი

## დიეგო მარადონა ფეხბურთს უბრუნდება?



**ყოველ შემთხვევაში, სულ მალე მას მინდორზე იხილავენ ისეთი საფეხბურთო ქვეყნების, როგორიც ჰონდურასი და სალვადორია, გულშემატკივრები.**

თუმცა, როგორც ამბობენ, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირი მონაწილეობას მიიღებს არა დიდ ფეხბურთში, არამედ ეგრეთ წოდებულ შოუბოლში, სადაც გუნდი 7-კაციანი იქნება მინდორი კი — შემცირებული.

ლეგენდარული არგენტინელი სალვადორიში პარასკევს უნდა ჩაფრენილიყო, მაგრამ უამინდობის გამო ავიარეისი გადაიდო. მატჩი კი 28 ოქტომბერს გაიმართება. შემდეგ კი ჰონდურასელი გულშემატკივრებიც გაიხარებენ.

◎ ინფორმაცია

## საქართველომ სტრასბურგის სასამართლოში კიდევ ერთი საქმე წააგო

ევროპის ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოში მოქალაქე დავით დანელიამ საქართველოს სახელმწიფოს საქმე მოუგო.

როგორც დანელიას ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი 2001 წელს პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ბადრაგის წევრი იყო.

ადვოკატის თქმით, დავით დანელია საქართველოს ექს-პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მთავრობის დროს ყოფილი ფინანსთა მინისტრის გურამ აბსანძის ციხიდან გაქცევის მცდელობის დროს დააკავეს და ციხეში სასტიკად აწამეს.

სტრასბურგის სასამართლომ ხუთი წლის წინათ შეტანილ სარჩელზე 2006 წლის ოქტომბერში საბოლოო გადაწყვეტილება გამოიტანა და საქართველოს სახელმწიფოს დანელიას მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 5000 ევრო დააკისრა. აღნიშნული თანხა სახელმწიფომ დანელიას დაუყოვნებლივ უნდა გადაუხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საჯარიმო სანქციები დაეკისრება.

## ქართველ და აფხაზ მწერალთა ერთობლივი კრებული

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, საპრეზიდენტო პროგრამა „ჩემი სახლის“ ფარგლებში, ქართველი და აფხაზი პოეტებისა და პროზაიკოსების ერთობლივ კრებულს გამოსცემს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში უთხრეს, კრებულში შევა როგორც დევნილი პოეტებისა და პროზაიკოსების, ისე თანამედროვე აფხაზი მწერლების შემოქმედება.

„აფხაზეთის თემატიკა უამრავი თანამედროვე ქართველი და აფხაზი მწერლის შემოქმედებაში აისახა. ამ ეტაპზე, ავტორებთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. კრებულში დაახლოებით ოცი მწერლის ნაწარმოები შევა და ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცემა“, – აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, კრებულში, შესაძლოა, რომელიმე ოსი ავტორიც შევიდეს.

წიგნს გამომცემლობა „არეტე“ დაბეჭდავს.

## „ქართული სიმღერა“ სანქტ-პეტერბურგში

სანქტ-პეტერბურგის ფიოდორ დოსტოევსკის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში 30 ოქტომბერს გამოფენა, „ქართული სიმღერა“ გაიხსნება.

ფოტოგამოფენა, რომელიც იური ალეინიკოვმა მოამზადა, ორ თემატურ ნაწილად იყოფა. „საქართველო. გაზაფხული 89...“ - 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომ პერიოდს ასახავს, ხოლო „პეტერბურგის ქართული ალბომი“ რუსეთის ჩრდილოეთის დედაქალაქში ქართული დიასპორის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.

პირველი გამოფენა პეტერბურგელმა დამთვალიერებელმა 1999 წელს, ხოლო მეორე გამოფენა მიმდინარე წლის იანვარში იხილა.

გამოფენის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ „ქართული სიმღერა“ საზოგადოებას შეახსენებს იმ კეთილგანწყობის შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში რუს და ქართველ ხალხს შორის არსებობს.

ექსპოზიცია 9 დეკემბრამდე გაგრძელდება.

**ინტერპრესნიუსი**

◎ გზადაგზა ნაპოვნი სურათები

## თბილისობა „წოპეს“ „პარლამენტში“

**კი, ვიკამათეთ სხვადასხვა საკითხზე, მთა და ბარი შევაჯერეთ, პრეზიდენტსაც გადავწვდით, რა ამბავშიაო, ირაკლიმ, რას ცუნდრუკობსო, ჩვენისთანა აეროპორტი ევროპაში არ იქნება, რამ ათქმევინაო...**

კი, ვიკამათეთ, მაგრამ „დეპუტატებს“ მაინც არასამუშაო განწყობილება ჰქონდათ და ეს უმალ შეამჩნია „სპიკერმა“ „წოპემ“. ხვალ „თბილისობაა“ და ჩვენც აღვნიშნოთ, თითო ჭიქა ავწიოთო. თურმე ამას ელოდნენ „დეპუტატებიც“ და, ერთი უნდა გენახათ, კვირა დილით ყველამ, რაღაცა რომ მოიტანა „ალექსანდრეს“ ბაღში – ზოგმა საჭმელი, ზოგმა სასმელი... ძალიან გამოიდო თავი რამაზმა, იგი ახალი მიღებულია „პარლამენტში“ და ეს ამბავი ღვინით სავსე ხუთლიტრიანითა და რამე-რუმე შესატანებლით აღნიშნა. ციცქნა მარიამის ბაბუამ – ბადრიმაც შემოდგა ღვინით სავსე ბოთლები მაგიდაზე. ბატონმა მიშამ, ლანჩხუთიდან ჩამოტანილი არაყიანი ბოთლი მიუმატა ხორაგს...

ერთი სიტყვით, მშვენიერი სუფრა გაიშალა და უამრავი სადღეგრძელოც ითქვა. „წოპემ“, ცხადია, ძველი თბილისი და „ალექსანდრეს“ ბაღი დალოცა. აქ რომ ხალხი სეირნობდა, ისინი მიწაში უნდა იწვნენ და ამდენი ჩათლახი და ქვეყნის წურბელა ზემოთ უნდა დადიოდესო?.. მოდით, ძმებო, გრიგოლ ორბელიანს გაუმარჯოს, მეფესაც რომ ნამუსიანად ემსახურებოდა და თავის სამშობლოსაც... ნახეთ, რა გულამოსკვნით თქვა, დაემხო ჩემი სამშობლო, საფლავს ჩავდივარ სიმწარითაო...

წავიდა სიმღერა, უშანგი აქტიურობდა ძალიან, ოთარსა და ელგუჯას იყოლიებდა და ისეთ მრავალჟამიერს ამბობდნენ, ხალხი ჩერდებოდა მოსასმენად.

ამინდიც ხელს უწყობდა და ლაღობდნენ ხანშიშესული თბილისელები.

ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, რომ არა ერთი ინციდენტი, რომელმაც დიახაც გაანაწყენა თანამეინახენი: ღვინო რომ შემოგვაკლდა, მიშამ თავის არყიან ბოთლს დაუწყო ძებნა, მაგრამ ველარსად იპოვა. კაცო, აქ დავდე, ფეხებთანო, სად უნდა გამქრალიყოო, ბუზღუნებდა იგი და ბოთლს ეძებდა, მაგრამ ამაოდ... ატყდა ყაყანი, ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა. „წოპემ“, ვინც ხშირ-ხშირად დგებოდა სუფრიდან, იმან გააყოლა ალბათ ხელს, ხვალინდელ „პახმელიაზე“ ფიქრობს, სადმე გადამალავდაო... ეს აზრი ბევრმა გაიზიარა, სადმე ექნება გადამალული და ხვალ დილით დაგვალევინებსო, თქვეს სიცილით, ღვინოზე არაყი, მაინც რა საჭირო იყოო...

მაგრამ „წოპე“ აბა, რის „წოპეა“, რომ „სხდომა “ არ შეეჯამებია, და ამ არასასიამოვნო ფაქტზეც მკაცრად ილაპარაკა. ჩვენს რიგებში „ალკაშებს“ ვერ ავიტანთო, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, ეთიკის კომისია შეიქმნას და გამოიძიოს ეს საკითხიო, ასეთ წვრილმან რაღაცეებზე ჩვენ არ უნდა ვცდებოდეთო, მასმედიამ კარგად გააშუქოს ეს უმსგავსი შემთხვევაო, დამავალა მე, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს და, მეც, რაც შემეძლო დაწვრილებით მოგიყევით „წოპეს“ „პარლამენტში“ ჩავლილი თბილისობის შესახებ, ძვირფასო მკითხველო.



## მეზობელო, პარისაო…

ვაიმე, დარო დეიდა დაცემულაო, ახმაურდა პატარა თბილისური ეზო. გამოეფინენ ქალები, ბავშვები... ტანსრული, ფაშფაშა დარო დეიდა პირაღმა იწვა და საცოდავად კვნესოდა, მიშველეთ ხალხოო.

– რა გინდოდა, ძლივს დადიხარ ისედაც, – უსაყვედურა ერთმა და წამოყენებას შეეცადა, სხვებიც მიეშველნენ, სკამი, სკამი მოიტანეთო... მოარბენინეს ბავშვებმა სკამი, ძლივს დასვეს დარო...

– სარეცხის გაფენა მინდოდაო, ამოიკვნესა მოხუცმა...

– ნეტაი ერთი შენ... მოვიდოდნენ და გაგირეცხავდნენ, რატო არ მიყვები შვილებს, რომ ხარ ამ ოთახში მარტო გამოკეტილიო – ქოქოლას აყრიდნენ მეზობლის ქალები.

მერე ერთმა დაროს ქალიშვილს დაურეკა მობილური ტელეფონით, არ შეგეშინდეს, სანამ მოხვალ, ჩვენ არაფერს გავუჭირვებთო. დაავლეს ხელი სკამს და დარო ციმციმ შეიტანეს სახლში, ფრთხილად წამოაწვინეს ლოგინზე, ნუ გეშინიაო...

ცოტა ხანში შემოვიდნენ ეზოში შვილები, შვილიშვილები, სიძეები – „ვაჟნი“ ტიპები, შემოესივნენ დაროს, შენი ბრალია, რატომ უჭირვებ ასე თავსო, კიდევ კარგი, ღვთისნიერი მეზობლები გყავსო... დიდი მადლობა ხალხოო, მიუბრუნდნენ მეზობლებს.

მეზობლებმა აბა, ისე ხომ არ დავტოვებდით, შე კაცოო, მთავარია, ძვალი არ ჰქონდეს გატეხილიო...

– ვნახოთ, სასწრაფოს დავურეკეთ და, საცაა, უნდა მოვიდნენ... იქნებ, გადმოხედოს ღმერთმა დაროსო, იმედიანად იყვნენ ახლობლები.

## ვოვა

უნიჭიერესი კაცია ვოვა გრიგორიევი, თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი რომ დაამთავრა, ერთი ხანობა „ვეჩორკაში“ მუშაობდა, მერე გადავიდა კავშირგაბმულობის საპროექტო ინსტიტუტში, კავშირგაბმულობის სისტემას აპროექტებდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ეს სოჭის აეროპორტიო, ეს ერევნის ატომური ელექტროსადგურიო, უდიდესი სამშენებლო ობიექტები ბაშკირეთში, თურქმენეთში, აპროექტებდა საქალაქთაშორისო კავშირებს, მუშაობდა „ახალ ქსელებში“ და კიდევ ბევრგან, 33 წელიწადი ამ საჭირო საქმეს შეალია, მაგრამ რეფორმამ შემცირებაში მოაყოლა და ვოვასაც რაღაცა უნდა ეღონა, რომ თავი გაეტანა.

იგი თბილისშია დაბადებული და გაზრდილი, ქვეყანას იცნობს, პატივს სცემენ და აფასებენ, ზოგი რას დაჰპირდა, ზოგი – რას... სამსახური ვერსად იშოვა და იძულებული გახდა, ეს „წიგნის კაცი“, ისევ წიგნების იმედად დარჩენილიყო...

ჰოდა, დგას ახლა თავის რამდენიმე მეგობართან ერთად ჩვენი რედაქციის წინ ვოვა გრიგორიევი, ყიდის წიგნებს, ძირითადად სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურას და დაუყვედრებელ ლუკმა-პურს შოულობს – თავისი კლიენტი ჰყავს, ზოგს იაფად აძლევს, ზოგს – ნისიად...

ამ ბოლო ხანს რუსეთ-საქართველოს შორის გართულებულ ურთიერთობას ისე განიცდის ვოვა, თითქოს პუტინის ახლობელი ყოფილიყოს. როგორ შეიძლება, ასეთი რამეო, მეუბნება იმ დღეს, რუსებს და ქართველებს რა გვაქვს გასაყოფიო, ამ პოლიტიკოსებმა დაღუპეს მსოფლიო, ორი მართლმადიდებლური ერი ვართ, ჩვენ სხვებს უნდა ვაძლევდეთ კეთილმეზობლობის მაგალითსო...

ჰაი, ჰაი, რომ უბრალო ხალხის გულისთქმა, გინდა რუსი იყოს და გინდა ქართველი, ხელისუფალთ არ ესმით, ჩემო ვოვა!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ რეპლიკა

# „კრიკუნებად“ ქცეული ბალღები

**ჯერ ისევ საშველი რომ არ დაადგა ჩვენი ქალაქების (დიახ, ქალაქების, და არა მარტო დედაქალაქის!) „გაბაზრებას“, ქვეყანა ხედავს. სამწუხაროა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ამ „გაბაზრებას“ ჩვენ თვითონ ვუწყობთ ხელს, გულგრილად ჩავუვლით გვერდით და ოდნავ ყურადღებასაც არ ვაქცევთ იმ უმსგავსობას, რომელიც მრავლადაა ჩვენს გარშემო.**

ეტყობა, არც მე გამოვირჩევი სხვებისგან მაინცდამაინც, თორემ, აქ არა ერთხელ გამივლია აქამდეც და ერთხელაც არ შევწუხებულვარ იმ „ბავშვების“ ბედზე, რომელიც მოქანდაკის მშვენიერ საჭრეთელს გამოუქანდაკებია ჩვენი ყოველდღიურობის სამშვენისად.

... ერთ მშვენიერ დღეს მეც ერთმა მაღლიანმა კახელმა გლეხმა მიმახედა მისკენ.

დღესაც არ ვიცი რა ჰქვია ამ უაღრესად კეთილ სკულპტურას, მაგრამ მასზე გამოხატული ბავშვების ალტაცებული სახეები ამბობენ თავიანთ სათქმელს, – უხარიათ, თვალებში სიხარულის ზღვა ჩაღგომიათ!

უხარიათ, მაგრამ, არა მგონია, ის უხაროდეთ, რაც ირგვლივ ხდება. ირგვლივ კი იყიდება ძეხვი და ქათამი, ხორცი და ყველი, კიტრი და პამიდორი, მწვანილი და ფარში... ბუდრუგანას ბუდრუგანა მიდგმია. მერე ეს ბუდრუგანა სახინკლედ თუ კაფედ, ბარად თუ რესტორნად ქცეულა და არის ერთი ხორხოცი და ვაი უშველებელი. მეტროს კიბეებზე მათხოვრობენ ლოთები და ბომჟები, „შესვენებისას“ ამ ძეგლის ფერხთით რომ მიეგდებიან ხოლმე და სძინავთ. ბუდრუგანა-სახინკლეს კი თანდათან „გადაუყლაპავს“ ბავშვები. ძლივს უჩანთ თავიანთი პაჭუა ცხვირები სკულპტურის პერსონაჟებს, სახეზე ხალისი და სიხარული შეჰყინვიათ და მათ ირგვლივ დაგროვილ ნაგავს მოწყენილები დაჰყურებენ.

იქვე კახელი ბერიკაცი დატარებით ყიდდა ტომარაში დარჩენილ კიტრს და ოფლს იწმენდდა დაღლილი და გაოცებული.

– ეგ, რასა ჰგავს, ბალღო?!... – გამომიჭირა.

– რაზე ბრძანებთ, ბატონო ჩემო?

– როგორ თუ რაზე?!... თუ აქაურებს ფეხებზე გკიდიათ, მე მომეცით.. სოფელს მაინც გავახალისებ.... რას ერჩოდით ამ ბალღებს აგრერიგად?...

იქვე „ყველისგამყიდველი“ ბუდრუგანაც მიეშველებინა ვილაცას.

– არა გრცხვენიათ, კაცო?... რადა, ყველის ვაჭარივით დაკრეჭილები დაგიტოვებიათ ეს საცოდავები... ძლივს შევამჩნიე, კაცო!... აქ ადრე წყარო იყო და ახლა იმას ვეძებდი, და...

შემრცხვა! როგორც მითხარით, გულდანდობით მხოლოდ ახლა მივაქციე ამ „ბალღებს“ ყურადღება!

**შემრცხვა, მაგრამ თბილისის ისნის რაიონისა თუ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურებს თუ რცხვენიათ, კლიენტს დახარბებული სახინკლის „კრიკუნებად“, რომ უქცევია ვიღაცას ეს ანგელოზივით ბავშვები, ბატონო გიგი?!**

კარგი იქნება, (თუ მოიცლიან და თუ არ დაეზარებათ!) ვარკეთილის მეტროს ზედა მოედანზეც გამოივლიან და გაიზიარებენ იმ კახელი გლეხის გულისტკივილს!

**ზაურ ფიფია**

◉ მასპინძლობს საქართველო

# პიტერ ჰერმანი: ფიროსმანი მაცნობს საქართველოს

**ნიკო ფიროსმანაშვილისადმი მიძღვნილი საერთაშორისო გამოფენისა და „ფიროსმანის მაგიდასთან“ საუბრების მონაწილე უცხოელმა სტუმრებმა საქართველოში მოგზაურობა, უწინარესად, მხატვრის მშობლიური კუთხის, კახეთის გაცნობით დაიწყეს. ყვარელი, თელავი, იყალთო, ალავერდი, სიღნაღი, ბოდბე, ხირსა...**

სამდღიანი მოგზაურობა კახეთში მირზაანში დასრულდა, ამ დღეს, 21 ოქტომბერს, მირზაანი ტრადიციულ ფიროსმანობას ზეიმობდა.

ფიროსმანის ხელოვნების სულიც და გულიც ხომ დღესასწაულია, ამ ტერმინის ფართო, მხატვრულ-ფილოსოფიური გაგებით. ამ დღეს მისი პანორამული კომპოზიციების უნიკალური და ერთგვარად ფანტასტიკური ზეიმური სამყარო თითქოს დღევანდელ რეალობას შეერწყა სახინკლე ქვაბის ოხშივრით, ამღერებულ-აცეკვებული კახელებით, ჩურჩხელებით, მოვაჭრეებით, ღია ეზოში გაშლილი სუფრით...

ფიროსმანის გასაცნობად ჩამოსულ სტუმართა შორის ბევრი ჩვენს ქვეყანას დღემდე არ იცნობდა და მხოლოდ ნიკალას მიერ მუშამბაზე გადმოტანილი ყოფიერებით წარმოისახავდა მის სამშობლოს. ჟურნალისტების შეკითხვას – თქვენ იცნობდით აქამდე საქართველოს? გერმანელმა მხატვარმა პეტერ ჰერმანმა ასე უპასუხა:

**– არა, მე ფიროსმანი მაცნობს საქართველოს.**

წლევანდელი ფიროსმანობის მთავარი მოვლენა მაინც პროექტის მონაწილე მხატვართა საერთაშორისო გამოფენის (ექსპოზიციის ავტორი მურმან ჟანიშვილი) გახსნა და ხელოვანთა ურთიერთგაცნობისა და დიალოგის მიზნით ნიკალას „ოცნების მაგიდასთან“ შემოსხდომა იყო. ამიტომ სტუმარ-მასპინძლებმა საექსპოზიციო დარბაზში მოიყარეს თავი.

საგამოფენო სივრცის მარცხენა ფლიგელში ფიროსმანის ტილოები სახლობდნენ. არცთუ კარგად განათებულ დარბაზში შედევრებს სხივმოსილება არ აკლდა, თუმცა იმის გაფიქრება, რომ წლების მანძილზე (დაახლოებით 15 წელიწადია გრძელდება) ფიროსმანის საექსპოზიციო შენობას დენი არ მიეწოდება და აქ დაცულ ექსპონატებს ელემენტარული „სასიცოცხლო“ პირობები არა აქვს, შემზარავია. ტემპერატურისა და ტენიანობის სტაბილურობა ხომ სამუზეუმო ექსპონატების დაცვის აუცილებელი პირობებია. გენერატორის წყალობით სუსტად განათებულ დარბაზებში ამ დღესაც არაერთხელ გამოირთო შუქი... მარჯვენა ფლიგელი ამჯერად სტუმრებს – გერმანელ მხატვრებს დაეთმოთ. აქ დამთვალიერებელი გაეცნო კონრად ბროკშტედის, პეტერ გრაფის, პიტერ ჰერმანის, არნდ კესტნერის, კრისტიანე ლატენდორფის, ნიკოლაი მაკაროვის, ჰანს შაიბის, სებასტიან შობერტის, ლუკას ბიოთჰერის, ფრანკ ვენერის და სხვათა ნამუშევრებს.

**– ჩვენთვის უთუოდ დიდი პატივია, რომ აქ, ფიროსმანის გვერდით, გერმანელი ხელოვანების ნამუშევრებია გამოფენილი, ეს ქართული სტუმართმოყვარეობის დასტურია, – აღნიშნა გერმანელმა ფერმწერმა ლუკას ბიოთჰერმა.**

საექსპოზიციო დარბაზის ცენტრში იდგა მრგვალი მაგიდა, მაგიდაზე – სამოვარი და ჩაის ჭიქები, გარშემო სკამები, მაგიდას ქართველი და უცხოელი სტუმრები შემოუსხდნენ. აი, რაზე ოცნებობდა ნიკალა 90 წლის წინათ. ამ აუხდენელი ოცნების განხორციელებას სწორედ გუშინ მიეცა დასაბამი და ეს სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა დიალოგის დასაწყისიც იყო.

საქმიანმა დიალოგმა ფიროსმანზე და ხელოვნებაზე ის-ის იყო ძალა მოიკრიბა, რომ შუა საუბარში დარბაზში ნეფე-დედოფალი შემოვიდა თავისი მაყრიონით, დიალოგს არ დასცალდა და იგი ამ მოულოდნელი ცერემონიალით დასრულდა.

სტუმარ-მასპინძლებმა ფიროსმანის ნადიმზე გადაინაცვლეს.

გუშინ „ფიროსმანის მაგიდის“ სტუმრებმა გორი და ყაზბეგი მოინახულეს. დღეს, საღამოს გოეთეს ინსტიტუტი ლიტერატურული საღამოს მონაწილეებს მასპინძლობს. საზოგადოების წინაშე წარსდგებიან კატია ლანგე მიულერი, უვე კოლბე, მიჩ კოპენი და მუსიკოსი ეკარდ კოლტერმანი. საღამოს წარუძღვება ლაშა ბუღაძე.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**
**ჩვენი სპეც. კორ.**
**მირზაანი-თბილისი.**





**სურათებზე: ფიროსმანობაზე მირზაანში.**
**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

◉ პიროვნება

# გულის მკურნალი შესანიშნავი მხატვარიცაა

**სენაკის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაიმართა ექიმ-კარდიოლოგის, თვითნასწავლი მხატვრის დიმა სინჯარაძის მხატვრული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.**

დიმა სინჯარაძე დაიბადა 1942 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ანანურში. მისი დედა ლუბა ნორაკიძე მეუღლის სამამულო ომში დაღუპვის შემდეგ, შვილთან ერთად საცხოვრებლად უბრუნდება სენაკის რაიონს.

დიმა სინჯარაძემ 1961 წელს წარჩინებით დაამთავრა სენაკის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლა. 1968 წლამდე სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე და ერთდროულად მუშაობდა სენაკში ხაზვისა და შრომითი სწავლების მასწავლებლად. 1974 წელს დაამთავრა ქ. უჟგოროდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და გაიარა ინტერნატურა თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში, რომლის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სენაკის რკინიგზის საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში ექიმ-ორდინატორად, შემდეგ თერაპიული განყოფილების გამგედ. 1984 წლიდან გადაჰყავთ სენაკის რაიონის მთავარი ექიმის პირველ მოადგილედ.

დიმა სინჯარაძე არის თვითნასწავლი მხატვარი. 1988 წლიდან აქტიურად ებმება ეროვნულ მოძრაობაში. არის ილია მართლის საზოგადოების სენაკის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

დ. სინჯარაძე არის აფხაზეთის ომის აქტიური მონაწილე, როგორც ექიმი. ჰყავს მეუღლე, ერთი ქალიშვილი და შვილიშვილი.

დ. სინჯარაძე არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა გაზეთში.

დ. სინჯარაძე დღეს, როგორც მაღალკვალიფიციური ექიმი-კარდიოლოგი დაუღალავად ემსახურება სენაკის რაიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ამასთან, სათანადო დროს უთმობს თავის საყვარელ გატაცებას – მხატვრობას.

დ. სინჯარაძის მხატვრული ნამუშევრების გამოფენაზე ავტორმა დამთვალიერებლებს შესთავაზა 58 ფერწერული ნამუშევარი, 72 გრაფიკული ნაწარმოები და 9 ჭედური ნიმუშის ორიგინალი.

გამოფენის გახსნაზე თბილისიდან ჩამოვიდა საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი, აკადემიკოსი ნოდარ ღოღობერიძე, რომელმაც ჩამოიტანა მარიამ ღვთისმშობლის ხატი და საზეიმოდ გადასცა სენაკის იოანე ნათლისმცემლის ტაძარს.

გამოფენა გახსნა სახვითი ხელოვნების გალერეის დირექტორმა ლერი კართხიამ.

სიტყვით გამოვიდნენ სენაკის რაიონის გამგებელი გურამ მისაბიშვილი, სენაკის მკვიდრი, დამსახურებული მხატვარი და პედაგოგი რევაზ ადამია, რუსთავის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, დამსახურებული მხატვარი ზაურ გაბესკირია, მისი თანათავმჯდომარე, დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე თოდუა, დ. სინჯარაძის მეგობარი რევაზ ხუბუა, მწერალი ბორის დავითაია, მსახიობი ლერი ჯალაღონია, ექიმი ვაჟა გეგენავა, და სხვები, რომლებმაც მხატვრის ნამუშევრებს მაღალი შეფასება მისცეს.

**იოსებ გოგეჩია,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**სენაკი**

ხსოვნა

# გურამ სანაძე



საქართველოს მენავთობეთა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **გურამ ივანეს ძე სანაძე.**

გურამ სანაძე დაიბადა 1931 წელს ქ. თბილისში.

35-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტზე. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1955 წლიდან, საკავშირო მე-4 გეოლოგიური სამმართველოს („სპეცგეო“) საქართველოს ექსპედიციაში, სადაც გაიარა გზა უმცროსი გეოლოგიდან პარტიის უფროსამდე.

1960 წლიდან 1963 წლამდე მუშაობდა ტრესტ „საქნავთობის“ კოლხეთის ბურღვის კანტორის დირექტორად.

1963-2005 წლამდე, 42 წლის განმავლობაში იგი უცვლელად ხელმძღვანელობდა „საქნავთობის“ გეოფიზიკურ სამსახურს; იყო გეოფიზიკის ექსპედიციის უფროსი, 1970 წლიდან ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის“ მმართველი, 1995 წლიდან კი შპს „საქნავთობგეოფიზიკის“ გენერალური დირექტორი.

2005 წლიდან დღემდე მუშაობდა ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ საექსპერტო-ანალიტიკური კომისიის ექსპერტად.

წლების განმავლობაში გ. სანაძე ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, იგი იყო 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1988 წელს კი მას მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1977 წელს არჩეული იქნა საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

გ. სანაძეს დიდი წვლილი მიუძღვის ახალგაზრდა კადრების აღზრდის საკითხში, იგი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის საბადოების ძიებისა და დამუშავების კათედრის პროფესორი.

1985 წელს გ. სანაძეს მიენიჭა სამგორის ნავთობის საბადოს პირველაღმომჩენის საპატიო წოდება.

მისი წარმატებული საქმიანობა ჯეროვნად იყო შეფასებული და იგი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“, „ხალხთა მეგობრობის“, „ღირსების“ ორდენებით და სხვადასხვა მედლით.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე და მამულიშვილი, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი.

ვისაც მასთან სამსახურებრივი თუ მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ვერასოდეს დაივიწყებს მისი იუმორით შეზავებული თხრობისა და ქართული სუფრის გაძღოლის განსაკუთრებულ ნიჭს, რის გამოც იგი უაღრესად კოლორიტულ და პოპულარულ პიროვნებად იქცა.

დიდი სამსახურებრივი და პროფესიული დატვირთვის მიუხედავად, იგი იყო თავდადებული მეოჯახე, მეუღლე, მამა და ბაბუა.

გურამ სანაძის ხსოვნა მუდამ დარჩება მისი კოლეგებისა და ურიცხვი მეგობრების გულში.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული.

**სს ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნათვობი“;**
**საქართველოს ნავთობის, გაზის და ნახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

◉ გამოფენა-გაყიდვა

# ბავშვების დასახმარებლად



**თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით ეროვნული თემატიკისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვას უმასპინძლა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმმა.**

საკუთარი ნამუშევრები ახალგაზრდა შემოქმედებმა – ფოტოხელოვანმა ნონა ოქიტაშვილმა და თბილისის სასულიერო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა: მაკო ბეციაშვილმა, ნათია წიკლაურმა და ქეთი გონაშვილმა წარადგინეს.

ფოტო-გამოფენა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას მიეძღვნა – „ალავერდი", „მესტია", „მწვერვალი ვაჟა-ფშაველა", „გველეთის ჩანჩქერი", „ბრემი", „ბოდბის მონასტერი" იმ 32 ნამუშევარს მიეკუთვნება, რომელიც ნონა ოქიტაშვილმა 4 წლის განმავლობაში ქვეყნების მოგზაურობისას გადაიღო.

დამთვალიერებლის სამსჯავროზე საკუთარი ქმნილებები სამმა ნიჭიერმა ახალგაზრდამაც გამოიტანა. ხელნაკეთი ნივთები: ჩანთები, ქუდები, სამკაულები თექით იყო შესრულებული.

გამოფენა-გაყიდვას ამერიკული სამხედრო საწვრთნელი ბაზიდან მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ისინი არა მხოლოდ გამოფენილი ექსპონატების მხატვრული ღირებულებით მოიხიბლნენ, არამედ ქართველების ექსპრომტად შესრულებული ხალხური სიმღერების მრავალხმიანობითაც. როგორც სახლ-მუზეუმის ხელმძღვანელმა ნანა ელიზბარაშვილმა აღნიშნა, ღონისძიების მიზანი არა მხოლოდ საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციაა, არამედ მზრუნველობამოკლებული ბავშვების მხარდაჭერა. ახალგაზრდა ხელოვანები შემოსული თანხით დასავლეთ საქართველოში რომელიმე ბავშვთა სახლისთვის დახმარების აღმოჩენას აპირებენ.

**ნინო ბერძნიშვილი**

◉ სამართალი

# ბრალდებულები სააპელაციო სასამართლოში ჩივიან



**სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის თანხების მითვისებაში ბრალდებულების ადვოკატებმა წინასწარი პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს.**

სააპელაციო სასამართლოში საჩივარი არ შეუტანია სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ყოფილი გენერალური დირექტორის ზაზა სოფრომაძის ადვოკატს მიტროფანე სტურუას. სოფრომაძეს გირაოს – 50 000 ლარის გადახდის ვადა 27 ოქტომბრამდე აქვს.

დაკავებულების - სოცდაზღვევის ფონდის დირექტორის მოადგილის სპარტაკ ბუკიას და ფონდის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის კობა ძაძამიას ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს 20 ოქტომბრის იმ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვენ, რომლითაც ბრალდებულებს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

# ნორა კვიციანი არ გაათავისუფლეს

**ზემო აფხაზეთის სოფელ ჩხალთის ყოფილი გამგებელი ნორა კვიციანი კვლავ წინასწარ პატიმრობაში რჩება.**

როგორც ინტერპრესნიუსს დაკავებულის ადვოკატმა პაატა ბუჩუკურმა განუცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა კვიციანისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის მოთხოვნა. დაკავებულს თავდებში საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი უდგებოდა.



ბუჩუკურის თქმით, ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ბრალდებულს პირად თავდებში სოზარ სუბარი დაუდგა, თუმცა სასამართლომ საქმე დაუსწრებლად განიხილა და დაცვის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ჩხალთის ყოფილი გამგებელი ნორა კვიციანი 2006 წლის ივლისში დააკავეს. პირველად მას პატიმრობა 30 ივლისს შეეფარდა. კვიციანს ბრალი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და მასში მონაწილეობაში ედება.

კვიციანს, მოგვიანებით, ბრალი ფინანსურმა პოლიციამაც წაუყენა. მას წინასწარი პატიმრობა კიდევ ერთხელ - 19 აგვისტოს შეუფარდეს. ამჯერად ყოფილ გამგებელს სახელმწიფო ქონების მითვისებაში დასდეს ბრალი. საქმე ეხება სოფელ ჩხალთაში შეტანილი ჰუმანიტარული ტვირთის არამიზნობრივად განკარგვას. ნორა კვიციანი ყველა ბრალდებას უარყოფს. ამ დროისთვის, კვიციანის წინააღმდეგ აღძრული ორივე საქმე გაერთიანდა.

**ინტერპრესნიუსი**

◉ გვემრავლოს!

# ძინძიბაძეების ოჯახში ვაჟიანობაა



– გოგო თუ ბიჭი? – ბჭობდა ოჯახი.

– ბიჭი გვარის გამგრძელებელია. გოგონა ნატვრის ახდენაა. იყოს ისე, როგორც უფალი ინებებს – ვეთანხმებოდით ყველა ერთმანეთს. ამ დღეებში მაგდამ ქუთაისში იმშობიარა. ვაჟი შეგვეძინა. ბაბუის სახელი ლევანი დავარქვით. ამას იმიტომ გატყობინებთ, რომ ვიცი ჩვენი ოჯახის სიხარულს გაიზიარებთ. მოგვწონს თქვენი გაზეთი ერის გამრავლებას ყურადღებას რომ აქცევს, – გაიხარონ ოჯახებმა – თქვენი გაზეთის მილოცვით. მაგდა და პატარა ლევანი თავს კარგად გრძნობენ. – გვატყობინებს ვაჟის მამა დავით ძინძიბაძე.

ღვთისმშობლის კალთა ფარავდეს ძინძიბაძეების ოჯახს.

◉ ინფორმაცია

## მესაზღვრეებმა იყოჩაღეს

**რეგიონული სამმართველო „წითელი ხიდის" სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის განყოფილება „ვახტანგისის" სამოქმედო პერიმეტრზე, მესაზღვრეებმა დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ტვირთის შემოტანის მცდელობა აღკვეთეს.**

მესაზღვრეები განმარტავენ, რომ ოპერაცია წინასწარ არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა. მიუხედავად ამისა, მფლობელებმა მიმალვა მოასწრეს. კონტრაბანდული ტვირთი დაკავებულია.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ანეკდოტები

**მხატვარი გჭირდებათ?**

**– თქვენ რომელ ჟანრში მუშაობთ?**

**– დაზგური ფერწერისა.**

**– შესანიშნავია, მიგიღებთ! ჩვენთან დაზგებს შეღებავთ.**

* * *

**– რით იმუშავებს მომავლის ტრანსპორტი?**

**– წყლითა და ბალახით.**

**– და როგორ იმუშავებს ეს ტექნიკა?**

**– შეაბამ საზიდარში ცხენს და...**

* * *

**ორი ნიანგი ერთმანეთს შეხვდა:**

**– როგორ ინადირე?**

**– არა უშავს. დღეს ორი ზანგი შევჭამე. შენ?**

**– მე ერთი რუსი შევახრამუნე.**

**– იტყუები! აბა, ამოისუნთქე!!**

* * *



**მილიონერი ებრაელი გემზე ავიდა. მას ეკიპაჟს აცნობენ:**

**– ეს ბოცმანია, ეს – შტურმანი, ეს – მიჩმანი, ეს– ლოცმანი.**

**– ვაჰ, აქ სულ ჩვენები ყოფილან. ჩემი გვარია კაცმანი.**

* * *

**ქალსა და გუგულს შორის ის განსხვავებაა, რომ გუგული კვერცხებს სხვის ბუდეში დებს, ქალი კი თავის ბუდეს სხვას სთავაზობს კვერცხებისათვის.**

შვილები თამაზ, ბაია დულაშვილები, დები მერი, დალი ყატაშვილები, შვილიშვილი ლევან სვანიძე იუწყებიან

თამარ ყატაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. მაჩხაანში 26 X. 14 სთ.

---

გიული, ნანა, ია კაპანაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძაშვილის

ლადო წულუკიძის

გარდაცვალებას.

---

ნიკოლოზ ნეფედოვის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის, ქვეყნის ღირსეული შვილის

გურამ სანაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ლამაზ ოჯახს.

◉ კადრი



◉ დარია თუ ავდარია




**დასავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+11^0$ – $+17^0$, ღამით $+10^0$ – $+14^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+12^0$ – $+18^0$, ღამით $+10^0$ – $+15^0$.

**თბილისში** – მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+12^0$, დღისით $+18^0$.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა"
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აკრეფილ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.